PRIME Time

N43 (241) ორშაბათი 28 ოქტომბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ვინ გახდება პრემიერი?

ინგა გრიგოლია:

„ღარიბაშვილს რომ ყველაზე ძლიერი პოზიციები აქვს მინისტრთა კაბინეტში, ეს ყველამ იცის. მისი რიდიც აქვთ, შიშიც და მოლოდინიც, რომ სწორედ ის დასახელდება. ყველამ იცის ისიც, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ივანიშვილის უპირობო ფავორიტია...

საინტერესო იყო ისიც, რომ პირველი სწორედ სერგეენკო დაასახელა, გიორგი მარგველაშვილმაც თავის ცნობილ ჩამონათვალში, **ეტა რაზ... ეტა ორა ...** როცა მას მომავალი მინისტრების გვარებს ეკითხებოდნენ...“

ღარიბაშვილისა და სერგეენკოს „დიდი პოლიტიკა“

დამოუკიდებელი საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი: „ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტებში მქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდი პატრიარქს“

მაკა ჩიჩუა: „ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემი განწყობა აღმატებულ ხარისხშია“ EXCLUSIVE

გოგა ძველაიას საქმეზე ფსიქოლოგებმა სკანდალური დასკვნა დადეს

ამონაწერი გარდაცვლილი პატიმრის ფსიქონევროლოგიური დასკვნიდან:

„როცა ვბრაზდები, თავს ვერ ვიკავებ, შეიძლება ადამიანი შემომაკვდეს ცემაში...“

EXCLUSIVE

კახი კალაძე მერობის კანდიდატი ხდება?

კახი კალაძე: „მერის არჩევნებამდე ჯერ დიდი დროა, ვნახოთ...“

EXCLUSIVE

ლევან ვასაძე: „ხმები ჩემს პრემიერ-მინისტრობაზე ჭორია...“ EXCLUSIVE

„მაესტროდან“ ჟურნალისტები გაუშვეს

დგას თუ არა ტელეკომპანია ფინანსური კრიზისის პირას?

ბაია გადაბაძე: „მასობრივ გაშვებებზე არ არის საუბარი, ადგილი აქვს კონკრეტულ შემცირებებს, რაც არ აისახება არხის რეიტინგზე“

ბურჯანაძე ქუჩაში გამოდის

ირაკლი სესიაშვილი: „თუ გაუაზრებელი მიტინგები იქნება იმ მიზეზით, რატომ მე არ გავხდი „მეფეო“, ადეკვატური რეაქცია გვექნება“ EXCLUSIVE

ხურჩის ტერაქტზე ბრალს როლანდ ახალაიასაც წაუყენებენ?!

EXCLUSIVE

სააკაშვილი სასწავლებლად თურქეთში წავა?

EXCLUSIVE

„ეს იქნება ძალიან ბევრი, სანახაობაზე ორიენტირებული, პოლიტიკური აქცია თუ სვლა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი მარგველაშვილი: „ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტებში მქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდი პატრიარქს“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

გიორგი მარგველაშვილმა პირველ ტურში დამაჯერებლად გაიმარჯვა. დათო ბაქრაძემ კონკურენტის გამარჯვება თამამად აღიარა, ბურჯანაძემ დიდხანს იფიქრა, საბოლოოდ მის გადაწყვეტილებას დღეს გავიგებთ.

გამარჯვება კოალიციამ ჯერ კიდევ მის პოლიტიკურ ლიდერთან, პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან ერთად აღნიშნა. ნინო ბურჯანაძის პასიურობა და მისი ქუჩის აქციები არავის აინტერესებს.

გიორგი მარგველაშვილი, გამარჯვებული კანდიდატი:

– ერთი წლის შემდეგ, რაც დამთავრდა პოლიციური რეჟიმი, იმ სტრესის შემდეგ, რაც ქართველ ხალხს ჰქონდა, არ ვიცი, ასეთი მშვიდი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება რომელი ევროპული ქვეყნისთვის იქნებოდა შესაძლებელი. ჩვენ ვიცოდით, რომ არჩევნების შედეგები ასეთი იქნებოდა.

– რაზე ისაუბრეთ პატრიარქთან შეხვედრისას?

– ჩვენ ვილაპარაკეთ საქართველოს მომავალზე. ჩემი ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტებში მქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდი პატრიარქს. რთული მომენტია არჩევნებში გამარჯვებაც, რადგან ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. დიდება უფალს, ახლაც მომეცა ამის შესაძლებლობა.

მაკა ჩიჩუა:

– ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემი განწყობა აღმატებულ ხარისხშია. შევხვდით პატრიარქს და გადმოგვცა ილია წინასწარმეტყველის ხატი საჩუქრად.

ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი:

– საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოებრივი ამოცანა შეასრულა. ჩატარდა ნამდვილად ევროპული არჩევნები. რა თქმა უნდა, ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით ჩვენი კანდიდატის გამარჯვებაში. დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ საქართველოს ეყოლება პრეზიდენტი, რომელიც გაატარებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, იზრუნებს ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსის კიდევ უფრო გამყარებისთვის და პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის. ჩვენ მთელ მსოფლიოს დავუდასტურეთ, რომ ვართ ფუნდამენტალურად დემოკრატიული სახელმწიფო. ვინც ხმა არ მისცა მარგველაშვილს, ისიც გამარჯვებულია.

– ვინ იქნება მომავალი პრემიერი, შეგიძლიათ, გვითხრათ?

– ამას კოალიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი თავად იტყვის. პრინციპში, უკვე დასრულებულია შერჩევა.

– ბატონო ირაკლი, ბურჯანაძე არ აღიარებს შედეგებს და ამბობს, რომ მას თავისი მონაცემები აქვს, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ცესკოს მონაცემებისგან, თუ ქუჩაში გამოვა, როგორი რეაქცია ექნება ძალოვან სტრუქტურებს?

– არ მაინტერესებს, რას იზამს ბურჯანაძე.

საინტერესოა, რომ ავღანეთში გახსნილი საარჩევნო უბნებიდან, გიორგი მარგველაშვილმა მცირე სხვაობით გაიმარჯვა, ერთ-ერთი უბანი კი იქ დავით ბაქრაძემ მოიგო. შესაძლოა, ბაქრაძის გამარჯვება ვიღაცებმა ალასანიას სისუსტედ ჩათვალონ, თუმცა, სხვები აუცილებლად იტყვიან, რომ ახალმა ხელისუფლებამ არამხოლოდ ჯარის, პოლიციის დეპოლიტიზებაც შეძლო და მაშინ ამ ფაქტს ირაკლი ალასანიას დემოკრატიულ და რეფორმატორულ მმართველობას უფრო მიაწერენ.

მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი:

– ბურჯანაძის ქუჩაში გამოსვლა და აქციების დაწყება როგორ იმოქმედებს ქვეყანაზე?

– ამ თემაზე კომენტარი არ იქნება.

– კოჰაბიტაცია დასრულდა, როგორც მარგველაშვილი ამბობდა, შესაძლებელია, მიხეილ სააკაშვილის ან ნაციონალების წევრების მიმართ დაიწყოს სამართლებრივი დევნა?

– კოჰაბიტაციის დასრულება ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებაში ვრჩებით მხოლოდ ჩვენ. დაიწყება თუ არა სხვა პროცესები, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემი პრეროგატივა არ არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელოს მეოთხე პრეზიდენტი

ლევან ვასაძე: „ხმები ჩემს პრემიერობაზე ჭორია“

ბიზნესმენი ლევან ვასაძე კატეგორიულად უარყოფს პოლიტიკაში მოსვლას. ის მზად არის, ხელისუფლებასა და განსაკუთრებით კი ბავშვობის მეგობარს, უკვე გამარჯვებულ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს მხარში დაუდგეს, თუმცა არა როგორც პოლიტიკოსის რანგში. ლევან ვასაძე ეგზიტპოლების გამოცხადების მომენტში, „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისის ეზოში, ბევრ ხალხში დაცვის გარეშე იდგა და არც სცენაზე ასვლა უცდია, „კულისებში“ დარჩა.

ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:

– ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ. ვულოცავ მარგველაშვილს გამარჯვებას.

– აპირებთ ახალ პრეზიდენტთან თანამშრომლობას?

– ხელისუფლებასთან ვაპირებ თანამშრომლობას არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც საზოგადო სექტორის წარმომადგენელი.

– ითქვა, თითქოს თანამდებობაზე გიხილავთ ძალიან მალე...

– ხმები ჩემს შესაძლო პრემიერობაზე ჭორია.

– შემოთავაზება არ გქონიათ?

– არა, არ ყოფილა.

– იცით, ვინ განიხილება პრემიერის შემცვლელის თანამდებობაზე?

– ამას ერთად გავიგებთ. დაველოდოთ პრემიერის განცხადებას...

– როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლება მარგველაშვილის გაპრეზიდენტებით?

– დარწმუნებული ვარ და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი საუკეთესო გაკეთდება ქართველი ხალხისთვის.

კახი კალაძე თბილისის მერი ხდება?

ბიძინა ივანიშვილი მოდუნების საშუალებას ექსპერტებსა და უბრალოდ, ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს ნამდვილად არ აძლევს. ჯერ პრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობას ტოვებდა ინკოგნიტოდ: მხოლოდ მე ვიცი და ჯერ ჩემებისთვისაც არ მითქვამსო, როგორც კი მარგველაშვილი დაასახელა, შემდეგ უკვე პრემიერის ვინაობაზე დაიწყო ყველამ მკითხაობა, ახლა კი ამ თავსატეხს კიდევ ერთი ინტრიგა – თბილისის მერის კანდიდატურის ვინაობა დაემატა. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ მას კანდიდატურა თბილისის მერის პოსტისთვის მოფიქრებული ჰყავს, თუმცა, ჯერ ამ თემაზე საუბარი არ უნდა.

კულუარებში მაშინვე გაჩნდა ვერსიები. კულისები ხომ ამისთვისაც არსებობს. ერთ-ერთ ვერსიად ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე დასახელდა. „პრაიმტაიმთან“ საუბარში მინისტრმა მოკლე კომენტარი გააკეთა:

კახი კალაძე, ენერგეტიკის მინისტრი:

– მერის არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ვნახოთ... შემოთავაზება არ ყოფილა, მსგავსი რამ პირველად გავიგე თქვენგან...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View
მირიან ბოქოლიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნები, როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებით დასრულდა. ქვეყნის მთავარ ოპოზიციურ ძალად კი კიდევ ერთხელ დაფიქსირდა „ნაციონალური მოძრაობა“. პირველი, ვინც მარგველაშვილს გამარჯვება მიულოცა, სწორედ მისი მთავარი კონკურენტი დავით ბაქრაძე გახლდათ.

დავით ბაქრაძე: „ყოველმა მეოთხე ამომრჩეველმა მხარი დაუჭირა „ნაციონალურ მოძრაობას“

მიხეილ სააკაშვილი: „ყველამ პატივი უნდა ვცეთ არჩევნების შედეგებს“

არჩევნების დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი და პარტიის ლიდერები ეგზიტპოლის შედეგების გამოცხადებას ცენტრალურ ოფისში ელოდებოდნენ, სადაც მთელი დღის განმავლობაში საინფორმაციო ბრიფინგები იმართებოდა. 20:30 საათზე მედიის წინაშე პირადად გამოჩნდა დავით ბაქრაძე, რომელმაც არჩევნებში მეორე ადგილზე გასვლა აღიარა და „ქართული ოცნების“ კანდიდატს წარმატება უსურვა.

„გამოიკვეთა გარკვეული სურათი, რომელთან დაკავშირებითაც შეიძლება გაკეთდეს შეფასება. პირველი, რაც ამ სურათში გამოჩნდა, გახლავთ ის, რომ მიუხედავად ერთწლიანი კამპანიისა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ პრაქტიკულად ყოველმა მეოთხე ამომრჩეველმა, რომელიც საარჩევნო ყუთებთან მივიდა, მხარი დაუჭირა „ნაციონალურ მოძრაობას“, მხარი დამიჭირა მე და მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს თითოეულ მხარდამჭერს იმ მამაცობისთვის, რომელიც მათ გამოაჩინეს. ეს მოხდა იმ ფონზე, როდესაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში პარტიის წინააღმდეგ მიმდინარეობდა კამპანია, როდესაც პარტიის გენერალური მდივანი იმყოფება პატიმრობაში, როდესაც ბევრი ჩვენი ლიდერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და გვყავს აქტივისტები, რომლებიც ათეულ შემთხვევაში არიან დაკითხულები. ამ ფონზე ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ ვართ და ვვითარდებით, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ვრჩებით ქვეყანაში მთავარ ოპოზიციურ ძალად, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ არ შეიძლება ქვეყანაში იყოს ხელოვნურად დანიშნული ოპოზიცია. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ასეთ რთულ პირობებშიც კი ოპოზიციამ შეიძლება ჩაატაროს, პასუხისმგებლობის გრძნობით ნაკარნახევი კამპანია, რომელიც თავისუფალი იქნება ისტერიკისგან, ძალადობისგან და რომელიც ამ ყველაფრის ნაცვლად ისაუბრებს მთავრობის კონტროლზე, ხალხის უკეთ ცხოვრებასა და პრობლემების მოგვარებაზე. ამ ყველაფრით ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ჩვენ ვართ პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პოლიტიკური ძალა. სწორედ ამიტომ, ეგზიტპოლის შედეგებიდან გამომდინარე, მე მინდა, ვაჩვენო პასუხისმგებლობის მაგალითი ჩვენს პოლიტიკურ კოლეგებსაც და საზოგადოებასაც“, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, „ნაციონალური მოძრაობა“ მზად არის, აღიაროს არჩევნების საბოლოო შედეგი. მან, როგორც ოპოზიციის ლიდერმა, გამოთქვა მზადყოფნა, რომ აქტიურად იმუშაოს ახალ პრეზიდენტთან.

„მინდა მივულოცო ქართველ ხალხს არჩევნების მშვიდობიანად ჩატარება და იმედი გამოვთქვა, რომ ჩვენ ყველა მოვიგებთ ამ არჩევნებით და ამით ყველასთვის ახალი ერა დაიწყება, სადაც მთავრობა იმუშავებს, გააკეთებს საქმეს და ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ოპოზიცია, ვიმუშავებთ მთავრობასთან იმისთვის, რომ ხალხმა და ქვეყანამ უკეთესად იცხოვროს... ვულოცავ ბატონ გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას. ვულოცავ იმ ნდობას, რომელიც დღეს მან ქართველი ხალხისგან მიიღო და ვუსურვებ, ეს ნდობა გაკეთებული საქმით გაემართლებინოს. როგორც ოპოზიციის ლიდერი, მე მზად ვიქნები, გავაგრძელო მუშაობა მთავრობასთან იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა წავიდეს წინ და ხალხმა უკეთ იცხოვროს. როგორც ოპოზიციის ლიდერი, მზად ვიქნები, ვიმუშაო ახალ პრეზიდენტთან და შევთავაზო მას თანამშრომლობა ყველა იმ საკითხზე, რომელიც ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის იქნება საჭირო“, – განაცხადა მთავარი ოპოზიციური ძალის ლიდერმა.

საარჩევნო დღის დასრულების შემდეგ კი სპეციალური განცხადება გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც 17 ნოემბერს გიორგი მარგველაშვილს ოფიციალურად გადაულოცავს პრეზიდენტის სავარძელს. პრეზიდენტმა მხარდამჭერებს მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა და აღნიშნა, რომ ყველამ პატივი უნდა სცეს უმრავლესობის აზრს, რადგან დემოკრატიაში ასეთ საკითხებს უმრავლესობა წყვეტს.

„რამდენადაც არ უნდა ვეწინააღმდეგებოდეთ ამ გადაწყვეტილებას, ასეთია დემოკრატიის წესები. ჩვენ პატივს ვცემთ კანონიერებას და არჩევნებში მონაწილე უმრავლესობათა აზრს. ამავე დროს მე მესმის, რომ ძალიან ბევრი ადამიანია საქართველოში იმედგაცრუებული. ჩვენ ყოველთვის უნდა მოვუსმინოთ უმცირესობის აზრსაც. ამ არჩევნებზე იყო უფრო დაბალი გამოცხადება, ვიდრე მრავალ წინა არჩევნებზე. ესეც მნიშვნელოვანი სიგნალია, რომ ჩვენს ხალხთან საჭიროა მუდმივი დიალოგის წარმოება და ამგვარად საზოგადოების ყველა ჯგუფის, თითოეული ადამიანის უფლებები დასაცავია და მათი აზრი გასათვალისწინებელია. ბოლო ერთ წელიწადში და მათ შორის დღეს საქართველოში განვითარებული მოვლენები და ამ მოვლენებიდან გამომდინარე შედეგები, საქართველოსთვის სერიოზულ უკან დახევას წარმოადგენს, მისი წინსვლისთვის, მისი სამომავლო პერსპექტივებისთვის. ამავე დროს ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ პირობებში, როდესაც საქართველო შეუქცევადად მიდის თავისი ბუნებრივი გარემოსკენ, ევროპისკენ, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ამომრჩეველი ამ კურსს მყარად უჭერს მხარს, იმ პირობებში, როდესაც საქართველოში გაიზარდა ჩვენი თანამემამულეების ახალი თაობა, გამოჩნდა ახალი დიდი ჯგუფი ახალგაზრდობის, რომელმაც ახალ რეალიებს ფეხი აუწყო და საზოგადოებამ შევიძინეთ ახალი გამოცდილება, საბოლოო ჯამში, საქართველოში რეგრესისა და წყვდიადის ძალები ვერ გაიმარჯვებენ. ყველა სიძნელე დროებითია და ჩვენ გავაგრძელებთ წინსვლას. ჩვენ ყველამ პატივი უნდა ვცეთ არჩევნების შედეგებს. მე მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც ეს შედეგები არ მოსწონს, ნუ ჩამოუშვებთ ხელებს, ყველანაირი უკან დახევა დროებითია. იმ ტრადიციაზე დაფუძნებით, რომელიც ჩვენ შევქმენით ბოლო 10 წელიწადში და რომელსაც უკვე ვეღარაფერი ვერ აღმოფხვრის, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ძალიან კარგი მომავალი აქვს. ჩვენ გადავლახავთ ყველა სიძნელეს, ავინაზღაურებთ დაკარგულ დროს და გავაგრძელებთ სვლას უკეთესი მომავლისკენ“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 9-წლიანი მმართველობის დასრულების შემდეგ.

ნინო ბურჯანაძე: „ეს არის ტოტალური სიყალბე“

„საგანელიძესა და სხვებს მოუწევთ, კარგად გადახედონ თავიანთ შედეგებს და მოუწევთ პასუხის გაცემა“

ნანა შონია

„დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელიც მეორე ადგილზე გასულ კანდიდატსაც კი საგრძნობლად ჩამორჩება არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე საუბრობს... ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ გაერთიანდა... ბურჯანაძე „მოსალოდნელი გაყალბების“ შესახებ მხარდამჭერებს ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამზადებდა, უშუალოდ არჩევნების დღეს მის შტაბში გამართული ბრიფინგებიც სწორედ ამაზე მიუთითებდა. ბურჯანაძის შტაბში მთელი დღის მანძილზე აქტიურად კეთდებოდა განცხადებები არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით.

უბნების დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე ბურჯანაძის შტაბის ხელმძღვანელმა ირაკლი ბათიაშვილმა ხელისუფლება მთელი ქვეყნის მასშტაბით „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებაში დაადანაშაულა.

მანამდე კი „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მედიას პირადად აწვდიდა დარღვევების შესახებ ინფორმაციას.

„კატეგორიულად გამოვრიცხავ მესამე ადგილს, არჩევნებში იყო დაბალი აქტივობა და ყველაზე აქტიურები ჩვენი ამომრჩევლები იყვნენ. ჩვენ დავიცავთ ჩვენს ხმებს და ვამბობთ, რომ ყველა მონაცემებით მეორე ტური უნდა შედგეს“, - აცხადებდა ბურჯანაძე.

ზუსტად 20:00 საათზე მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის ეგზიტპოლების პირველი შედეგები გახდა ცნობილი, ნინო ბურჯანაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართა და ხელისუფლების მისამართით კიდევ ერთი მესიჯი გაგზავნა:

„მე კიდევ ერთხელ მინდა იმედი ვიქონიო, რომ „ქართულ ოცნებაში“ გაიმარჯვებს გონიერება და არა მისწრაფებები ავტოკრატიისკენ. იმედი მაქვს, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ივანიშვილს ესმის, რას ნიშნავს არჩევნების გაყალბება. ჩვენ ვაპირებთ ხმების დაცვას, არა მგონია, „ქართულ ოცნებაში“ ეთანხმებოდნენ იმას, რომ დავით ბაქრაძე პირველ ან მეორე ადგილზე ვიხილოთ, ეს არის ტოტალური სიყალბე, ყველა გამყალბებელი აგებს ადრე თუ გვიან პასუხს“, - აღნიშნა ბურჯანაძემ.

მანამ სანამ ბურჯანაძე გონიერებისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას, „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში გამარჯვება უკვე იზეიმა, მეორე ადგილზე გასულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი მთავარი ოპოზიციის სახელით ხელისუფლებას ოფიციალური მილოცვაც გაუგზავნა. ამ პროცესის პარალელურად კი კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ ბურჯანაძეს არჩევნებში დამარცხების აღიარებისკენ მოუწოდა. საგანელიძის მოწოდებამ ბურჯანაძე გააღიზიანა.

„საგანელიძესა და სხვებს მოუწევთ, კარგად გადახედონ თავიანთ შედეგებს და მოუწევთ პასუხის გაცემა“, - აღნიშნა ბურჯანაძემ.

როგორ აპირებს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი „ტოტალური სიყალბის“ წინააღმდეგ ბრძოლას? ამ კითხვაზე პასუხი ნათელია - ის ეცდება, მთავარ ოპოზიციურ ძალად ქუჩაში დაფიქსირდეს. ამისთვის ის კარგა ხანია, ემზადება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საკაშვილი ან თურქეთში წავა, ან ამერიკაში

ნინო დათაშვილი

დაიჭერენ თუ არა, დაიკითხება თუ არა, წავა თუ დარჩება... მოკლედ, ახლა ყველა იმაზე მსჯელობს, რას იზამს მიხეილ სააკაშვილი. 17 ოქტომბრიდან (თუკი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური არ გაიმართება) ის უკვე ექსპრეზიდენტი ხდება.

როგორი იქნება სააკაშვილის მეორე დღე? რას გააკეთებს ის ერთ ჩვეულებრივ დილას, როცა არც პროტოკოლით გაწერილი შეხვედრები ექნება დაგეგმილი, არც სამსახურებრივი მანქანა დაელოდება სადარბაზოსთან და არც ოფიციალური ვიზიტებისთვის დასჭირდება მომზადება?

პასუხი ყველას თავისი აქვს, სააკაშვილი საკუთარ მომავალ გეგმებზე მაინც ბუნდოვნად პასუხობს. პასუხები კი ასეთია: მეორე დღესვე დაიბარებენ მას პროკურატურაში, მესამე დღეს დააკავებენ და დანარჩენ ცხოვრებას ციხეში გაატარებს. ეს რადიკალების სურვილებია.

სხვებს მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი პოლიტიკას არ დატოვებს, დარჩება და აქტიური ოპოზიციონერი გახდება. შემთხვევით არ ატრიალებენ სააკაშვილის ფრაზას: ახალ მთავრობას ჯოჯოხეთი ელისო... ამ ჯოჯოხეთში სწორედ სააკაშვილის აქტიურობას გულისხმობენ. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს, რას უშვრებოდა სააკაშვილი შევარდნაძის კორუმპირებულ ჩინოვნიკებს...

არის სხვა ვერსიაც. სააკაშვილი საქართველოს დატოვებს, ტაიმ-აუტს აიღებს. ან ამერიკაში წავა, ან ევროპაში და ან თურქეთში. რატომ თურქეთში? ახლოს არის. რას გააკეთებს? ან ისწავლის (სწავლა სიკვდილამდე), ან ასწავლის და ლექციებს წაუკითხავს სტუდენტებს.

მაგრამ რას ფიქრობენ სააკაშვილის მომავალზე ექსპერტები.

ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:

– ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მიხეილ სააკაშვილი საკუთარი გამოცდილების გაღრმავებასა და პოლიტიკაში დარჩენას ეცდება. ეს უპირობოა. ის მისთვის კომფორტულ გარემოში ხელახლა შეეცდება საკუთარი წონის დემონსტრირებას, პირველ რიგში, თანაგუნდელებისა და შემდეგ საზოგადოების თვალში. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერს შეიძლება ვუწოდოთ ხელახლა ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობა.

რაც მოხდება მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციურ ფლანგში ყოფნის პერიოდში, ეს იქნება ძალიან ბევრი, სანახაობაზე ორიენტირებული, პოლიტიკური აქცია თუ სვლა. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ ოპოზიციამ არ იცის, რა და როგორ უნდა ქნას, მე რომ ოპოზიციაში ვიყო, ძალიან ადვილად შევძლებდი სხვადასხვა საკითხებში ხელისუფლების დამარცხებასო. იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს პერიოდში არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ალბათ, უნდა ველოდოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის ლიდერობით „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული შედეგების გაუმჯობესებას. მხედველობაში მაქვს მოსახლეობის მხარდაჭერა ადგილობრივი არჩევნებისთვის. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია საპარლამენტო არჩევნებისთვის.

ხუთი წლის შემდეგ, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებში კი გათვლა გაკეთდება იმაზე, რომ გუნდიდან მოხდეს ახალი საპრეზიდენტო კანდიდატის გენერირება. შეეცდება, მისი გუნდიდან იყოს კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო კანდიდატი. ეს არის მიხეილ სააკაშვილის შესაძლო გათვლები ხუთწლიან პერიოდზე.

– ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის დროს განაცხადა, რომ ჯერ სააკაშვილს გაუშვებს და შემდეგ თვითონ წავა პოლიტიკიდან. თქვენ თქვით, რომ სააკაშვილი ადგილობრივ არჩევნებში აქტიურად ჩაერთვება. როგორ ფიქრობთ, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ივანიშვილიც შეიძლება ჩაერთოს თვითმმართველობის არჩევნებში?

– ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო კითხვაა, რადგან ეს საკითხი საკმაოდ პრობლემური შეიძლება გახდეს მმართველი გუნდისთვის. მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის უაღრესად რთული იქნება ბიძინა ივანიშვილის გარეშე საკუთარი რიგებიდან ახალი, იმ ტიპის პოლიტიკური ფიგურის გენერირება, რომელიც, პირველ რიგში, კოალიციის შიგნით იქნება ყველასთვის მისაღები და ამავე დროს კონკურენტული თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე თუ მესამეადგილოსანთან მიმართებაში. ასეთი პოლიტიკური ფიგურა არ ჩანს. ეს კი ნიშნავს, რომ დიდი ალბათობით თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევის შემთხვევაში მმართველი კოალიციის მიერ ნარდგენილი კანდიდატი წარმატებული ვერ იქნება. ვფიქრობ, ამ პირობებში ერთადერთი, ვინც მერის არჩევნებზე საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასულის დამარცხებას შეძლებს, ის იქნება მოქმედი პრემიერი. თუ სცენარი ასე განვითარდა, საბოლოო ჯამში, თვითმმართველობის არჩევნებში ის დაამარცხებს „ნაციონალურ მოძრაობას“. სწორედ ამის შემდგომ შეიძლება პოლიტიკიდან მის საბოლოო წასვლაზე საუბარი. საბოლოო ჯამში რომ ვთქვათ, მისი ჩართვა ადგილობრივ არჩევნებში განპირობებული იქნება იმით, რომ გადაარჩინოს მმართველი კოალიცია, რადგან „ქართულ ოცნება“ ვერ შეძლებს ყველასთვის მისაღები პოლიტიკური ფიგურის გენერირებას. ამიტომ თუ კოალიციის გადარჩენა უნდა, ივანიშვილის პოლიტიკურ გუნდში ეს სხვა უნდა განიხილებოდეს.

– რა ფორმით ჩაერთვება პრემიერი თვითმმართველობის არჩევნებში?

– თბილისის მერის კანდიდატურას წამოაყენებს თვითონ.

კახი კახიშვილი, ექსპერტი:

– ... სააკაშვილს აქვს სურვილი, გახდეს საერთაშორისო მასშტაბის პოლიტიკოსი. ამიტომ არ არის გამორიცხული, ის საერთაშორისო სტრუქტურებში ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში ის არ იქნება პოლიტიკოსი, რომლის პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ მხოლოდ მის მემუარებს ნავიკითხავთ. ბუნებრივია, ყველა ეს სცენარი იმ შემთხვევაში განვითარდება, თუ პროკურატურას მის მიმართ კითხვები არ ექნება.

– შესაძლებელია, მისგან ველოდოთ საპროტესტო აქციებს მთავრობის მისამართით, როგორც ეს ხდებოდა შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს?

– რა თქმა უნდა. ის კარგი პიარტექნოლოგია, ამიტომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ გარკვეული პერიოდი შეიძლება რაღაც პაუზა აიღოს, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებში ყოველთვის ცოცხალი იქნება. შეეცდება, მოახდინოს ტელე და მედიატრიბუნების უზურპაცია, რომ საკუთარი თავი მუდმივად გაახსენოს მოსახლეობას, ამჯერად დადებითი კუთხით. როგორც კი ახალი ხელისუფლება რამე შეცდომას დაუშვებს, სააკაშვილი გამოვა და აუცილებლად გააკეთებს კომენტარს. ის შეეცდება, ყოველთვის აქტუალური იყოს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. დღეს ხედავთ, მისი აქტიურობა როგორია. ერთი მხრივ, ეს აქტიურობა აზიანებს „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიას. მას ეს ესმის. ამაზე მისი გუნდის წევრებიც ფიქრობენ, თუმცა ეს პერიოდიც კი ვერ მოითმინა და ჩუმად არ არის.

– ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის დროს განაცხადა, რომ ჯერ სააკაშვილს გაუშვებდა და შემდეგ თვითონ წავიდოდა პოლიტიკიდან. ფაქტია, სააკაშვილი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს. სავარაუდოდ, ის თვითმმართველობის არჩევნებშიც ჩაერთვება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადგილობრივ არჩევნებში ივანიშვილიც ჩაერთოს?

– სავარაუდოდ, სააკაშვილი თვითმმართველობის არჩევნებშიც იქნება „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი სახე. რაც შეეხება პრემიერს, მან განაცხადა, რომ მერობის კანდიდატი უკვე შერჩეული ჰყავს. თუ ადგილობრივ არჩევნებამდე ის კვლავ ამ აზრზე დარჩება, ბუნებრივია, ეს მხარდაჭერა გამოიხატება ბიძინა ივანიშვილის ჩართვით ამ კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაში. თუმცა ჯერ ჯერობით თვითმმართველობის არჩევნებამდე დიდი დროა. კოალიციამ განაცხადა, რომ ჯერ ისიც არ იციან, ერთიანად მიიღებენ მონაწილეობას ამ არჩევნებში თუ ცალ-ცალკე.

როგორია ექსპრეზიდენტის ხუთწლიანი გეგმა

ლევან ალაფიშვილი:

„მიხეილ სააკაშვილის ოპოზიციურ ფლანგში ყოფნის პერიოდში, ეს იქნება ძალიან ბევრი, სანახაობაზე ორიენტირებული, პოლიტიკური აქცია თუ სვლა“

კახა კახიშვილი:

„შეეცდება, მოახდინოს ტელე და მედიატრიბუნების უზურპაცია, რომ საკუთარი თავი მუდმივად გაახსენოს მოსახლეობას, ამჯერად დადებითი კუთხით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ღარიბაშვილსა და სერგ

EXCLUSIVE

ესაა ის ოთხეული, ვისთანაც ივანიშვილი ყოველთვის გადის კონსულტაციებს. „ქართული ოცნების“ დანარჩენი შემადგენლობა ზუსტად იმავე მოლოდინის რეჟიმშია, როგორშიც დანარჩენი საქართველო

my View
ინგა გრიგოლია

უკანასკნელი ერთი კვირაა, სრულიად საქართველო მკითხაობს, ვის გამოაცხადებს საკუთარ მემკვიდრედ ბიძინა ივანიშვილი.

თანამედროვე ქართული პოლიტიკის ახალი რეალობა უკვე მეტაფორებსაც გასცდა და უცნაურ რეჟიმში გადავიდა – პირდაპირ ეთერში პრემიერი რაღაცას იტყვის და მერე იწყება განმარტებებისა და გაშიფვრის სერიები... რაც თქვა – რატომ თქვა და რა იგულისხმა ან ვინ იგულისხმა...

ივანიშვილის ახალი ინტრიგა მისი მემკვიდრის ვინაობაა. მან იცის... მას გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ ჯერ არ ამბობს. მის გარდა, იცის მხოლოდ ოთხმა კაცმა – მარგველაშვილმა, ღარიბაშვილმა, სერგეენკომ და უსუფაშვილმა, მაგრამ ივანიშვილის განცხადებამდე გახმოვანებას არც ერთი არ აპირებს.

ზოგადად, სწორედ ესაა ის ოთხეული, ვისთანაც ივანიშვილი ყოველთვის გადის კონსულტაციებს. „ქართული ოცნების“ დანარჩენი შემადგენლობა ზუსტად იმავე მოლოდინის რეჟიმშია, როგორშიც დანარჩენი საქართველო.

„ქართული ოცნება“ პრემიერს ელის და როცა მისი მემკვიდრის ვინაობა დასახელდება, მათ ავტომატურ რეჟიმში მოუწევთ ახალი პრემიერის დამტკიცება, იმის მიუხედავად, მოეწონებათ თუ არ კანდიდატურა. მათთან, როგორც წესი, არავინ გადის მსგავს კონსულტაციებს. „ოცნების“ ყველაზე გავლენიანი ფიგურები სწორედ მარგველაშვილი, ღარიბაშვილი, სერგეენკო და უსუფაშვილი არიან...

ღარიბაშვილი თუ სერგეენკო – პრემიერის მემკვიდრე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲐᲛ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ – „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲐᲐᲒᲝ, ᲐᲜᲣ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲜᲙᲝᲖᲔ...

ამ ორიდან ერთ-ერთი გახდება. ის ფაქტი, რომ მომავალი პრემიერი არსებულ მინისტრთა კაბინეტიდან იქნება, თავად ივანიშვილმა დაადასტურა. ამ ორიდან არჩევანი აშკარად ერთ-ერთზეა შეჩერებული.

საინტერესო ისაა, რომ ორივე მინისტრი ბიძინა ივანიშვილის უახლოესი ადამიანია. პრემიერს მათთან წლების ურთიერთობა აკავშირებს. ღარიბაშვილთან – „ქართუ ბანკიდან“, სერგეენკოსთან კი – საჩხერის კლინიკიდან.

საკუთარ შემცვლელს ის, რა თქმა უნდა, მხოლოდ უახლოესი გარემოცვიდან დაასახელებს და არა კოალიციაში შემავალი რომელიმე სხვა პარტიიდან, რომელთა შემადგენლობის დიდ ნაწილზე ხელისუფლების მთავარი ბირთვი არცთუ მაღალი წარმოდგენისაა.

ღარიბაშვილს რომ ყველაზე ძლიერი პოზიციები აქვს მინისტრთა კაბინეტში, ეს ყველამ იცის. მისი რიდიც აქვთ, შიშიც და მოლოდინიც, რომ სწორედ ის დასახელდება. ყველამ იცის ისიც, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ივანიშვილის უპირობო ფავორიტია, რაც იმითაც დამტკიცდა, რომ სწორედ მას ჩააბარა ერთი წლის წინათ ყველაზე მნიშვნელოვანი სამინისტრო, რითაც ღარიბაშვილი ყველაზე გავლენიან ფიგურად იქცა ქვეყანაში. თავიდანვე, როდესაც მომავალ მემკვიდრეებზე საუბრობდა, თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ივანიშვილი ირაკლი ღარიბაშვილს დაასახელებდა, თუმცა ამ საარჩევნო კამპანიისას გამოიკვეთა ერთი საინტერესო დეტალი – „ქართულმა ოცნებამ“ თითქმის მთელი საარჩევნო კამპანია საყოველთაო დაზღვევის თემაზე ააგო, ანუ სერგეენკოზე...

დაზღვევა იყო უმთავრესი საკითხი ყველა წინასაარჩევნო შეხვედრასა და ტელეეთერში, რამაც მომენტალურად გააჩინა ეჭვი – ხომ არ უპირებს პრემიერობას ბიძინა ივანიშვილი ჯანდაცვის ამჟამინდელ მინისტრს...

საინტერესო იყო ისიც, რომ პირველი სწორედ სერგეენკო დაასახელა, გიორგი მარგველაშვილმაც თავის ცნობილ ჩამონათვალში, эта раз... эта два ... როცა მას მომავალი მინისტრების გვარებს ეკითხებოდნენ და სწორედ დავით სერგეენკოზე თქვა შემდეგ პირდაპირ ეთერში, რომ „დათო ყველაზე მეტად უყვარს“...

სავარაუდოდ, მარგველაშვილი ამ ფრაზას „ისე უბრალოდ“ არ იტყოდა... როცა ის „დიდ პოლიტიკაში“ ამ თემაზე საუბრობდა, ქვეტექსტად ამოვიკითხე, რომ სწორედ ის დასახელდება პრემიერად, ვინც ყველაზე ძალიან უყვარს პრეზიდენტ მარგველაშვილს და, სავარაუდოდ, ივანიშვილსაც...

წინასაარჩევნოდ ასეთი შემთხვევითი დასახელებები, როგორც წესი, არ ხდება. მით უმეტეს, რომ მარგველაშვილის ყველა ფრაზა, რასაც ტელეეთერში ამბობდა, აშკარად წინასწარ ჰქონდა გააზრებული.

სწორედ მომავალ პრემიერზეა დამოკიდებული, ვინ დარჩება ახალ მინისტრთა კაბინეტში და ვინ წავა.

პრემიერის მემკვიდრის თემამ პრაქტიკულად გადაფარა მთელი წინასაარჩევნო კამპანია. იმაზე მეტად, ვინ გახდებოდა პრეზიდენტი, ინტერესს იწვევდა – ვინ შეცვლის ბიძინა ივანიშვილს.

მას კი ორიდან ერთი შეცვლის – ღარიბაშვილი ან სერგეენკო. კვირის მთავარი თემაც სწორედ ეს იქნება. ივანიშვილი მემკვიდრეს სამშაბათს ან ოთხშაბათს დაასახელებს. დაასახელებს და წავა.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲐᲠ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲠᲐᲖᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲢᲔᲚᲔᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ბურჯანაძე ქუ

ვის და რა მიზნით შეუკვეთა „დემოკრატიუ „მოძრაობამ“ ქოლგები და საწვიმარი ლაბადები?

სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის – მინუს ბადრი ბიწაძე და ანზორ ბურჯანაძე?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ეს არის გეგმა, რომელსაც, „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ბურჯანაძის ოფისში წაგების შემთხვევაში აამუშავებენ. როგორია ეს გეგმა, რას იზამს ნინო ბურჯანაძე, თუკი ცესკოს საბოლოო შედეგები მას მესამე ადგილს მიაკუთვნებს. რა აქვს მას ჩაფიქრებული, როგორ უნდა დაიწყოს ქუჩის აქციები და რა არის საბოლოო მიზანი. ამოქმედდება თუ არა გეგმა „ბ“, ეს მხოლოდ ცესკოს საბოლოო შედეგებზეა დამოკიდებული. ბურჯანაძე ამ გეგმას ან შეასრულებს, იმიტომ რომ წააგო, ან გვერდზე გადადებს, იმიტომ რომ მოიგო... მაშ ასე, ის, რაც ბურჯანაძემ არჩევნებამდე დაგეგმა.

ოფიციალურად გაფორმებული წაგების შემდეგ ნინო ბურჯანაძე ტრადიციას არ ღალატობს და კვლავ ქუჩაში ბანაკდება. არჩევნებში დამარცხებული „დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი მხარდამჭერებს საპროტესტო აქციებზე უხმობს... ის რომ არჩევნებში სასურველ შედეგს ვერ აჩვენებდა, ამაზე მიუთითებდა თითქმის ყველა კვლევა, რაც კი წინასაარჩევნოდ ჩატარდა, მათ შორის „ქართული ოცნების“ დაკვეთით. მგონი, ეს თავად ბურჯანაძისთვისაც არ იყო სიურპრიზი, ამიტომაც პარლამენტის ექსსპიკერი წინასწარვე ამზადებდა მხარდამჭერებს მოვლენების ქუჩის სცენარით წარმართვისთვის. ამზადებდა და თავადაც ემზადებოდა. „პრაიმტაიმმა“ გადაიღო ის სანვიმარი ლაბადები, რომელიც „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ერთ-ერთ სამკერვალო ფაბრიკას შეუკვეთა. გარდა ამისა, საინფორმაციო პორტალ „ტელეგრაფზე“ გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბურჯანაძე აქტიურად ყიდულობს ქოლგებსაც. როგორც ჩანს, ის ამ დღეებში წვიმიან ამინდს პროგნოზირებს.

ლურჯი ფერის ქოლგები წარწერით: „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“ სტამბულში დაუკვეთეს. ცნობილია თბილისში დარეგისტრირებული ფირმაც, რომელმაც შუამავლის როლი შეასრულა. შპს „ჩინებული+“ ნერეთლის გამზირზე მდებარეობს. ფირმის დამფუძნებელმა ქეთევან შოშიაშვილმა „ტელეგრაფთან“ სატელეფონო ინტერვიუში დაადასტურა, რომ ბურჯანაძის პარტიისგან შეკვეთა მართლაც მიიღო.

„მე ჩემი შპს მაქვს და მინდა ქოლგებს შემოვიტან და მინდა ჭურჭელს... ლაბადები და ქოლგები სტამბულის ერთ-ერთ ფაბრიკაში შევუკვეთე და ერთი კვირის წინ ჩამოვიტანე... რა პრობლემაა? შემიკვეთეს, კონტრაქტი გავაფორმე და მორჩა!“ – განაცხადა ქეთევან შოშიაშვილმა. მისი თქმით, ბურჯანაძის პარტიისთვის 1000 ქოლგა და ამდენივე საწვიმარი ჩამოიტანა, თუმცა, არსებული ინფორმაციით, საუბარი გაცილებით დიდ შეკვეთაზეა.

ნინო ბურჯანაძის გეგმების შესახებ პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილიც საუბრობს, რომელიც მიიჩნევს, რომ ბურჯანაძე რუსეთის ხელით თბილისში არეულობის მოწყობასა და 26 მაისის სცენარის გამეორებას შეეცდება, მმართველ

გუნდში კი ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს საკმარისი ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ „ძველი სცენარების“ განმეორების პრეცედენტი არ დაუშვას.

თავად „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ქვეყანაში ქუჩის აქციებით დესტაბილიზაციის მოხდენას მის წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარს უწოდებს. ბურჯანაძის თქმით, მისმა პარტიამ, მართლაც, შეუკვეთა ქოლგები და საწვიმარი ლაბადები, თუმცა ისინი არა ქუჩის აქციებისთვის, არამედ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრებისთვის იყო გათვალისწინებული.

ის, რომ ბურჯანაძე წინასწარვე ემზადებოდა ქუჩის აქციებისთვის, ამაზე „პრაიმტაიმი“ არაერთხელ წერდა. ჩვენი ინფორმაციით, „დემოკრატიული მოძრაობის“ ინიციატივით შეიქმნა 20-კაციანი ჯგუფები, რომლებიც უშუალოდ საარჩევნო უბნებზე გადანაწილდნენ, არჩევნების შემდეგ კი თითოეულ ასეთ ჯგუფს ქუჩაში 100-მდე კაცის გამოყვანის მითითება მიეცა.

ისინი თავს რუსთაველზე მოიყრიან და საპროტესტო აქციებიც დაიწყება. დაგეგმილია ადმინისტრაციული შენობების პიკეტირება. 26 მაისის შედეგს თუ ვერ მიიღებს, ნინოს გათვლებით, მან ერთადერთი ოპოზიციონერის ტიტულის მოპოვება მაინც უნდა მოახერხოს, ეს უკვე ადგილობრივი არჩევნებისთვის.

ქუჩაში, ისევე, როგორც წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ბურჯანაძის მთავარი ლოზუნგია – სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის! ერთი შეხედვით მართლაც მიმზიდველი მონოდებაა, რომ არა ერთი უხერხულობა. აქ თქვენს ყურადღებას აღარ გავამახვილებ ყბადაღებულ 1-ლარიან აგარაკზე, 7 ნოემბერსა და 26 მაისს მის პასუხისმგებლობაზე. თუკი ბურჯანაძე ყველგან და ყველასთვის ითხოვს სამართლიანობას აღდგენას, ალბათ, მას მისი ოჯახის ბეგრაუნდსაც შეახსენებენ. ეს ბეგრაუნდი კი დიდი სამართლიანობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა.

„სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის“ – მინუს ბადრი ბიწაძე?

მართალია, თავად ბურჯანაძეს წარსულზე საუბარი არ უყვარს, მაგრამ მას ყველაზე ხშირად სწორედ წარსულს ახსენებენ ხოლმე. მაგალითად, სასაზღვრო პოლიციაში მისი მეუღლის მოღვაწეობას. მკითხველს გავახსენებ, რომ ბადრი ბიწაძეს მისი მეუღლის მიერ „ვარდების რევოლუციაში“ შეტანილი წვლილის სანაცვლოდ სასაზღვრო პოლიციის შეფის სტატუსი უბოძეს. ბიწაძემ, დანიშვნისთანავე, ამ უწყების 9-მილიონიანი ბიუჯეტის დაუყოვნებლივ გაზრდა მოითხოვა. გაიზარდა კიდეც – 2007 წელს დაფინანსებამ 62 მილიონს მიაღწია, 2008 წელს კი, ბურჯანაძის კატეგორიული მოთხოვნით, 80 მილიონს გადააჭარბა. როგორც სააკაშვილის ეკონომიკური გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი იხსენებს, ბურჯანაძის მოთხოვნას ბოლო პერიოდში შანტაჟის ტონი შეეპარა: თუ ბადრის ბიუჯეტს არ გაუზრდით, პირს გავაღებ და ყველაფერს ვიტყვიო, ამიტომაც 2009 წელს ბიწაძის მიერ მოთხოვნილი თანხა უპრეცედენტო აღმოჩნდა. მაშინ, როცა მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება საგრძნობლად შემცირდა და საერთო ბიუჯეტი 500 მილიონი ლარით განისაზღვრა, ბიწაძე თავისი უწყებისთვის, 80 მილიონის ნაცვლად, უკვე 112 მილიონს ითხოვდა, თანაც ისე, რომ წყალი არ უნდა გასვლოდა მის მოთხოვნას. წარმოიდგინეთ, 500 მილიონიდან მხოლოდ საზღვრის დაცვისთვის 112 მილიონი უნდა დახარჯულიყო, შსს-ს დანარჩენ და არანაკლები მნიშვნელობის სამმართველოებსა და დეპარტამენტებს (მაგალითად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, პოლიციის სამმართველოები, ანტიტერორისტული ცენტრი, სოდ-ი, კუდ-ი და სხვა), რომელთა რაოდენობა 35-ს აჭარბებს, მხოლოდ დარჩენილი 388 მილიონი უნდა ეკმარათ. ეს ის პერიოდია, როცა ბურჯანაძე უკვე ოპოზიციაში აპირებს გადაბარგებას, ბიწაძე კი სასაზღვროში ბოლო დღეებს ითვლის. იმის გამო, რომ ბადრის 112-მილიონიან დაფინანსებაზე უარი უთხრეს, მან საგანგებო ბრიფინგი გამართა და საზოგადოებას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ამცნო, თუმცა ცხადია, ბიუჯეტი, უბრალოდ, საბაბი იყო და თავადაც კარგად ხვდებოდა, რომ ერთდროულად ოპოზიციაში გადაბარგებული ბურჯანაძის მეუღლე და შსს-ს მაღალჩინოსანი ვერ იქნებოდა. ბიწაძე გადადგა, თუმცა მისი ხელმძღვანელობისდროინდელი სკანდალები ახლაც კვებავს ქართულ მედიას. ერთ-ერთი ასეთი სკანდალი კი სასაზღვრო ზოლს უკავშირდება. ვინ და რა მიზნით აითვისა საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის სასაზღვრო პერიმეტრი? რა კორუფციულ გარიგებას ჰქონდა ადგილი და რატომ ითხოვდა ნინო ბურჯანაძე სასაზღვრო ზოლის გაფართოებას? ამ საკითხზე თავის დროზე საკმაოდ სერიოზული დაპირისპირება მოხდა ნინო ბურჯანაძესა და მთავრობის წევრებს შორის. მაშინდელი კანონის მიხედვით, სასაზღვრო ზოლად მითითებული იყო 5-კილომეტრიანი პერიმეტრი. ბადრის ამ საკითხისადმი საბჭოური მიდგომა ჰქონდა. საბჭოთა კავშირის დროს სასაზღვრო პერიმეტრი ჩაკეტილი იყო და იქ ლამის ჩიტებსაც კი უკრძალავდნენ ფრენას... ბურჯანაძე-ბიწაძის წყვილი კატეგორიულად მოითხოვდა სასაზღვრო პერიმეტრის გაფართოებას. თანამედროვე ტექნოლოგიები ისე განვითარდა, რომ საზღვრის სიდიდეს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. თანამედროვე არტილერია უფრო შორს ისვრის, ვიდრე 5 კილომეტრია და სამხედრო თვითმფრინავებს 5 კილომეტრის გადაფრენა სულ რამდენიმე ნამში შეუძლია. ამრიგად, უსაფრთხოების თვალსაზრისით 5-კილომეტრიანი ზოლი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი არ გახლდათ. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ამ ზოლის შემცირების საკითხი. რამდენიმე მინისტრი აქტიურად იბრძოდა, ეს ზოლი 50 მეტრამდე ჩამოსულიყო, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ბურჯანაძე-ბიწაძის წყვილი. საბოლოოდ, კომპრომისის შედეგად ნახევარკილომეტრიანი ზოლი დადგინდა. ამის მიუხედავად, ბადრი ბიწაძე, როგორც წესი, არავის ემორჩილებოდა – მს მინისტრმა და მთავრობამ კი ასე დაადგინეს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩაში გამოდის

აქვს, რადგან ჩვენ წინააღმდეგი ვართო. ჩნდება ლოგიკური კითხვა – რატომ იყო ბინაძე დაინტერესებული სასაზღვრო ზოლის გაფართოებით? საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლები ამ კითხვას ყველაზე უკეთ გასცემენ პასუხს, თუმცა ეს არც თქვენ გაგიჭირდებათ, თუ იმდროინდელ აეროფოტოგადაღებებს გადაავლებთ თვალს. ვნახავთ, რომ სასაზღვრო ზოლში შემავალი ტერიტორია ნაკვეთებად არის დაყოფილი, ყველა მათგანი მოხნული და დამუშავებულია. ვინ ითვისებდა ამ ნაკვეთებს? ცხადია, ადგილობრივები, რომლებიც ნებართვას მესაზღვრეებისგან იღებდნენ, ანუ სახეზეა მარტივი კორუფციული სქემა, რომლითაც „ზევით" ვიღაც გვარიანად სარგებლობდა.

„სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის" – მინუს ანზორ ბურჯანაძე?

თუკი სამართლიანობაა, იყოს სამართლიანობა, თანაც ყველგან და ყველასთვის... სწორედ ეს სამართლიანობა მოითხოვს იმის გარკვევასაც, რატომ ითხოვდა პარლამენტის იმდროინდელი თავმჯდომარე ანზორ ბურჯანაძისთვის ათობით მილიონი აშშ დოლარის სახელმწიფო სესხის ჩამოწერას? რის საფუძველზე ჩამოაწერა მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ბურჯანაძეს ეს დავალიანება და ვისი ინიციატივით დაიხურა მთავრობის სხდომა, სადაც ვალების რესტრუქტურიზაციაზე იყო საუბარი?

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც ზურაბ ჟვანია რამდენიმე დღის გარდაცვლილი გახლდათ. პრემიერის პოსტზე ახლად დანიშნული ზურაბ ნოღაიდელი მთავრობის პირველ სხდომას უძღვებოდა. სხდომა ნინო ბურჯანაძის მოთხოვნით დაიხურა. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც ქვეყნის მეორე პირი პრემიერ-მინისტრს სხდომის დახურვას სთხოვს, თუმცა აქ სულ სხვა ინტრიგა იდო. დახურულ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა უიმედო სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის საკითხი განიხილა. ყველაზე მსხვილი „უიმედო სესხი" კი ანზორ ბურჯანაძეს ჩამოაჭრეს. ალბათ, სწორედ ამიტომ მოითხოვა ბურჯანაძემ სხდომის დახურვა, რადგან არ სურდა ამ ამბის გახმაურება, თუმცა ანზორ ბურჯანაძის მილიონების ამბავი არათუ გახმაურდა, არამედ პრესაში ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც კი გამოჩნდა. საუბარია საქართველოს მთავრობის #23 განკარგულებაზე, რომელიც 2005 წლის 24 თებერვლით თარიღდება და რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აწერს. განკარგულების მეორე პუნქტში ვკითხულობთ:

...როგორც უიმედო სასესხო დავალიანება, საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო სააქციო კომერციულ კორპორაციას ჩამოეწეროს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის 1993 წლის 29 ოქტომბრის #2139 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფილი სესხი (11 მილიონ 784 ათას 625 აშშ დოლარი), სარგებელი (10 მილიონ 74 ათას 806 აშშ დოლარი) და განკარგულების ამოქმედების დღისთვის რიცხული საურავი.

ბ) საქართველოს რეспუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1995 წლის 27 ივლისის #497 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი სესხი (27 მილიონ 37 ათას 783 აშშ დოლარი), სარგებელი (250 000 აშშ დოლარი) და განკარგულების ამოქმედების დღისთვის რიცხული საურავი.

P.S. რაკიღა დღეს ნინო ბურჯანაძე სამართლიანობის აღდგენის ინიციატივით გამოდის, კარგი იქნება, თუ ეს სამართლიანობა მართლაც ყველგან და ყველასთვის აღდგება. მათ შორის იმ ადამიანებისთვის, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში საათობით ნავთისა და პურის რიგში იდგნენ, პურპროდუქტების საწარმოს ხელმძღვანელი ანზორ ბურჯანაძე კი სახელმწიფო ხაზინიდან მილიონებს იღებდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ გაიღებს

მარგველაშვილი, ღარიბაშვილი თუ ვიღაც სხვა

ქეთი ხატიაშვილი

როდის დაასახელებს ივანიშვილი პრემიერს, რა შემთხვევაში შეიძლება გიორგი მარგველაშვილი ივანიშვილის მემკვიდრე გახდეს, რატომ აქვს ღარიბაშვილს ყველაზე მაღალი შანსები და რა შემთხვევაში დასახელდება სხვა. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური არჩევანი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, საპრეზიდენტო შედეგებზე და მეორე მხრივ, თავად ივანიშვილის გეგმებზე: რა სურს მას – აკონტროლოს თუ მართოს? შესაბამისად, პრემიერი შეიძლება გახდეს გიორგი მარგველაშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი ან ვინმე სხვა და ვინ, ეს უკვე აღარ იქნება მნიშვნელოვანი.

ბიძინა ივანიშვილი საკუთარ გუნდს რუბიკის კუბიკივით აწყობს. თითქოს ეს „სათამაშო“ მხოლოდ მას უჭირავს ხელში და ფერებს მხოლოდ მისთვის ცნობილი ტექნოლოგიებით ალაგებს – გრძნობს ან იცის, ვის სად რა ადგილი უნდა მიუჩინოს, რომ აწყობილი ფერები აღარ დაიშალოს. ანუ ის ვერტიკალს აწყობს...

მის ფსონებს თუ დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ მან არჩევანი ხმაურიან და სკანდალურ ფიგურებზე კი არ გააკეთა, არამედ მშვიდი და საქმიანი იმიჯის ადამიანებზე. სტანდარტი ევროპულია. გათვლა მარტივი – იმუშაავეთ და ლიდერობისთვის საერთო სახალხო კონკურენციაში ნუ შეხვალთ ერთმანეთთან. ლიდერი გუნდია და არა ცალკეული პიროვნებები. ალბათ, სწორედ ასე შეიძლება, ნავიკითხოთ მისი ხელწერა და სურვილი – ნაკლებად ამბიციურ ადამიანებზე გააკეთოს აქცენტი.

ირაკლი ალასანია სწორედ მისი ამბიციურობის გამო დაიწუნეს. ის ვერ ჩაეტია მისთვის გამოყოფილ კვადრატში. პრეზიდენტადაც ამიტომ არ წამოაყენა. შეთქმულებების თეორიებს ამ თემაზე ალასანია უფრო აწყობს, რომელიც მიიჩნევს, რომ მას ებრძვიან... რეალურად კი ვერ ხედავს, რომ პრობლემები მის ამბიციებშია. ივანიშვილს არ სჭირდება „ამრევები“.

ახლანდელმა პრემიერმა ზუსტად იცის, რას არ გადააბიჯებს გიორგი მარგველაშვილი. ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ ის, რის უფლებაც ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს არ ექნება, იმ უფლებებისკენ მარგველაშვილი არ გაინევს. მაშინ როცა ირაკლი ალასანია აუცილებლად გადაინევდა სხვების კვადრატებისკენ...

მოკლედ, ეს ის ფიგურები არიან, რომლებიც პოლიტიკურ გავლენებში პარლამენტს არ და ვერ შეეცილებიან. პარლამენტის ვერტიკალში კი გავლენებისთვის ბრძოლაში არავინ დაიხარჯება. ირაკლი ალასანია შეეცადა ლიდერობას, მაგრამ ღარიბაშვილთან ბრძოლაში დამარცხდა.

ირაკლი ღარიბაშვილი ლიდერია... ბიძინა ივანიშვილს რამდენჯერმე მიანიშნეს კიდეც ირაკლიზე, თქვენი ფავორიტიაო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი ამ დამოკიდებულებას ღიად არ ამჟღავნებს. თუმცა, ამბობენ, რომ სწორედ მას ენდობა ყველაზე მეტად და ყველაზე საპასუხისმგებლო „კვადრატიც“ – შსს სწორედ მას ჩააბარა, ესე იგი ფავორიტია.

თავის დროზე ფავორიტად დავით სერგეენკოც დასახელდა. ბიძინა ივანიშვილმა მას საკმაოდ მძიმე სფერო ჩააბარა – ჯანდაცვის სამინისტროს რეფორმირების საკითხი საერთოდ არ განიხილებოდა შევარდნაძის დროს, მძიმედ მიმდინარეობდა სააკაშვილის მმართველობისას და ახლაც ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს.

ირაკლი ღარიბაშვილს თუ ირაკლი ალასანია დაუპირისპირდა, დავით სერგეენკოს წინააღმდეგ კამპანიის წამოწყება პარლამენტში კობა დავითაშვილმა წამოიწყო. თუმცა, უშედეგოდ. უკან დახევა დავითაშვილსაც მოუნია, თანაც მობოდიშების სტილში.

ივანიშვილი დახურულ კარს მიღმა ორივე „კონფლიქტში“ ჩაერია ვითარების განსამუხტავად. ჯერ კობა დავითაშვილი მიხვდა, რომ ჯანდაცვის რეფორმირებასთან დაკავშირებით შეკითხვები აღარ აქვს, შემდეგ უკვე ალასანიამ იგრძნო ღარიბაშვილის ძალა.

შს მინისტრის მთავარ მიღწევად და დამსახურებად პოლიციის დეპოლიტიზებას ასახელებენ. ღარიბაშვილს არ გასჭირვებია, დაეფიქსირებინა საკუთარი უარყოფითი პოზიცია იმაზე, რასაც პარლამენტის თავმჯდომარემ ისტორიული მოვლენა უწოდა. საუბარია ფართომასშტაბიან ამნისტიაზე. ის, რაც უსუფაშვილისთვის ისტორიული იყო, ღარიბაშვილისთვის არასწორი აღმოჩნდა. ღარიბაშვილი მართალს ამბობდა, ამნისტირებულებს შორის ისინიც მოხვდნენ, ვისი გარეთ გამოშვება მართლაც არასწორი იყო.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ღარიბაშვილმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა, პარლამენტმა კი თავისი გაიტანა. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ახალ ხელისუფლებაში დავით უსუფაშვილი გამოკვეთილი ლიდერია. ეს ლოგიკურიცაა. უსუფაშვილი კარგი იურისტი და გამოცდილი პოლიტიკოსია. ამასთანავე, ერთადერთია, ვისაც შეუძლია თქვას: ბატონ ბიძინას ვერ დავეთანხმებიო.

მაგალითად, დავით უსუფაშვილმა არ გაიზიარა ბიძინა ივანიშვილის პოზიცია ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებით.

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით:

– ადეიშვილი ჩემთვის ძალიან საინტერესო პიროვნებაა. სხვათა შორის, წინა ხელისუფლებაში ჩემთვის ყველაზე საინტერესო გადმოსახედიდან ყველაზე ნიჭიერი კაცი იყო ადეიშვილი. მე რომ ვყოფილიყავი მთავრობის მეთაური ადეიშვილის დროს, დარწმუნებული ვარ, საუკეთესო ჩინოვნიკი იქნებოდა დღეს.

დავით უსუფაშვილი:

– მე არასდროს დამითვლია ადეიშვილის მილიონები, მაგრამ მჯერა, რომ არანაკლებ იყო გასვრილი, არანაკლებ ვინმეზე, თუმცა არ დამითვლია. მაგრამ ასევე ვიცი მისი ცხოვრების წესი, ზურაბ ადეიშვილი თქვენ ბოლოს როდის ნახეთ ცხოვრებაში, ან ეთერში... მე მგონი, ივანიშვილი და ადეიშვილი ორნი იყვნენ, ვინც ვიცოდით, რომ არსებობდნენ, მაგრამ არ ჩანდნენ, ძალიან თავისებური ადამიანი იყო ეს ადამიანი და არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც ისეთ პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ ამით იმას არ ვამბობ, რომ მას არ ჰქონდა ან მილიონები ან კორუფციაში არ ჰქონდა ფეხი ჩაბიჯებული. მეტიც, მთელი ამ დანაშაულებრივი სისტემის, მათ შორის, გიგი უგულავას წინააღმდეგ ახლა გამოძიება რაც მიდის, სამი მეოთხედი ეს არის ზურაბ ადეიშვილის გამოძიებული. ედო თაროზე და ყველა დანარჩენზე. ანუ მართლა ხელში ეჭირა ძალიან ბევრი ადამიანი და ვინმე...

ეს არ იყო არც პირველი და არც ბოლო ასეთი შემთხვევა. როცა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ თავად მოფიქრებული და გადაწყვეტილი აქვს, ვინ იქნება

პრემიერი, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ უმრავლესობა იმსჯელებს, მიუღებელი კანდიდატურა დაიბლოკებაო, დაახლოებით ასე გაიჟღერა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებამ.

მაშინ როცა იგივე გიორგი მარგველაშვილის შემთხვევაში, როცა პრემიერმა თქვა: მეორე ტური თუ იქნება, მე ვურჩევ მარგველაშვილს, მონაწილეობა არ მიიღოს არჩევნებში, ქართული კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატმაც იგივე გაიმეორა: არ ვაპირებ მეორე ტურში მონაწილეობის მიღებასო.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობებს, არც შს მინისტრია პლასტენილის. მას შეუძლია, განსხვავებული მოსაზრება დაიფიქსიროს არა მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარისგან არამედ პრემიერისგანაც. ერთი მაგალითი უკვე მოვიყვანეთ, ამნისტიას მხარს პრემიერიც უჭერდა და პარლამენტიც, წინააღმდეგი მხოლოდ ღარიბაშვილი იყო.

მეორე ეგრეთწოდებულ „ოდეერებს“ ეხებათ. მისი არსებობა ივანიშვილმა აღიარა, ღარიბაშვილის უწყებამ უარყო.

ბიძინა ივანიშვილი ეგრეთწოდებულ „ოდეერებზე“:

– მთავრობის სხდომაზე ამ საკითხზე ორჯერ მქონდა განხილვა და კრიტიკული პოზიციებიც მოვისმინე. სამწუხაროდ, დეტალებს ვერ გავახმაურებ, მაგრამ ამ მიმართულებითაც მდგომარეობას შევცვლით. ჩვენ მაქსიმალურ გამჭვირვალობას უნდა მივაღწიოთ.

შს სამინისტრომ სხვადასხვა უწყებაში ეგრეთწოდებული „ოდეერების“ არსებობა უარყო.

ასე რომ, ორი გამოკვეთილი ლიდერი არსებობს. ერთი უკვე პარლამენტის თავმჯდომარეა, გახდება თუ არა მეორე ლიდერი შს მინისტრი პრემიერი?

ყველა ლოგიკით პრემიერი სწორედ ის უნდა გახდეს. მით უფრო, თუ პარლამენტი მაინც მოსთხოვს და იმ პირობას შეასრულებს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ უკვე პროგრამაში უდევს – ორად გაყოს შსს. მის გაყოფას ადრეც მოითხოვდნენ ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების დროს... ახლა მის გაყოფას რესპუბლიკელები უჭერენ მხარს, თუმცა საკითხი დღის წესრიგში მაინც არ დგას.

მეორეც, ირაკლი ღარიბაშვილის დატოვებით, ბიძინა ივანიშვილის წასვლა უფრო დამაჯერებელი გახდება. რა თქმა უნდა, ივანიშვილის აზრსა და შეხედულებებს ღარიბაშვილიც ყოველთვის გაითვალისწინებს. თუმცა, ის უფრო ტოვებს დამოუკიდებელი და გადაწყვეტილების მიმღები ადამიანის შთაბეჭდილებას და, სავარაუდოდ, ასეც არის, ვიდრე ვინმე სხვა, თუნდაც იგივე სერგეენკო. ჯანდაცვის მინისტრის დანიშვნით ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ იმ ექსპერტების ეჭვებს გაამყარებს, რომლებიც ამბობენ: ივანიშვილი კი არ მიდის, კულისებში გადავა და იქიდან დაიწყებს ქვეყნის მართვასო.

კიდევ ერთი, ახალი კონსტიტუციით, პრემიერი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ხდება და მას პოლიტიკური დატვირთვაც ექნება. ანუ არ იქნება მხოლოდ ეკონომიკური პროფილის. ეს პოლიტიკური პოსტიცაა. საპარლამენტო მოწყობის სახელმწიფოში პრემიერი ვერ გახდება ნიკა გილაურის მსგავსი ფიგურა და მხოლოდ იმიტომ, რომ ნიკა არ იყო პოლიტიკური ფიგურა და პოლიტიკისადმი ინტერესი სრულებითაც არ ჰქონდა.

ასე რომ, ბიძინა ივანიშვილის მემკვიდრეს პოლიტიკური აღიარებაც უნდა ჰქონდეს. მას ვერტიკალში პატივს უნდა სცემდნენ და მის გავლენებს გრძნობდნენ. დაახლოებით ისე, როგორც ალასანიამ იგრძნო ღარიბაშვილის გავლენები და ძალა პირველივე შეტევაზე... ამიტომაც, ჯიჰადის გამოძიების ძმდეგ შს მინისტრს გაცინებული სახით ენვია კიდეც სამინისტროში...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ მიდის ივანიშვილი – იმისთვის, რომ აკონტროლოს თუ იმისთვის, რომ მართოს

ასე რომ, არ არის გამორიცხული, ივანიშვილის მემკვიდრედ სწორედ ღარიბაშვილი ვიხილოთ. მისი გავლენები უკვე იგრძნობა ვერტიკალზეც და პარლამენტშიც.

თავად ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– ბატონი ბიძინა არის ბრძენი ადამიანი. მან ყოველთვის ზუსტად იცის, რასაც აკეთებს. ასე რომ, მე ვერავითარ განმარტებას ვერ გავაკეთებ. ბატონმა ბიძინამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ ყველა მისი ნაბიჯი იყოს ზუსტად გათვლილი. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კიდევ უფრო კარგად იყოს ჩვენი ქვეყანა და უკეთესად იცხოვროს ჩვენმა ხალხმა. მე უნდა ვთქვა იმ სპეკულაციების თაობაზე, რომ ბატონი ბიძინა მიდის ან მსგავსი რამ. მე მინდა შეგახსენოთ ყველას, რომ ბატონი ბიძინა არასოდეს ყოფილა წასული. პირიქით, ის ყოველთვის ქვეყნისა და ხალხის გვერდით იდგა. და ის ყოველთვის იქნება და დარჩება ხალხთან ერთად... თანამდებობას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ, ყველანი, უნდა ვიყოთ ხალხისა და ქვეყნის სამსახურში.

ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით:

– ამ საკითხზე კონსულტაციები პრიორიტეტული არ არის. პრიორიტეტული საპრეზიდენტო არჩევნებია. დარწმუნებული ვარ, არჩევნები ჩაივლის და კარგი შედეგები დაფიქსირდება. ჯანდაცვის მინისტრობაც არ ყოფილა ჩემი ბავშვობის ოცნება. რაც ქვეყანას დასჭირდება, ის იქნება პრიორიტეტი ჩემთვისაც.

ასე რომ, უკვე ამ კვირაში გახდება ცნობილი, ვინ იქნება პრემიერი. საკუთარი ფსონით ბიძინა ივანიშვილი ბევრ რამეს იტყვის, პირველ რიგში კი იმას – ის მიდის იმისთვის, რომ აკონტროლოს თუ მიდის იმისთვის, რომ მართოს.

და კიდევ:

უკვე სულერთი ხდება, ვინ გახდება პრეზიდენტი. ვინც არ უნდა აირჩიოს ხალხმა, ივანიშვილის მემკვიდრეზე ეს მაინც არ იმოქმედებს. ნინო ბურჯანაძეს კი ჰგონია, რომ შეძლებს ამ პროცედურაში ჩარევას. თუმცა, ბურჯანაძის გამარჯვების შემთხვევაში, ის ამ პროცედურაში ვერ ჩაერევა. კონსტიტუციის მიხედვით პრემიერის კანდიდატურა პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს, თუმცა, თუკი კანდიდატურაზე შეთანხმება ვერ მოხერხდება, მაშინ პრემიერის თავად პარლამენტი დაამტკიცებს, პრეზიდენტის გარეშე.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ივანიშვილი საკაშვილი არ არის, რომ მხოლოდ გამარჯვებაზე გათვალოს, ის წაგების ვარიანტსაც უშვებს, ამიტომაც, პრემიერის დასახელებას არ ჩქარობს. თუკი მეორე ტური მაინც გაიმართება და გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო „გონკაში" მონაწილეობაზე უარს იტყვის, მაშინ სწორედ ის დაიკავებს პრემიერის პოსტს. პრეზიდენტი კი ან დავით ბაქრაძე გახდება, – ყველაზე მეტი შანსი სწორედ მას აქვს, – ან ნინო ბურჯანაძე, რომელიც ირწმუნება, რომ მეორე კი არა, პირველია.

ასე რომ, ივანიშვილი ელოდება საპრეზიდენტო მარათონის შედეგებს და გადაწყვეტილებასაც შემდეგ გამოაცხადებს.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

მინისტრები გაანკითხა

ვის რისთვის ერჩოდნენ და ვინ რითი დაამახსოვრდა ხალხს

ირაკლი ალასანია

თეა წულუკიანი

ბიძინა ივანიშვილი:
„არის კითხვები ერთი-ორ მინისტრზე და სამინისტროზე და არ ვიჩქარებ ამაზე საუბარს. სუსტ ადგილებში ბევრ დროს ვხარჯავ და ვეხმარები. მაქვს რაღაც კითხვები, თუმცა არ ვიჩქარებ და იქნებ შიგნითვე დავარეგულიროთ“

ხათუნა მგალობლიშვილი

„საოცნებო“ პრეზიდენტის არჩევის შემდეგ მეოცნებეების დღის წესრიგში ორი საკითხი დადგა: პრემიერის ჩანაცვლება და მინისტრთა კაბინების ხელახალი დამტკიცება. პრემიერის ვინაობა კვირის ბოლოს გაირკვევა. პარტიას კანდიდატურის შერჩევაზე შიდამორატორიუმი ჰქონდა გამოცხადებული და მსჯელობისთვის მხოლოდ მარგველაშვილის ფინალში გასვლის შემდეგ მოიცალეს. ივანიშვილის შემცვლელის ოფიციალურად დასახელების შემდეგ მინისტრთა კაბინეტს მომავალი პრემიერი მოქმედთან ერთად კიდევ ერთხელ გადაავლებს თვალს და არ არის გამორიცხული, რომ პატარა ცვლილება განხორციელდეს. ივანიშვილმა თავად განაცხადა, ერთი მინისტრის შეცვლაზე ვფიქრობ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ მაქვსო. ბუნებრივია, ის „ერთი მინისტრი“ ხმამაღლა არ დასახელებულა. პრემიერი ყოველთვის ასე იყო, საკუთარ გუნდში პრობლემის დამალვა პირველი გზა იყო და ახლაც ასე რჩება. ასე დაიწყო დავით კირვალიძის სკანდალიც. თუმცა დღეს ეს მინუსი არავის ახსოვს. უფრო სწორად, არ აწყობთ, რომ ახსოვდეთ და არც იხსენებენ. საპარლამენტო უმრავლესობა ამაყობს, არც ერთი ჩვენგანი კორუფციაში ბრალდებული არ არის და არც ყოფილაო. ხელისუფლებაში მოღვაწეობის ერთ წელს გულისხმობენ, თუმცა სამართლიანი იქნება ყველამ, ვინც ამ წინადადებას ამბობს, ერთი დამატება გააკეთოს: კირვალიძის გამოკლებით...

დავით კირვალიძე „ქართული ოცნების“ პირველი მარცხი იყო. თანაც ძალიან შევარდნაძისეული მარცხი. კორუფცია - ეს სააკაშვილის მიერ პირველი დამარცხებული მტერი იყო, რომელზეც საზოგადოებაში ხუმრობდნენ კიდეც, 9 წლიანი „ჩავარდნის“ შემდეგ შევარდნაძის სიტყვები გვიბრუნდება ყოველდღიურ ცხოვრებაშიო... ამ დამსახურებას დავით კირვალიძეს ვერც „ოცნება“ წაართმევს და მით უფრო, ვერც ქართული საზოგადოება. ფაქტია, რომ კირვალიძე ტრაქტორების ბიზნესში თუ სოფლის მეურნეობის პროგრამებში აიხლართა და სერიოზული ფინანსური გარღვევაც მიიღო. თანაც ისეთი, რომ პრემიერმა, უამრავი მცდელობის მიუხედავად, გუნდში ვერ დამალა. ყველაფერი კი ერთი მარტივი წინადადებით დაიწყო...

ბიძინა ივანიშვილი:

– საკმაოდ ეფექტური მთავრობა და კარგი მინისტრები გვყავს. არის კითხვები ერთი-ორ მინისტრზე და სამინისტროზე და არ ვიჩქარებ ამაზე საუბარს. სუსტ ადგილებში ბევრ დროს ვხარჯავ და ვეხმარები. მაქვს რაღაც კითხვები, თუმცა არ ვიჩქარებ და იქნებ შიგნითვე დავარეგულიროთ. ძალიან კარგი მთავრობა გვყავს და არავითარი ცვლილება არ იგეგმება.

ეს სიტყვები ჯერ კიდევ კირვალიძის მინისტრობის დროს არის ნათქვამი. ფაქტია, რომ ერთი მინისტრი გადაურჩა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელის გავლილი გზის გამეორებას. დავით კირვალიძე მინისტრობიდან გაუშვეს, უფრო სწორად აიძულეს, რომ წასულიყო, რადგან ეს იდეალური გამოსავალი იქნებოდა. მალევე დაიჭირეს რამდენიმე დამნაშავე, რომლებზეც თავად კირვალიძე ბოლომდე ირწმუნებოდა პატიოსანი ხალხი ტყუილად ჩასვეს ციხეშიო და რაც მთავარია - თავად უკვე ყოფილი მინისტრი იმედს არ კარგავდა, რომ სამართლიანობის აღდგენის შედეგად მინისტრის პოსტს დაიბრუნებდა. სხვათა შორის ეს ბიძინა ივანიშვილის ოცნებაც იყო. უფრო სწორად კი, ღირსების ამბავი. მას დიდი სურვილი ჰქონდა დამტკიცებულიყო, რომ კირვალიძე უდანაშაულო იყო, თუმცა ასე არ აღმოჩნდა. შესაბამისად სოფლის მეურნეობის ვაკანტური ადგილი შალვა ფიფიამ დაიკავა.

პრინციპში კირვალიძე „ოცნების“ წარსულია. აი, სოზარ სუბარი და ირაკლი ალასანია კი „ოცნების“ მოქმედი პრობლემები არიან. სოზარს და ალასანიას წარსულში „ალიანსი“ აერთიანებთ, აწმყოში კი პრობლემები გუნდში. ოღონდ, უკვე „ოცნებაში“. ეს სიტუაცია კვერცხის და ქათმის ისტორიას ჰგავს, ვერ იტყვი რომელს უფრო ადრე გაუჩნდა პრობლემა ივანიშვილთან, სოზარს თუ ალასანიას... სოზარ სუბარი იყო მინისტრი, რომლის შეცვლაზეც საუბარი ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე კვირაში დაიწყეს. შესაძლოა, იმიტომაც, რომ მას ყველაზე მძიმე უბანი შეხვდა. ციხეში ვითარების შეცვლა მარტივი არ იქნებოდა, ეს თავიდანვე ჩანდა. #16 ციხის პატიმრები პირველები იყვნენ, ვინც ხელმძღვანელის შეცვლა მოსთხოვეს. სუბარი დათმობაზე წავიდა და ლევან აბურჯანია სიმშვიდეს შესწირა, მაგრამ #16 ციხეს სხვები აჰყვნენ იგივე მოთხოვნით. აქ კი სოზარი დაფიქრდა და აღიარებაც გააკეთა.

სოზარ სუბარი:

- საჭიროების შემთხვევაში ყველა პატიმარი მკაცრად დაისჯება.

ბუნტების ისტორიას ციხეში გარდაცვლილი პატიმრების ისტორიები მოჰყვა. უწყებაში პრობლემები ისევ რჩებდა და ალბათ, დარჩება მანამ, სანამ საზოგადოებაში არ გაჩნდება ნდობა. სოზარს ამ ეტაპზეც იმის მტკიცება უწევს, რომ ძველაიას გარდაცვალება თვითმკვლელობის შედეგი იყო და არა მკვლელობის...

ამ მხრივ იგივე როლს ასრულებს ალასანიაც. განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე კვირაა, ის, ძირითადად თავის მართლებით არის დაკავებული. თავდაცვის მინისტრისთვის მძიმე პერიოდი 2012 წლის ოქტომბრიდანვე დაიწყო. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა პირველი დარტყმა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსისგან მიიღო. გიგი კალანდაძემ აღიარა, რომ თავდაცვის მინისტრმა მისგან ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მოსთხოვა. თანაც ისე, რომ საკუთარ მოთხოვნას მინისტრი სამართალდამცავებთან თანამშრომლობით ხსნიდა. კალანდაძის სკანდალის შემდეგ ირაკლი ალასანიას პრობლემები უკვე ჯარში შეექმნა. უვარგისი პროდუქტების გამო დაწამლული ჯარისკაცების საქმეს გრიფით საიდუმლო დაედო, ამან კი პრემიერის გაოგნება გამოიწვია. მოწამვლის პირველი ფაქტის დაფიქსირებისთანავე ალასანია გამოვიდა და განაცხადა, მენეჯმენტი შეიცვალა და მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდებაო, თუმცა განმეორებიდთი ფაქტი მეორე დღესვე დაფიქსირდა. ამის შემდეგ ექსპერტების კრიტიკის სერიაც დაიწყო. მათ სათავეში კი თავად პრემიერი, ბიძინა ივანიშვილი იდგა. ექსპერტებმა ღიად განაცხადეს, რომ ალასანია შეიარაღებულ ძალებში ვერ ერკვევა და შესაბამისად ვერც პრობლემების მოგვარებას შეძლებსო.

გიორგი თავდგირიძე, ექსპერტი:

- ჯანმრთელობის უზრუნველყოფა შეიარაღებულ ძალებში ყველაზე მარტივი საქმეა, ტექნიკურად ყველაზე ადვილი გასაკეთებელია. დასავლეთის ნებისმიერი ქვეყნის გამოცდილება იძლევა საშუალებას, ეს საქმე მარტივად დალაგდეს. შეიძლება ალასანიას ჰქონდა მენეჯმენტის შეცვლის პრობლემის მოგვარების სურვილი, მაგრამ ის ვერ ერკვევა შეიარაღებულ ძალებში, საერთოდ არ ესმის რა არის შეიარაღებული ძალების პრობლემატიკა. აქედან გამომდინარე, მის ბრძანებას შეიძლება არ მოჰყოლოდა კონკრეტული საქმე. ხშირად ხდება ხოლმე მსგავსი რამ. შეიძლება მენეჯმენტი ქაღალდზე ლამაზი სიტყვებით შეიცვალა, მაგრამ რეალურად ის არ შეცვლილა.

უმრავლესობაში აღიარებენ, რომ ირაკლი ალასანიას მიმართ მიზანმიმართული ანტიკამპანია მიმდინარეობს. ეს ცხადი გახდა მაშინაც, როდესაც ალასანია გამოკითხვებში ნომერ პირველ მინისტრად იქნა აღიარებული. ალასანიას პირველობამ, როგორც ჩანს, ბევრი გაანაწყენა, რადგან თავდაცვის მინისტრმა თავადვე გააკეთა კომენტარი საკუთარ წარმატრებაზე.

ირაკლი ალასანია:

- რაც შეეხება პირველობას, გული ნურავის დასწყდება. მომავალში სხვა მინისტრი იქნება პირველ ადგილზე, ამიტომ ეს რეიტინგი გულდასაწყვეტი არავისთვის უნდა იყოს...

საპასუხოდ ირაკლი ალასანიას ისევ პრემიერი გამოენთო. ბიძინა ივანიშვილმა მინისტრების რეიტინგები დაიწუნა და განაცხადა, რომ ირაკლი ალასანიაზე კარგი მინისტრებიც არსებობენ გუნდშიო... აქედან გამომდინარე, გარანტირებულად იმის თქმა, რომ თავდაცვის მინისტრი ახალ მინისტრთა კაბინეტში შეუცვლელი დარჩება, ძნელია. თუმცა უმრავლესობაში ცვლილებებს ამ კუთხით არც კი განიხილავენ. თუმცა შეიძლება საკითხის ასე განხილვა მათი პოზაა...

ივანიშვილსგან განსხვავებით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲡ

EXCLUSIVE



ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲠᲕᲐᲚᲘᲫᲔ

ᲡᲘᲖᲐᲠ ᲡᲣᲑᲐᲠᲘ

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ექსპერტები პრობლემებს ბევრად მეტ სამინისტროში ხედავენ. მაგალითად, კახი კახიშვილი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იძახდა, რომ მინისტრთა კაბინეტში ბევრ ვინმეს შევცვლიდი ჩემი ნება რომ იყოსო. შესაცვლელებიდან მორიგ მინისტრად პაატა ზაქარეიშვილი დასახელდა. ზაქარეიშვილი გამოირჩევა სკანდალური განცხადებებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ის არის მინისტრი, რომლის ირგვლივაც ყველაზე სკანდალური პიარი აგორდა. ზაქარეიშვილს ბრალდს სდებდნენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მხარდაჭერაში. თუმცა ეს ხმამაღლა დიდიხანია არავის წამოუძახებია მისთვის. არა იმიტომ რომ არავის ახსოვს ან ვინმეს ერიდება. ზაქარეიშვილის საწინააღმდეგოდ იმდენი ახალი ფაქტის გამოყენება შეიძლება, რომ ძველ ცოდვებამდე ჯერ ვერავინ მიაღწია. ერთ-ერთი ასეთი სკანდალი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას მოჰყვა. ფაქტი, რომ საზღვრის გადაკვეთის დარღვევა 400 ლარად შერჩება ნებისმიერ ადამიანს, არასწორად შეფასდა ოპონენტების მიერ. გადაწყვეტილება პოლიტიკურია და კანონი აშკარად შერბილდა. პოლიტიკურად არასწორ ნაბიჯს ხელისუფლება თავიდანვე კარგად აცნობიერებდა, შესაბამისად, უმრავლესობა კანონში ცვლილების გატარების სურვილს მაქსიმალურად მალავდა. უფრო მეტიც, უმრავლესობის წევრი, გია ვოლსკი ბოლო წუთამდე კატეგორიულად უარყოფდა ცვლილების შეტანას. ცვლილების ამოქმედების შედმეგ კი სამინისტრო გულის ამაჩუყებელი ისტორიით ხსნიდა საკუთარ ნაბიჯს. ზაქარეიშვილის მოადგილის, ქეთი ციხელაშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლების დროს მიღებული კანონი ისევ საქართველოს მოქალაქეებს აზარალებდა. ამის დასტურად ციხელაშვილმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მამაკაცის ისტორია მოიყვანა, რომელიც რუსეთიდან ორსულ მეუღლესთან ერთად სამშობლოში დაბრუნებას ცდილობდა და რადგან მისი მეუღლე უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო საზღვრის გადმოკვეთა დარღვევად ჩაეთვალა. შედეგად კი ის, კანონის თანახმად, დააპატიმრეს...

სხვათა შორის ექსპერტები ზაქარეიშვილის შეცვლასაც დიდხანს და ამაოდ ელოდნენ. სამაგიეროდ მყარად იკავებს საკუთარ პოსტს იუსტიციის მინისტრი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტ სკანდალში სწორედ ის გაეხვა. ქვეყნის პირველი იურისტი საკმაოდ თამამად არიგებდა ეპითეტებს იმ ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ, რომელთა წინააღმდეგ პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. მაგალითად, მან ბაჩო ახალაიას საჯაროდ უწოდა „მონსტრი“, თუმცა სასამართლომ, რომლის რეფორმირება საკუთარ თავზე აიღო, „მონსტრი ახალაია“ პირველივე საქმეში უდანაშაულოდ სცნო. გამოდის, რომ წულუკიანმა ან სასამართლოს სათანადო რეფორმირება ვერ მოახერხა, ან ბაჩო ახალაია არ ყოფილა მონსტრი. ყველაზე რეზონანსული კი მის კარიერაში დიპლომის ირგვლივ აგორებული სკანდალი გახდა. იუსტიციის მინისტრმა, რომელიც იმხანად პირველი პროკურორის ფუნქციასაც ითავსებდა ირაკლი ალასანიას კაბინეტში დაბარებულ გენშტაბის ყოფილ უფროს, პირადად წაუყენა ბრალი. მოგვიანებით კი ოპონენტებმა მისი დიპლომი სოციალურ ქსელში საჯაროდ გამოფინეს. აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლებლის კურსდამთავრებულ თეა წულუკიანს არა თუ გიგი კალანდაძისთვის ბრალის წაყენების უფლება ჰქონდა, არამედ პროკურორის ფუნქციის შეთავსებაც არ შეეძლო, ვინადან მას იურისტის დიპლომი არ გააჩნდა. ასეთი იყო ოპონენტების ბრალდებები, თორემ წულუკიანი ბოლომდე იცავდა საკუთარი დიპლომის ღირსებას.

მოკლედ, ერთწლიანი მუშაობის შედეგად მინისტრთა კაბინეტის წევრებს ცოდვები საკმაოდ დაუგროვდათ. განკითხვის დღის მოწყობას ბიძინა ივანიშვილი სავარაუდოდ, მის შემცვლელს გადაულოცავს. როდის და ვისთვის დადგება „ბოლო ჟამი“ ჯერ უცნობია, ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ მოქმედი პრემიერი კაბინეტში კარდინალურ ძვრებს არ პროგნოზირებს, თუმცა პოლიტიკურ კულუარებში აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ რამდენიმე მინისტრი გაზაფხულამდე ვერ „მიაღწევს“.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

რა გეგმები აქვთ პოლიტპატიმრებს და რას

ხათუნა მგალობლიშვილი
მარიამ ნადირაძე

არჩევნები დასრულებულია, ცესკოს კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება საბოლოო შედეგების გაფორმებამდე. რას ფიქრობენ პოლიტპატიმრები არჩევნების შედეგებზე. რა შემთხვევაში აპირებენ ისინი შედეგების აღიარებას და გეგმავენ თუ არა ბურჯანაძესთან ერთად ქუჩაში გამოსვლას. „პრაიმტაიმმა“ ამ საკითხზე რამდენიმე პოლიტპატიმარი და უფლებადამცველი ჩაწერა.



მელორ ვაჩნაძე:
„ბურჯანაძის განცხადებები არის პოპულისტური, მიუხედავად იმისა, რომ ის კარგი პოლიტიკოსია, მას საქართველოში არ აქვს მხარდაჭერა“

EXCLUSIVE

მელორ ვაჩნაძე

გიორგი ზერეკიძე

გიორგი გაბედავა

გიორგი გაბედავა, პოლიტპატიმარი:

– მე უფლებადამცველი ვარ და უფლებებს დავიცავ იქ, სადაც საჭირო იქნება. ბურჯანაძეს მხარს არც ახლა ვუჭერ და არც აქამდე ვუჭერდი, რადგან 7 ნოემბერს თავი გამიტეხეს. პოლიტიკური შეფასებებისგან მირჩევნია, თავი შევიკავო, რადგან არ მინდა ჩავერიო.

მელორ ვაჩნაძე, პოლიტპატიმარი:

– დავიწყებ იმით, რომ მე ნამდვილად არ ვარ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მომხრე, რადგან მართალია, ნაციონალებმა ადგილები მიიტაცეს, თუმცა ქართველმა ხალხმა გაიკეთა თავისი არჩევანი და ახლა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალბატონ ნინოს უნდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, არ ვთვლი, რომ ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს. მართალია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იყო დარღვევები, გაყალბებაც, მაგრამ ვადამდელი არჩევნები ისევ იმ რაოდენობამ უნდა მოითხოვოს, ვინც ეს პარლამენტი აირჩია და არა პოლიტიკურმა პარტიამ ან მისი მხარდამჭერების ნაწილმა. რაც შეეხება ქუჩაში გამოსვლას, არ მესმის, რატომ უნდა გამოვიდეს ახლა, როცა არჩევნები უკვე ჩატარდა, თუ ქუჩაში გამოსვლა უნდოდა, აქამდე გამოსულიყო... ბურჯანაძის განცხადებები არის პოპულისტური, მიუხედავად იმისა, რომ ის კარგი პოლიტიკოსია, მას საქართველოში არ აქვს მხარდაჭერა. ვფიქრობ, მეორე და მესამე ადგილს შორის დიდი სხვაობა არ არის და ამის გამო ქუჩაში გამოსვლაც არასწორად მიმაჩნია. მხოლოდ განცხადება, რომ არჩევნები გაყალბდა, არაფერს ნიშნავს. ბურჯანაძეს მოუწევს დაამტკიცოს, რომ არჩევნები ნამდვილად გაყალბდა. მას ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა ჰქონდეს. გასაგებია, რომ ქალბატონ ნინოს აქვს სურვილი, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს, მაგრამ მე ვიღაცის სკამის გამო ქუჩაში ნამდვილად არ გამოვალ და არც ბრძოლას დავიწყებ სხვისი სურვილების გამო. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს ჩემსავით.

ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:

– გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც თავის ხმებს დაიცავენ. ჩვენ ყველა უბანზე გვყავდა დამკვირვებელი, გვყავდნენ ასევე ეგზიტპოლების ჩამტარებლები, ასევე წინასაარჩევნოდ გავაკეთეთ გამოკითხვა და სამწუხაროდ, არ ემთხვეოდა არსებულ კვლევებსა და რეიტინგებს. ჩვენი ჩართულობაც სწორედ ამით არის მოტივირებული. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ქვეყანაში ნამდვილად შეიცვლება დამოკიდებულებები და არამხოლოდ გვარები იქნება სხვა. ხელისუფლებამ ნამდვილად უნდა შეცვალოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

– დამკვირვებლები როგორც არასამთავრობო ორგანიზაციას, ისე გყავდათ?

– რა თქმა უნდა, ჩვენმა ორგანიზაციამ, როგორც არასამთავრობომ, ჩასვა თავისი დამკვირვებლები.

– რაც შეეხება გამოკითხვებს, თქვით, რომ შედეგები არ დაემთხვა თქვენს მონაცემებს, როგორც ჩანს, თქვენს გამოკითხვებში ნინო ბურჯანაძე ლიდერობდა?

– ჩვენ განსხვავებული მონაცემები გვქონდა არსებული რეიტინგებისგან. ყოველ შემთხვევაში ბურჯანაძეს გაცილებით მაღალი პროცენტი ჰქონდა, ვიდრე ეს ოფიციალურად ცხადდებოდა არჩევნებამდე. საერთოდ, თუ გახსოვთ, 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებიც აღიარეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ცესკომ და სააკაშვილის ინაუგურაციაზე 200 ათასი ადამიანი შეიკრიბა გაყინულ იპოდრომზე, თუმცა მთავარი აქ ქართველი ხალხი იყო, რომელმაც ეს შედეგები არ მიიღო და არ აღიარა. ახლაც ასე იქნება. ჩვენი პოზიცია ასეთია. მთავარია, ხალხმა აღიაროს და მიიღოს შედეგები.

– ანუ თქვენ ბურჯანაძესთან ერთად დადგებით ქუჩაში?

– არავისთან ერთად არ ვაპირებთ ქუჩაში გასვლას. ჩვენ გავალთ ქუჩაში გაყალბების წინააღმდეგ და არა ვიღაცის მხარდასაჭერად. ძალიან დიდი ეჭვები გააჩინა სხვაობამ ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკითხვებსა და არსებულ რეიტინგებს შორის. პრეტენზია, რომ უფრო მეტი ხმა მიიღო და მეტ პროცენტებს იმსახურებდა, ყველა წაგებულ კანდიდატს აქვს. ჩვენ არავის მხარდასაჭერად არ გავალთ. ამის მიზეზი იქნება მხოლოდ გაყალბებული არჩევნები.

გიორგი ზერეკიძე, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, ყოფილი პოლიტპატიმარი:

– რა შემთხვევაში ჩათვლით, რომ არჩევნები გაყალბდა?

– თუ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გაიმარჯვებს... ბაქრაძეს, ისევე როგორც მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“, თეორიული შანსიც კი არ აქვს ამის. მორჩა, დამთავრდა ის რეჟიმი. ხალხმაც მშვენივრად გაიგო, რა ხდებოდა მათი მმართველობის დროს. ასე რომ, ერთი პროცენტიც არ არსებობს იმისი, რომ ბაქრაძე პირველ, ან მეორე ადგილზე გავიდეს. თუ ასეთი რამ მოხდება, ჩათვლი, რომ ეს არის კოაბიტაციისთვის გათვლილი შედეგი, რომელიც ემსახურება საბოლოოდ იმას, რომ ეს პოლიტიკური გუნდი, „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, ისევ დარჩეს პოლიტიკურ არენაზე და კვლავაც გაგრძელდეს კოაბიტაცია, რაც ქართველი ხალხის არჩევანი არ ყოფილა. ქართველ ხალხს უნდა სამართლიანობის აღდგენა და უნდა, რომ გასამართლდეს რეჟიმი. დაპირებაც ასეთია. პრეზიდენტობის კანდიდატი, მარგველაშვილი სწორედ ამას გვპირდება, რომ კოაბიტაცია სრულდება. ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, არ მგონია, რომ მარგველაშვილმა ამ დაპირების შესრულება შეძლოს.

– ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლა არ გაგიჩენთ კითხვებს გაყალბებასთან დაკავშირებით?

– ბურჯანაძეს მხარდამჭერები რეალურად ჰყავს და თუ მეორე ადგილზე გავა, გასაკვირი არ იქნება. ეს იქნება დემოკრატიის ხარისხის ერთგვარი ტესტი. ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციები და თანამეგობრობა გვაკვირდება. ეს იქნება რეალობა. მიმაჩნია, რომ მეორე ადგი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფიქრობენ ისინი არჩევნების შედეგებზე

გიორგი ზერეკიძე: „ერთი პროცენტიც არ არსებობს იმისი, რომ ბაქრაძე პირველ ან მეორე ადგილზე გავიდეს“

„პროტესტის ძალიან ბევრი ფორმა ვისწავლე ამ წლების განმავლობაში ციხეში ყოფნისას. რაც იმ მომენტში ყველაზე უკეთესი იქნება, იმას გამოვიყენებთ“

„გასაგებია, რომ ქალბატონ ნინოს აქვს სურვილი, ხელისუფლებაში მოვიდეს, მაგრამ მე ვილაცის სკამის გამო ქუჩაში ნამდვილად არ გამოვალ“

ნანა კაკაბაძე

ლევან გიგიჩაიშვილი



ტრისტან წითელაშვილი

ლზე ის გავა. ბაქრაძის შანსი ნულია.

– ყოფილ პოლიტპატიმრებს რამე კოორდინირებული გეგმა გაქვთ, თუ როგორ მოიქცევით არჩევნების გაყალბების შემთხვევაში?

– ჩვენ, ყოფილ პოლიტპატიმრებს, რომლებიც ამ ხელისუფლებამ გვაღიარა, რამე ცალკე ორგანიზაცია არ გვაქვს ჩამოყალიბებული. უბრალოდ, ვართ მეგობრების ჯგუფი, რომლებსაც სხვადასხვა საკითხზე ერთი აზრი გვაქვს, ვყალიბდებით და მერე ვახდენთ რეაგირებას. ჯერჯერობით არ გვქონია ამ თემაზე საუბარი. პირადად მე, ამ ეტაპზე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, სტუდენტი, თუ უბრალოდ მოქალაქე, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ჩემს პირად პოზიციას გიმხელთ, თორემ პოლიტპატიმრები მომავალში რას გავაკეთებთ, ეს ჯერ ცნობილი არ არის.

– რა შემთხვევაში მიიჩნევთ, რომ არჩევნები გაყალბდა? ეს რომელიმე პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა განაცხადოს, არასამთავრობო სექტორმა, თუ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ? როგორი იქნება თქვენი პროტესტი?

– ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შეფასებით, იმ რეალობის აღქმით, რაც დღეს საქართველოშია, იმ არჩევნების შედეგით, რაც დადგა შარშანდელი პირველი ოქტომბრის შემდეგ, გამარჯვების რეალური კანდიდატი არის გიორგი მარგველაშვილი. იმ შემთხვევაში, თუ გაიმარჯვებს დავით ბაქრაძე, ან გელა სალუაშვილი, მე ვიტყვი, რომ არჩევნები გაყალბდა. ამ შემთხვევაში არ სჭირდება ვინმე პოლიტიკოსის განცხადება იმის დასადასტურებლად, რომ არჩევნები გაყალბდა და ცესკომ ვერ იმუშავა... პროტესტის ძალიან ბევრი ფორმა ვისწავლე ამ წლების განმავლობაში ციხეში ყოფნისას. რაც იმ მომენტში ყველაზე უკეთესი იქნება, იმას გამოვიყენებთ.

– ბაქრაძესა და სალუაშვილს ერთ სიბრტყეზე აყენებთ?

– რა თქმა უნდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ დავით ბაქრაძეს ბევრი სიბინძურე აქვს გაკეთებული. გელა სალუაშვილის ცხოვრება კი ჩვენთვის უცნობია.

ლევან გოგიჩაიშვილი, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, ყოფილი პოლიტპატიმარი

– ყოფილი პოლიტპატიმრები არ ვართ ისეთ კოორდინაციაში, რომ ასეთ საკითხებზე შეთანხმებულად ვიმოქმედოთ. თუმცა, არც მგონია, ასეთი რამ დღის წესრიგში იდგეს. ნამდვილად არ ველი არჩევნების გაყალბებას იმიტომ, რომ გარემოა ისეთი, რომელიც ასეთ რამეს არ მოითხოვს. არა მგონია, ხელისუფლებამ „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნები გაუყალბოს იმისთვის, რომ გავიდეს მეორე ადგილზე, ამას ვერც წარმოვიდგენ. თუ ბაქრაძე მეორე ადგილზე გავა, ე.ი. არსებობენ ადამიანები, ვინც მას ხმას აძლევენ.

– პოლიტპატიმართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული რესურსების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ნაციონალების ხელშია...

– მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის პირობებშიც კი რთული იყო ძალიან დიდი პროცენტით გაყალბება. არა მგონია, ისეთი რესურსი ჰქონდეს დარჩენილი „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ სერიოზული პროცენტის ორგანიზება შეძლოს. ბუნებრივია, არსებობენ ადამიანები, ვინც დღესაც მისცემს მათ ხმას. ეს იქნება დაახლოებით 10 პროცენტი. რას ვიზამთ, მოსწონთ ეს მკვლელების პარტია და რა ვქნათ? ეს მათი გემოვნების საკითხია. დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნები არ გაყალბდება. განსხვავებით ცესკოს ყოფილი თავმჯდომარეებისგან, ეს ქალბატონი მეტი პატიოსნებით გამოირჩევა და არ გააკეთებს ისე, რომ ახალგაზრდა ქალბატონმა ერთი არჩევნებით დაამთავროს კარიერა. სხვას თუ ხელი წაუცდება, ამისთვის არსებობს სასამართლო, სადაც შეიძლება ეს გასაჩივრდეს.

ტრისტან წითელაშვილი, „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“:

– ბუნებრივია, არჩევნების გაყალბება ისევ სააკაშვილის ინტერესებშია. სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მათი რეიტინგი ნულის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით „ნაციონალური მოძრაობის“ თითქმის 80 პროცენტი სხვადასხვა სამინისტროებში, გამგეობებშია. ასე რომ, ადმინისტრაციული რესურსები აქვთ. ეს ისეთი კონტინგენტია, რომლებიც ყველაფრის მკადრებლები არიან. ამის მცდელობები მათ უკვე აქვთ. ხომ ხედავთ, რა მოხდა ავღანეთში? ჩატარდა არჩევნები და 74 პროცენტი წამოიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“. იქ ჩვენი დამკვირვებლები არ ყოფილან. იქ ხელმძღვანელი პირები ისევ სააკაშვილისა და ახალაიას დანიშნული ხალხია. მათ გარდა, იქ არავინ იყო. იქ რომ არჩევნები ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარებულიყო, ბაქრაძე გავიდოდა მესამე ადგილზე.

– თუ კონტინგენტი ძველი დანიშნულია, მაშინ გამოდის, რომ ეს შედეგი სავსებით რეალური შეიძლება იყოს...

– იქ ვინც არიან, მათ კარგად ვიცნობ. სულ ვამბობდი, რომ თავდაცვის სამინისტროში 80 პროცენტი ახალაიას კადრია. დროულად უნდა შეიცვალოს ეს კადრები და უნდა მოხდეს მათი ლუსტრირება, ვინც დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობა მიიღო.

– ამას რატომ არ აკეთებს ალასანია?

– იმიტომ რომ, ჯერ კიდევ ამ ყბადაღებული კოაბიტაციის პროცესში ვართ.

– ამ ლოგიკით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შეიარაღებულ ძალებში ბაქრაძე გაიმარჯვებს?

– რაკი ავღანეთის არჩევნებმა ასეთი შედეგი მოგვცა, არაფერია გამორიცხული...

– გაქვთ თუ არა კოორდინირებული გეგმა, გაყალბების შემთხვევაში როგორ მოიქცევით პოლიტპატიმრები? თუ ბურჯანაძე მესამეზე გავა და ის იტყვის, რომ არჩევნები გაყალბდა, თქვენ გახვალთ ქუჩაში?

– აბსოლუტურად კოორდინირებულად ვმოქმედებთ. ახლაც ვაკვირდებით პროცესებს. ბუნებრივია, წაგებული პარტია იტყვის, რომ არჩევნები გაყალბდა. ჩვენ იმ შემთხვევაში გამოვალთ ქუჩაში და გავაპროტესტებთ შედეგებს, თუ „ნაციონალური მოძრაობა“ პირველ ადგილზე გავა. ამ შემთხვევაში მარტო ჩვენ კი არა, სრულიად საქართველო გამოვა ქუჩაში. თუ მეორე ადგილს დაიკავებს, შეიძლება ქუჩაში არ გამოვიდეთ, მაგრამ გავაკეთებთ განცხადებებს. ჩვენ თვითონაც ვატარებთ ეგზიტპოლებს.

საქართველოში სამოცამდე საერთაშორისო ორგანიზაციაა ჩამოსული არჩევნებზე დასაკვირვებლად. მათთან კოორდინირებულად ვმოქმედებთ და მხოლოდ მათ მონაცემებს დავეყრდნობით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის რამდენი და

EXCLUSIVE

ფული და გავლენები, ვინ რამდენს სწირავდა მარგველაშვილს, ბაქრაძესა და ბურჯანაძეს

„არ ვიცი, ვისი ნათესავი და ვისი შვილია ბენიძე, ის ჩვენი პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, შემოწირულობისთვის კი მადლობას ვუხდი“

ხათუნა მგალობლიშვილი

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდი ხნით ადრე მოექცა ყურადღების ცენტრში. საპარლამენტო ინტერფრაქციულ ჯგუფში რამდენიმე თვით ადრე ისიც კი განიხილეს, ვის და როგორ უნდა აღერიცხა პოლიტიკური ძალების მიერ საარჩევნოდ გახარჯული თანხები. არჩევნებზე ფინანსების მონიტორინგი ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა. მით უფრო 2012 წლის შემდეგ, როდესაც აუდიტის სამსახური მთლიანად ნათია მოგელაძის სახელთან და გვართან იქნა ასოცირებული, მიუხედავად იმისა, რომ მოგელაძე აუდიტის სამსახურში მხოლოდ ერთ კონკრეტულ სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამის გამო პარლამენტში იყო ვერსია, რომ აუდიტის სამსახურს პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური საერთოდ უნდა ჩამოსცილებოდა. ალტერნატივად ინტერფრაქციულ ჯგუფში რამდენიმე ვერსია განიხილებოდა. მათ შორის ერთი მონიტორინგის ცესკოსთვის გადაბარება იყო ან სულაც ახალი ორგანოს შექმნა იყო. თუმცა საბოლოოდ პრივილეგია ისევ აუდიტის სამსახურს მიანიჭეს...

ვინ არის დღეს აუდიტის სამსახურში პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი, მთელმა საქართველომ ნამდვილად არ იცის, თუმცა, ზურაბ აზნაურაშვილის განცხადებით, წინასაარჩევნო წესების დარღვევისთვის რამდენიმე პარტიამ ფულადი ჯარიმა მიიღო. სასამართლომ აუდიტის სამსახურის მონიტორინგის საფუძველზე, მრეწველებთან და ევროპელ დემოკრატებთან ერთად, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ 2 ათასი ლარით დააჯარიმა. აზნაურაშვილის განცხადებით, პარტიებს, სხვადასხვა ფინანსურ დარღვევებთან ერთად, ანგარიშიდან ნაღდი ფულის გაფრთხილების გარეშე გატანაშიც ედავებიან. კანონის მიხედვით, პარტიებს მხოლოდ არანაღდი ფულადი გადახდით უნდა ესარგებლათ. წინაარჩევნო შემთხვევაში განაცხადი უნდა გაეკეთებინათ აუდიტის სამსახურში და განაცხადიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ჰქონდათ უფლება, ნაღდი ფულით ესარგებლათ. მრეწველებმაც და ევროპელმა დემოკრატებმაც სწორედ ეს წესი დაარღვიეს. მათ ბანკომატებიდან გამოიტანეს თანხები ისე, რომ ამის შესახებ აუდიტის სამსახურისთვის არაფერი განუცხადებიათ.

არსებული ინფორმაციით, 2013 წლის მხოლოდ სამი თვის მონაცემებით, ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით, პარტიებს, ჯამში, ორი მილიარდ 456,560.99 ლარი აქვთ მიღებული შემოწირულობების სახით. თანხა პარტიებზე ასე ნაწილდება: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – 1,456,560.99 ლარი; „თავისუფალი დემოკრატები“ – 315,077.59 ლარი; ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ – 223,873.00 ლარი; რესპუბლიკელები – 148,920.00 ლარი; „ეროვნული ფორუმი“ – 141,136.41 ლარი; „კონსერვატიული პარტია“ – 79,995.00 ლარი; სხვა პარტიები – 7,344.60 ლარი.

შემოწირულობებით ყველაზე მდიდარი „ქართული ოცნებაა“. ეს ბუნებრივიცაა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან, 2013 წლის სექტემბრის ჩათვლით, „ქართულმა ოცნებამ“ – 3743045.04 ლარი მიიღო შემოწირულობის სახით. „ოცნების“ პარალელურად კოალიციაში შემავალი პარტიები საკუთარ პარტიებსაც სწირავდნენ თანხებს. მაგალითად, 2012 წლის ნოემბერში ლევან ბერძენიშვილმა საკუთარ პარტიას 4 000 ლარი აჩუქა, დეპუტატმა ნოდარ ებანოიძემ – 10 000 ლარი, ხოლო გორის საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით რაზმაძემ – 15 000 ლარი. მრეწველებს ზურაბ ტყემალაძემ 10 000 ლარი შესწირა, ანუ საკუთარ თავს. ეს 2012 წლის აქტიურობები, ანუ მალევე საპარლამენტო არჩევნებიდან. კიდევ უფრო დეტალურად კი პოლიტიკოსებმა ფულადი ხარჯები გასწიეს ხელისუფლებაში მოვლისთანავე. რაც შეეხება 2013 წელს, ის ბედნიერი „მწვანეებისთვის“ აღმოჩნდა. გიორგი გაჩეჩილაძემ ერთჯერადი შემოწირულობა გაიღო საკუთარი პარტიისთვის. მისი რაოდენობა სულ 588 ლარი იყო. როგორც ჩანს, საკუთარი პარტიების გარდა, დეპუტატებს ლიდერის პარტიაზე არ უზრუნიათ. სამაგიეროდ, თამაზ თამაზაშვილმა 3 ათასი ლარის ღირებულების არაფულადი შემოწირულობა განახორციელა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. თამაზაშვილის შემოწირულობიდან რამდენიმე საათში თეა წულუკიანმა ასევე „ქართულ ოცნებას“ შესწირა 10 000 ლარი.

„ქართული ოცნებისა“ და მისი წინასაარჩევნო კამპანიის მიმართ სენსიტიური აღმოჩნდა შპს „ელიტა ბურჯის“ გენერალური დირექტორი, თენგიზ გვაზავა. მან პარტიას 50 ათასი ლარი აჩუქა.

შემოწირულობების სიმდიდრის მიხედვით, მეორე ადგილი ნინო ბურჯანაძის პარტიას უკავია. ნინო ბურჯანაძისთვის წინასაარჩევნო კამპანია ყველაზე დატვირთული იყო როგორც ფინანსური, ასევე აქტიურობის თვალსაზრისით. ბურჯანაძის ბილბორდი ყველაზე ხშირად შეგხვდებოდათ ქალაქის მასშტაბით და ის საკუთარ აქტიურობას არც ერთი მიმართულებით არ მალავდა. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი თავიდანვე აცხადებდა, რომ არც მარგველაშვილის და არც ბაქრაძის გუნდი არ არის აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული, რადგან ერთმა იცის, რომ გარანტირებულად გაიმარჯვებს, ხოლო მეორეს გარანტირებული აქვს მეორე ადგილის აღებაო... შესაბამისად, მისი განცხადებით, ბრძოლა არც ერთს არ უწევდა. სხვათა შორის ყველაზე აქტიური კანდიდატის მიმართ ყველაზე ბევრი კითხვაც გაჩნდა როგორც აუდიტის სამსახურის მხრიდან, ასევე ფინანსებთან დაკავშირებით.

ბურჯანაძის ყველაზე მსხვილი შემოწირველი მისივე შტაბის უფროსი იყო. გიგლა ბარამიძემ „დემოკრატიულ მოძრაობას“ 57 900 ლარი შესწირა. ბურჯანაძისგან სანაცვლოდ კი სიტყვიერი მადლობა მიიღო. ბარამიძის შემდეგ ყველაზე მსხვილი გადამხდელთა სიაში ტელეკომპანია „საქართველოს“ უკვე ყოფილი მფლობელი დავით ბენიძე აღმოჩნდა. დავით ბენიძე თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ნათესავი ბენიძის შვილია. დავით ბენიძემ ბურჯანაძეს 56 560 ლარი შესწირა. გიგლა ბარამიძის მსგავსად, ბენიძემაც სიტყვიერი მადლობა მიიღო. ტელეკომპანია „საქართველოდან“ ბენიძე არ იყო ერთადერთი ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც ბურჯანაძეს ფულადი დახმარება გაუწია. „საქართველოს“ ყოფილმა დირექტორმა, თამარ სტეფანიშვილმა ბურჯანაძის წინასაარჩევნო კამპანია 57 500 ლარით გაამდიდრა.

ნინო ბურჯანაძე:

– არ ვიცი, ვისი ნათესავი და ვისი შვილია ბენიძე, ის ჩვენი პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, შემოწირულობისთვის კი მადლობას ვუხდი.

არსებული ინფორმაციით, ბურჯანაძემ წინასაარჩევნოდ 10 მილიონის ოდენობის დაფინანსება მიიღო. ბუნებრივია, არაოფიციალურად და ბუნებრივია, ფულის წარმომავლობა რუსეთს უკავშირდება. ინფორმაცია არ დადასტურებულა და შესაბამისად, თავად ნინო ბურჯანაძეს აღნიშნულ საკითხზე კომენტარიც არ გაუკეთებია, თუმცა მისი ბილბორდებიდან გამომდინარე, მარტივად შეიძლება ითქვას, რომ წინასაარჩევნო კამპანიაზე ბურჯანაძე მხოლოდ საკუთარი ფინანსების იმედზე ნამდვილად არ ყოფილა. დახარჯული თანხები კონკრეტულ ციფრებში რომ გადავიყვანოთ, დაახლოებით ასე გამოიყურება: ერთი, ყველაზე პატარა ზომის ბილბორდი ყველაზე არამომგებიან ადგილას 540 დოლარის ღირებულებისაა, ყველაზე დიდი ზომის ბილბორდი კი საარჩევნოდ 8 ათას დოლარამდეც კი მერყეობდა. ბურჯანაძის ბილბორდები ყველგან და ყველა ზომის იყო.

ბილბორდების შემდეგ ფინანსურად ყველაზე ხარჯიან საკითხს ოფისები წარმოადგენდა. „დემოკრატიული მოძრაობა“ აქაც ერთ-ერთი აქტიური მოთამაშე იყო. მთელი საქართველოს მასშტაბით მან ასზე მეტი ოფისი იქირავა და აამუშავა. თუმცა მათი ნაწილის ოფიციალურად დეკლარირება არ მომხდარა. მაგალითად, 13 სექტემბრის მონაცემებით, მაშინ როცა უკვე 90-მდე ოფისი მუშაობდა, ბურჯანაძეს მხოლოდ 13 ჰქონდა დეკლარირებული. სწორედ ამ მიზეზით მონიტორინგის სამსახურმა გამოკითხვის ჩატარება დაიწყო, შედეგად კი დეკლარირებული ოფისების რაოდენობა მომენტალურად გაიზარდა 72-მდე. მოგვიანებით აუდიტის სამსახურმა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა. მიზეზი პარტიის მიერ დამალული ოფისების საბაზრო ღირებულების დადგენა იყო. პროცესს ბურჯანაძის მხრიდან სერიოზული პროტესტი მოჰყვა. ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, აუდიტის სამსახური მიზანმიმართულად ეწეოდა ბურჯანაძის დისკრედიტაციას. დაინტერესების შე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲣᲯᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ

„ერთი მოიკითხეთ, საერთოდ გადახდილია თუ არა მარგველაშვილის ბილბორდებში თანხა. ნინო ბურჯანაძეს ყველაფერი გადახდილი აქვს და კანონის დარღვევით არაფერი კეთდება“

მთხვევაშიც კი ბურჯანაძის ნებისმიერი წარმომადგენელი უარს აცხადებდა ფინანსურ წყაროებზე საუბარზე. ერთადერთი, რასაც ამბობდნენ, იყო ის, რომ მთელი წინასაარჩევნო კამპანია მათ შორის სარეკლამო მხარე და ოფისებიც, ძირითადად შემოწირულობებით ფინანსდებოდა.

ირაკლი ბათიაშვილი:

– ერთი მოიკითხეთ, საერთოდ გადახდილია თუ არა მარგველაშვილის ბილბორდებში თანხა. ნინო ბურჯანაძეს ყველაფერი გადახდილი აქვს და კანონის დარღვევით არაფერი კეთდება. რაც შეეხება ქალბატონი ნინოს კამპანიას, ყველაფერი აღრიცხულია საარჩევნო ფონდში. არის შემოწირულობები. მათ შორის სერიოზული შემოწირულობები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემებით, შემოწირულობების მიხედვით პირველ სამ ადგილას „ქართული ოცნება“, „დემოკრატიული მოძრაობა – ნინო ბურჯანაძე“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ იკავებს. სიაში მეცხრე ადგილას გავიდა „ნაციონალური მოძრაობა“. მან შემოწირულობის სახით 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის სექტემბრის ჩათვლით სულ 16 800 ლარი მიიღო. ეს კი წინა წელთან შედარებით 99.85%-ით ნაკლებია. 2011-2012 წელს ნაციონალებმა 11 მილიონ ლარზე მეტი მიიღეს.

ნაციონალებისგან განსხვავებით, ივანიშვილისა და ბურჯანაძის გუნდის მიმართ ფულადი დახმარება მთელი წლის განმავლობაში საკმაოდ მაღალი იყო. პიკს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ შემოწირულობებმა 2013 წლის სექტემბერში მიაღწია და თანხა 513,335 ლარამდე ავიდა.

რომელმა პარტიამ კონკრეტულად რამდენი მილიონი დახარჯა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ჯერჯერობით მიუწვდომელი ინფორმაციაა. ბუნებრივია, ის ბევრად მეტი იქნება ოფიციალურად დასახელებულ თანხასთან შედარებით და ასევე, საგრძნობლად დიდი ციფრი იქნება 2012 წელს დახარჯულ პარტიულ ბიუჯეტთან შედარებით. განსხვავების დასანახად შეიძლება მოვიყვანოთ „ქართული ოცნების“ ხარჯები 2012 წელს. პარტიამ გასულ წელს 6 მილიონ 200 ათასი ლარი დახარჯა. ბუნებრივია, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გასავალი ბევრად მეტი იქნებოდა. რაც შეეხება ნაციონალებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ სახელმწიფო რესურსების ხარჯვაში ადანაშაულებდნენ, მათი გასავალი მხოლოდ 3, 500 მილიონ ლარს შეადგენდა.

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ–ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ AVERSI

ჯანდაცვა დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფერეა, ამიტომ ადგილობრივი ფარმაცევტული პროდუქციის მაღალი ხარისხი და ხელმისაწვდომობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე თითოეული მოქალაქისთვის.
"ავერსი-რაციონალი" არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში ყველაზე მსხვილი, ევროპული დონის ფარმაცევტული საწარმოა. "ავერსი-რაციონალი" აწარმოებს უმაღლესი ხარისხის, უსაფრთხო, ეფექტურ და ფარმაცევტულ გაზარზე ყველაზე ხელმისაწვდომ პროდუქციას, ქმნის სტაბილურ სამუშაო ადგილებს, აფართოვებს წარმოებას...
პირველი მედიკამენტი "ავერსი-რაციონალმა" მომხმარებელს 2005 წლის მარტში შესთავაზა. პროდუქციის ასორტიმენტი წლიდან წლამდე იზრდებოდა. ამჟამად საწარმო 143 დასახელების პროდუქციის 230 პოზიციას აწარმოებს. კომპანია ახორციელებს ექსპორტს რამდენიმე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში: ყირგიზეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში და უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთის ქვეყნებში.
შესაბამისად, საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნა სულ უფრო და უფრო იზრდება და წარმოებაც ფართოვდება. აუცილებელი გახდა ახალი ლაბორატორიის მშენებლობაც, რომელიც უკვე მეორე წელიწადია ფუნქციონირებს. მას საწარმოს ტერიტორიაზე 750 კვადრატული მეტრი უკავია და აქ ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ტარდება.
"ავერსი-რაციონალის" ლაბორატორია პასუხობს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც მსოფლიოს წამყვან ფარმაცევტულ საწარმოს მოეთხოვება. ნედლეულს "ავერსი-რაციონალი" მხოლოდ მსოფლიოში ცნობილი ფარმაცევტული ბრენდებისგან იძენს, მის ხარისხს და სანდოობას კი ლაბორატორია კიდევ ერთხელ ამოწმებს.
პერსონალს გავლილი აქვს სათანადო სწავლება, ხოლო სერტიფიკატები, რომლებიც საწარმომ უმოკლეს ვადებში მიიღო, მოწმობს, რომ ~ავერსი-რაციონალი~ მსოფლიო დონის საწარმოა. ის ყოველწლიურად გადის საკონტროლო შემოწმებას, სამ წელიწადში ერთხელ კი ხდება ხელახალი სერტიფიცირება, რომელსაც ორი წამყვანი გერმანული კომპანია აწარმოებს (TÜV SÜD და TÜV Cleancert).
შეგახსენებთ, რომ "ავერსი-რაციონალმა" საერთაშორისო სერთიფიკატები უმოკლეს დროში მოიპოვა. მას - ISO 9001 სტანდარტის შესაბამისობის სერტიფიკატი 2006 წლიდან მიენიჭა;
2008 წლიდან კი GMP EU და FDA GMP სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატის მფლობელი გახლავთ, რაც მოწმობს, რომ ~ავერსი-რაციონალში~ მიმდინარე ყველა პროცესი (წარმოება, ხარისხის კონტროლი, ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.) შეესაბამება ევროპული GMP-სა და ამერიკული FDA-ს სტანდარტების მოთხოვნებს.
"ავერსი-რაციონალი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს.

ჭირნახულის N14
☎2-240-70-90
WWW.AVERSI.GE

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ირაკლი ღარიბაშვილმა ერ

რა ცვლილებები განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროში?

- **პოლიციის რებრენდინგი**
- **გახმაურებული საქმეები**
- **ადამიანის უფლებები**

my View

მირიან ბოქოლიშვილი

სანამ ბიძინა ივანიშვილი ოფიციალურად წარადგენს მომავალ პრემიერ-მინისტრს, საზოგადოება ბჭობს, ვინ ჩაუდგება სათავეში მინისტრთა კაბინეტს. მითქმა-მოთქმა უკვე პიკს აღწევს... პრემიერი კი საკუთარ რჩეულს ამ დღეებში საჯაროდ დაასახელებს. ყველაზე დიდი მოლოდინი მაინც ირაკლი ღარიბაშვილზეა, რომელმაც, როგორც ივანიშვილი ამბობს, „ერთ წელში სასწაული მოახდინა“. სასწაულში ჯერ კიდევ მოქმედი პრემიერი პოლიციის დეპოლიტიზებას გულისხმობდა. უწყების დეპოლიტიზება იყო მთავარი თემა, რაზეც ირაკლი ღარიბაშვილმა გასულ კვირას გამართულ პრეზენტაციაზე ისაუბრა. შს მინისტრმა დიპლომატიურ კორპუსსა და მთავრობის წევრებს წლიური ანგარიში წარუდგინა. ღარიბაშვილის თქმით, 2012 წლის ნოემბრიდან სამინისტრო განთავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. მან ყურადღება გაამახვილა შს მინისტრის 2013 წლის 12 სექტემბრის #713 ბრძანებაზე „არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ავალდებულებს შსს-ს თანამშრომლებს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის დაცვას. სტრუქტურული ცვლილებების ფარგლებში გაუქმდა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი კუდ-ი და სოდ-ი და შეიქმნა ანტიკორუფციული სააგენტო, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი. პრეზენტაციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა ყურადღება გაამახვილა ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის განვითარებაზე, რომელიც სხვადასხვა სახის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა.

ადამიანის უფლებები

ნებისმიერი ძალოვანი უწყებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა. შს სამინისტროში გამართულ ღონისძიებაზე ღარიბაშვილმა ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზეც ისაუბრა.

„2013 წლის 15 თებერვალს ამოქმედდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 24-საათიანი ცხელი ხაზი – „126“. გაიზარდა შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს მონიტორინგის სამმართველოს ფუნქციები და შემადგენლობა. დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) საქმიანობა გახდა ტრანსპარენტული. ბოლო 10 თვის განმავლობაში, მონიტორინგის მიზნით, დმი-ებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების მიერ 90-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა; 2012 წლის დეკემბერში, დროებითი მოთავსების ყველა იზოლატორის დერეფნებში დამონტაჟდა ვიდეოკონტროლის სისტემები. დმი-ში არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, შემუშავდა დაკავებულთა საჩივრებზე რეაგირების ეფექტიანი სისტემა; განხორციელდა დმი-ს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. 2013 წლის 18 მარტს ფოთში და 23 აგვისტოს ზესტაფონში გაიხსნა ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორები. თბილისის დმი-ში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები; დაკავებულ ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაიზარდა ქალ თანამშრომელთა რაოდენობა; პერმანენტულად ხორციელდება იზოლატორების თანამშრომელთა ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების, ფსიქოლოგიური საჭიროებების გამოვლენისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით; 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე, დმი-ში ადამიანის უფლებების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა“, – აღინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ პრეზენტაციაზე.

მინისტრმა ვრცლად ისაუბრა სამინისტროს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებზეც. ამ მხრივ, აქცენტი გაკეთდა შსს-ს განახლებულ ვებ-გვერდზე და მობილურ აპლიკაციაზე. ასევე აღინიშნა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით შემუშავდა ხშირად დასმული 200-მდე კითხვა-პასუხი, რომელიც განთავსდა სამინისტროს ვებ და „ფეისბუკის“ გვერდებზე. მინისტრის განცხადებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პიროვნების პერსონალური მონაცემების დაცვას. აქვე შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 15 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა

„2012 წლი

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს შს მინისტრი. კომისიას დაევალა შსს-ს სისტემაში აღმოჩენილი უკანონოდ მოპოვებული მასალის აღრიცხვა, სისტემატიზაცია, ანალიზი, განადგურებისა და დაარქივების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით, 2013 წლის სექტემბერში განადგურდა პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო/ვიდეომასალის ნაწილი.

პოლიციის რებრენდინგი

პრეზენტაციაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პოლიციის რებრენდინგს, რომელმაც ეტაპობრივად მოიცვა საქართველოს რეგიონები. შსს-ს ინფორმაციით:

ქვეყნის მასშტაბით 30%-ით გაიზარდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობა, ისევე, როგორც მათი მოქმედების არეალი. საპატრულო პოლიციის ავტოპარკი განახლდა 360 ერთეული ახალი მოდელის ავტომანქანებით. ავტომანქანები აღიჭურვა თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტკომპიუტერებითა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით (მობილური და მანქანის რაციები); დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის უნიფორმა (შარვლები, პერანგები, ფეხსაცმელები, ბეჯები, კოკარდები); სამინისტროს ავტოპარკების მთავარი შენაძენია ვერტმფრენი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოახდენს საჰაერო პატრულირებას. სხვადასხვა სამსახურებს გადაეცათ მოტოციკლები, მინიკუპერები, ელექტრომობილები, კატერი და სპეცმანქანები. საპატრულო პოლიციის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...თწლიანი მუშაობა შეაჯამა

„გასულ წელთან შედარებით, პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად, ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაცვლილთა რაოდენობა 60%-ით შემცირდა“

...ს ნოემბრიდან დღემდე, იზოლატორებში ადამიანის უფლებების დარღვევის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა“

ოფიცრები აღიჭურვნენ სამხრე ვიდეოკამერებით, ახალი ალკოტესტებითა და ელექტროშოკებით. საქართველოს ძირითად საავტომობილო გზებსა და ქალაქების ქუჩებში დამატებით დამონტაჟდა 29 ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემა; საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები აღიჭურვა GPS სისტემით ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილის ზუსტად დაფიქსირების, სახიფათო მონაკვეთების განსაზღვრისა და უსაფრთხოების შესაბამისი ზომების გატარების მიზნით; საპატრულო პოლიციის დაკვეთით ხდება საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების მონტაჟი. თბილისში უკვე დამონტაჟდა 3000-მდე საგზაო ნიშანი. გასულ წელთან შედარებით, პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად, ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაცვლილთა რაოდენობა 60%-ით შემცირდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ვრცლად ისაუბრა იმ საკანონმდებლო ცვლილებებზეც, რომელიც შსს-ს ინიციატივით ხორციელდება. აქვე 2013 წლის 17 მაისს, შს მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა პოლიციის ეთიკის კოდექსი და პოლიციელთა ქცევის ინსტრუქციები. მაგალითად, 4 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შსს-ს მიერ ინიცირებული ახალი კანონი „პოლიციის შესახებ“ და კანონი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“. ასევე, აღინიშნა, ის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ბოლო პერიოდში არსებული რეალობის გათვალისწინებით იქნა ინიცირებული. საუბარია ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებებზე სასჯელის გამკაცრების შესახებ.

კრიმინალთან ბრძოლა

2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე საპატიმრო დაწესებულებები დატოვა 16 892-მა პირმა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნულის მიუხედავად, ქვეყნის მასშტაბით იკლო დანაშაულის რიცხვმა და გაიზარდა მისი გახსნის მაჩვენებელი, კერძოდ, 2012 წლის 9 თვის მონაცემებთან შედარებით, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 37.2%-ით გაიზარდა და 57.2% შეადგინა. შსს-ს მიერ გახსნილი გახმაურებული საქმეები კი ასე გამოიყურება:

2012 წლის ნოემბრიდან შსს-ს მიერ დაკავებულია ექვსი ე.წ. „კანონიერი ქურდი“; 2013 წლის ივლისში შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა უპრეცედენტო რაოდენობის – 116.5 კგ ჰეროინი ამოიღო. 2013 წლის განმავლობაში შსს-ს მიერ ტრეფიკინგის მუხლით გამოძიება დაწყებულია 15 შემთხვევაზე. 2013 წლის 8 აპრილს არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ხასიათის სურათებისა და ვიდეოჩანაწერების უკანონო დამზადების, გავრცელებისა და გასაღებისთვის დაკავებულ იქნა საქართველოს მოქალაქე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გამოცხადდა ძებნა. 2013 წლის 20 სექტემბერს ტრეფიკინგის ფაქტზე დაკავებულ იქნა საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაზარალებულს აიძულებდა სექსუალური მომსახურების გაწევას. 2013 წლის ივნისში, სამეგრელოში აღმოჩენილ იქნა მიწისქვეშა სამალავები, საიდანაც ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები, ასაფეთქებელი მოწყობილობები, ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები, აგრეთვე, ნინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების ფოტოსურათებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი; გარდა ამისა, სამალავებში ნაპოვნი იქნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა. აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულია 12 პირი (მათ შორის, 5 მოქმედი პოლიციელი და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი) და მიმდინარეობს გამოძიება; 2013 წლის 7 ივნისს, შსს-ში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ეხება ინტერნეტსივრცეში საქართველოს მიმართ მუქარის შემცველი ე.წ. „ჯიჰადის ვიდეორგოლის“ გავრცელებას. ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილ იქნა დანაშაულის ჩამდენი პირი – რუსეთისა და ყირგიზეთის ორმაგი მოქალაქე, რომელზეც გამოცხადებულია ძებნა; 2013 წლის ივნისში, შსს-მ ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადების ფაქტზე დააკავა რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე. ასევე, 2013 წლის 13 სექტემბერს, ბათუმში შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს რუსეთის ფედერაციის ერთი და საქართველოს ორი მოქალაქე; 2013 წელს შსს-ს მიერ გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა კორუფციისა და სხვა სამოხელეო დანაშაულის მრავალი შემთხვევა. პასუხისგებაში მიეცა 45 პირი, მათ შორის: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები, გამგებელი და გამგებლის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, შემოსავლების სამსახურის აჭარის ბიუროს უფროსი, სკოლის დირექტორი და ა.შ.

სოციალური პასუხისმგებლობა

პრეზენტაციაზე ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთ სიახლეზე ისაუბრა. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, უწყებაში მომუშავე მრავალშვილიან ოჯახებს ყოველთვიური დანამატი დაუწესდათ, რომელიც 534 თანამშრომელზე გაიცემა. შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის პირველი მარტის ბრძანებით კი, ქორწინების, შვილის შეძენის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სამინისტროს თანამშრომლები 1250-ლარიან დახმარებას იღებენ. დღევანდელი მონაცემებით, მსგავსი დანამატი 1424 თანამშრომელზე გაიცა.

„ფინანსდება სამინისტროს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. დღემდე, აღნიშნულ მიზნებს 1 909 458 ლარი მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიცია მთელი წლის განმავლობაში ჩართულია აქციაში – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“. – აღნიშნა შს მინისტრმა.

შსს-ში გამართული ღონისძიების დასასრულს ხაზი გაესვა ღარიბაშვილის უწყების თანამშრომლობას საერთაშორისო ინსტიტუტებთან და პარტნიორ ქვეყნებთან. მინისტრმა პირადად შეაჯამა, ის მაღალი დონის შეხვედრები, რომელიც მან ერთი წლის განმავლობაში ევროპასა და მეზობელ ქვეყნებში, ასევე ნატოსა და ევროკავშირის წარმომადგენლობებში გამართა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილის ერთწლიანი მუშაობა მისმა კოლეგებმა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა შეაფასეს.

მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი:

„პრეზენტაცია მართლაც შთამბეჭდავი იყო. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ცალ-ცალკე მთელი წლის განმავლობაში ჩემთვის ცნობილი იყო, მაგრამ ასე თავმოყრილმა ინფორმაციამ იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა, ჩემზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მთავარი, რაც გაკეთდა, არის პოლიციის დეპოლიტიზება. ეს არის ყველაზე დიდი მონაპოვარი. რასაკვირველია, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება დანაშაულთან ბრძოლის, მათი პრევენციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით. ეს ყველაფერი არის ის, რაც ასე სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას და რაც, სამწუხაროდ, ვერ ხერხდებოდა წინა წლებში. ამიტომ ის რეფორმები, რაც გატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს და მე ვულოცავ ჩემს კოლეგა ირაკლი ღარიბაშვილს ამ დიდ წარმატებას. ვუსურვებ, რომ კიდევ უფრო მეტი წარმატებისთვის მიეღწიოს“.

ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი:

„რეფორმები, რომელიც შარშან ზუსტად ამ დროს დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, არის ძალიან წარმატებული. ამაზე მიუთითებს ის, რომ კრიმინალის მაჩვენებელი მკვეთრადაა შემცირებული, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი ასევე მკვეთრად გაიზარდა. ყველამ იგრძნო, თუნდაც არჩევნების წინ, რომ პოლიცია არ ჩარეულა საარჩევნო პროცესში, არ ხდება განსხვავებული აზრის დევნა, ისევე როგორც ეს იყო წლინახევრის წინათ. მოხარული ვარ, რომ საქართველოს ასეთი წარმატებული შინაგან საქმეთა მინისტრი ჰყავს“.

დავით სერგეენკო, ჯანდაცვის მინისტრი:

„წარმოდგენილი ანგარიში მართლაც შთამბეჭდავია და მიხარია ასეთი თვალსაჩინო წარმატება. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც გამოვყოფდი, არის რეალურად დეპოლიტიზებული პოლიცია, რომელზეც ადრე ვერც კი იოცნებებდა ვერავინ“.

ალექსანდრა ჰოლი, დიდი ბრიტანეთის ელჩი:

„ეს პრეზენტაცია ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო ძალიან მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანოა ქვეყანაში. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ის რეფორმები, რის შესახებაც ჩვენ დღეს შევიტყვეთ, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის დემოკრატიის კონსოლიდაციისკენ მიმავალ გზაზე. დიდი ხანია, რაც შს სამინისტროში არ ვყოფილვარ და დღეს მივხვდი, როგორ აისახება მთელ ქვეყანაზე ეს ყოველივე. თავისთავად, ეს ძალიან პოზიტიური და მნიშვნელოვანი რეფორმებია. მოუთმენლად ველი შს სამინისტროსთან მუშაობის გაგრძელებას. მოხარული ვიქნები, თუ დიდი ბრიტანეთი რაიმეთი შეძლებს სამინისტროს დახმარებას“.

ბრიჯიტ ბრინკი, აშშ-ს ელჩის მოადგილე:

„მოხარული ვარ, რომ დავესწარი შს მინისტრის პრეზენტაციას, რომელმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები წარმოგვიდგინა. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსა და შს სამინისტროს, რეფორმების განხორციელების კუთხით, ყოველთვის გვერდში ედგა. მოხარული ვართ, რომ გავეცანით არაერთ ახალ და განხორციელებულ ინიციატივას“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ეკონომიკაში პრობლემები ხელი

„რა მოხდა, არაფერი არ მომხდარა. უბრალოდ, რამდენიმე ადამიანს ფაღარათი დაემართა“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნაციონალების მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიარება მარტო ნინო ბურჯანაძეს არ უჭირს. საპარლამენტო უმრავლესობა ბაქრაძის გუნდს „კეთროვანს“ ადარებს, თუმცა მათთან ერთად საპარლამენტო მუშაობაში დისკომფორტს არ განიცდის. ერთადერთი „პრობლემა“ ნაციონალების არაღიარებაა. „ქართულ ოცნებას“ სიტყვიერად უჭირს მთავარი ოპონენტის დასახელება, სამაგიეროდ არჩევნების შედეგებსაც აღიარებენ და ბურჯანაძის ქუჩაში გამოსვლისთვისაც მზად არიან. ნაციონალებისგან განსხვავებით, ბურჯანაძე ჯერ კიდევ არჩევნებამდე ადანაშაულებდა ხელისუფლებას გაყალბებაში და პირობასაც დებდა, თუ მე არ გავხდები „მეფე“, ქუჩის აქციები არ აგცდებათო. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ბურჯანაძის მუქარას ადეკვატური რეაქცია მაშინ მოჰყვება, როცა დამარცხებული კანდიდატი სამართლებრივ ჩარჩოებს გასცდება... მანამდე კი „დემოკრატიულ მოძრაობას“ სრულ თავისუფლებას აძლევენ... როგორც ჩანს, ივანიშვილის ხელისუფლებას არ ახსოვს, სად მთავრდება ნინო ბურჯანაძისთვის საკუთარი თავისუფლება და სად იწყება სხვისი. ეს რომ მისი ცხვირი არ არის, ფაქტია...

ირაკლი სესიაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

– ასე აზროვნება და ასეთი განცხადებების გაკეთება ბურჯანაძის და მისი მხარდამჭერების მხრიდან ზენოლაა. გასაგებია, რომ ნაციონალები აღქმულნი არიან, როგორც კეთროვნები. არავის არ უნდა მათთან მიტმასნება, რადგან ხვდებიან, რომ ეს არის მინუსი. მეორე პოლიტიკური გუნდი გააერთიანა ბურჯანაძემ.

– თუმცა ნაციონალები მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ...

– როდესაც ვანო მერაბიშვილმა გაავრცელა განცხადება, ნინო ბურჯანაძე 28 ოქტომბერს ქუჩაში გამოვა და სიტუაციას არევსო, რეალურად ნაციონალებს ამ განცხადებით ერთი გათვლა ჰქონდათ: ნაციონალები ოცნებობდნენ მეორე ადგილზე გასვლას, რომ არ შერცხვენილიყვნენ დასავლეთთან. ძალა, რომელიც ერთ არჩევნებზე უმრავლესობაში მოსვლისთვის იბრძვის, პირველი ოქტომბრის არჩევნებს ვგულისხმობ და უკვე შემდეგ არჩევნებზე მეორე ადგილისთვის უნევს ბრძოლა, ეს ნიშნავს აბსოლუტურ ვარდნას. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ დასავლეთს დაუმტკიცონ, რომ საქართველოში მთავარ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ.

– თქვენ არ მიგაჩნიათ „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარ ოპოზიციურ ძალად?

– ნაციონალების ძალა ჯერ კიდევ ინერციით მოდის მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდის გამო. საზოგადოებას უჭირს „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის აღქმა. მათ აღიქვამენ, როგორც ყოფილ ხელისუფლებას, ეს კი მათ დამატებით ქულებს აძლევს. მთელი რიგი აქტივისტებიც ინერციით მიჰყვებიან. ასე აღარ იქნება დღეიდან. ცუდი შედეგის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება.

– ცუდ შედეგში რას გულისხმობთ?

– 40%-დან 10-15%-მდე ვარდნა თანაც ერთ წელიწადში ძალიან ცუდი შედეგია. მით უმეტეს, მთელი წლის განმავლობაში მთელი რიგი ბერკეტები მათ ხელში იყო, თუნდაც გუბერნატორები, რომლებიც ახლაც ჰყავთ, საპარლამენტო უმცირესობა. სწორედ ამიტომ მერაბიშვილის განცხადება ურტყამდა არა ხელისუფლებას, არამედ ნინო ბურჯანაძეს. ბაქრაძესაც კი, რომელიც აღიქმება როგორც პოზიტივი ნეგატივში, აბსოლუტურად სასაცილო ლოზუნგი ჰქონდა: ერთად ვაკონტროლოთ ხელისუფლება. შე კაი დედმამიშვილო, ცხრა წლის განმავლობაში იყავი ხელისუფლებაში, იქ, სადაც ხალხს ანამებდნენ, ქონებას ართმევდნენ, 24 ათას ფარულ ვიდეოჩანაწერს აკეთებდნენ, საბიუჯეტო თანხებს ისე ხარჯავდნენ, როგორც უნდოდათ, მაშინ ვერ მოახერხა კონტროლი, ვერაფერზე აიღო პასუხისმგებლობა და ახლა ოპოზიციიდან შეძლებს რამეს? ეს ხომ ზღაპარია. სასაცილოა, რომ ნაციონალებს გუნდში, ბაქრაძის გარდა, პოზიტივის პოვნა გაუჭირდათ. მით უფრო ბაქრაძეს არ უნდოდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. შეიძლება ითქვას, რომ ბაქრაძეს შეტენეს ეს ვალდებულება. ბაქრაძე ჭკვიანი ბიჭია და კარგად იცოდა, რომ არჩევნებში ტოტალური დამარცხება მის პირად დამარცხებად იქნებოდა აღქმული და ეს მის სამომავლო კარიერაზე ძალიან ცუდად იმოქმედებდა. ნაციონალების ძირითადი ბრძოლა არის არა იმისთვის, რომ ამ პოლიტიკურ რეალობაში თავისი სიტყვა თქვან, არამედ იმისთვის, რომ დასავლეთის წინაშე თავი გაიმართლონ და უთხრან, ჩვენ გვაქვს პერსპექტივა, რადგან მეორე ადგილზე გავედითო, თუმცა პროცენტების ჩვენების გარეშე.

– თუმცა პრემიერმა არჩევნებამდე განაცხადა, რომ 60%-ზე ნაკლების მიღება შეურაცხყოფა იქნებოდა, რაც ოპონენტებმა მითითების გაცემად ჩათვალეს...

– ჩვენ მოკლე დროში სახელმწიფო ტერორისტული რეჟიმი დავამარცხეთ, რეჟიმი, რომელიც ყველას უსმენდა, ხალხს აწამებდა, ციხეში აუპატიურებდა...

– მოსმენები, როგორც თქვენი ოპონენტები ამბობენ, ახლაც არის... მწამებლები გარეთ არიან...

– ერთი წუთით, უკანონო მოსმენები აღარ არის და ამაზე პასუხისმგებლობას პირადად ავიღებ. თუ იქნება უკანონო მოსმენები, ვინც არ უნდა იყოს ის, უმკაცრესად დაისჯება. თუ მწამებელი გარეთ არის, ამ კრიტიკას მივიღებ, მაგრამ ჩვენ არ ვართ ის ძალა, რომელიც თუნდაც მწამებლებს თოფით გაეკიდება. ყველაფერი იქნება გამოძიებული, მივა ბოლომდე საქმე და სასამართლო მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას. პროკურატურაში იმდენი საქმეა შესული, რომ მთელმა პროკურატურამ 24-საათიან რეჟიმში რომ იმუშაოს, ზუსტად 3 წელი მოუნდებიან ყველა საქმის წაკითხვას და განხილვას. რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, 60%-ზე ნაკლების აღება შეურაცხყოფა იქნება, რადგან ჩვენ ერთ წელიწადში შევძელით შეუძლებელი, ხელისუფლებაში მუშაობის გამოცდილების გარეშე ქვეყანაში დავამყარეთ წესრიგი. არსებული ბიუჯეტის ფარგლებში საუკეთესო შედეგს მივაღწიეთ. ამას ისიც ემატება, რომ ვერ დამისახელებთ პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც კორუფციაშია მხილებული. მეტიც, არათუ მხ-

ირაკლი სესიაშვილი: „თუ გაუაზრებელი მიტინგები იქნება იმ მიზეზით, რატომ მე არ გავხდი „მეფეო“, ადეკვატური რეაქცია გვექნება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ს უფლებას კი არა, ქვეყანას აქვს“

EXCLUSIVE

„სასაცილოა, რომ ნაციონალებს გუნდში, ბაქრაძის გარდა, პოზიტივის პოვნა გაუჭირდათ. ბაქრაძეს არ უნდოდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა. შეიძლება ითქვას, რომ მას შეტენეს ეს ვალდებულება“

ილებული, არამედ ჭორის დონეზეც კი ეჭვმიტანილი. ასეთი შედეგები დავდეთ და როგორ შეიძლება, დაბალი პროცენტი აგვეღო? როგორ შეიძლება, მოსახლეობას მხარი არ დაეჭირა? როდესაც პრემიერმა თქვა, 60%-ზე ნაკლები მაჩვენებლის აღება შეურაცხმყოფელი იქნებაო, საკუთარი თავი და საკუთარი გუნდი იგულისხმა. თვეში მარტო ორი დღე ვნახულობ საკუთარ შვილს და ასეთ დღეშია ყველა ჩემი კოლეგა. კიდევ უფრო მძიმე სამუშაო რეჟიმი აქვთ აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებს. ასეთ პირობებში, როცა საკუთარი თავიც კი გადადებული გვაქვს და ხშირ შემთხვევაში საკუთარ თანხებსაც კი ვხარჯავთ, როცა საქმეს სჭირდება, მოსახლეობამ მხარი რომ არ დაგვიჭიროს და იმაზე მეტი ხმა არ მოგვცეს, ვიდრე იმ მოძალადე ხელისუფლებას აძლევდა, ეს, ბუნებრივია, ჩემთვის პირადად შეურაცხმყოფელი იქნებოდა.

– თუმცა ფაქტია, რომ სერიოზული ეკონომიკური პრობლემები არსებობს...

– ეკონომიკაში პრობლემები ხელისუფლებას კი არა, ქვეყანას აქვს.

– კი მაგრამ, ამ ქვეყნის ხელისუფლებაში ახლა თქვენი გუნდია...

– ჩვენ ამ ერთ წელიწადში შევძელით ის, რომ შევაჩერეთ ეკონომიკის დაღმასვლა და ნახეთ, რა შედეგი იქნება მომავალ წელს.

– ბურჯანაძეს რომ დავუბრუნდეთ, თუ აქციები ხანგრძლივ ხასიათს მიიღებს, როგორი რეაქცია ექნება ხელისუფლებას?

– ბურჯანაძეს პრეტენზია უნდა გასჩენოდა, არჩევნები სამართლიანად რომ არ ჩატარებულიყო. მისი განცხადებები სამართლიან არჩევნებსა და საკუთარ გამარჯვებაზე შანტაჟი იყო. ასე ნებისმიერმა დამარცხებულმა კანდიდატმა შეიძლება თქვას, რომ, მე რომ არ გავედი პირველ ადგილზე, არჩევნები გაყალბდაო. არსებული რეიტინგებიდან ჩვენ კარგად ვხედავდით, რომ მას ორნიშნა ციფრიც არ ჰქონდა. თუმცა მისი უფლებაა პროტესტი და ამ უფლების უზრუნველყოფაში ჩვენ ხელს შევუწყობთ, მაგრამ, თუ გაუაზრებელი მიტინგები იქნება იმ მიზეზით, რატომ მე არ გავხდი „მეფეო“, ადეკვატური რეაქცია გვექნება. ის საზოგადოების დიდ რაოდენობას ვერ გამოიყვანს, რადგან მან ხალხის ქუჩაში გამოყვანამდე უნდა დაარწმუნოს ისინი, რომ არჩევნები გაყალბდა. ამას კი ვერ მოახერხებს, რადგან ჩვენ არანაირი სურვილი არ გვქონია არც ერთ ეტაპზე, არჩევნები გაგვეყალბებინა. არჩევნების შემდეგი პერიოდი იმდენად მშვიდი იქნება, რომ ჟურნალისტებმა შეიძლება მოიწყინონ კიდეც. ქართველ ხალხში სამართლიანობის განცდა დგას ძალიან მაღლა. მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ძალიან დიდხანს მოგვიწია უსამართლო პერიოდში ცხოვრება. თუ საზოგადოება მართლაც არ იგრძნობს, რომ მას უსამართლოთ მოექცნენ, ქუჩაში არ გამოვა. შესაბამისად, ნინო ბურჯანაძე ფართომასშტაბიან აქციებს ვერ მოაწყობს. მასთან ერთად დადგება მხოლოდ ის კატეგორია, ვისაც ბურჯანაძე ხელფასს უხდის, შეიძლება ასეთ ადამიანებს ვალდებულება აქვთ, რომ გარკვეული დავალებები შეასრულონ.

– თუ ასეთი ადამიანი, ვინც ხელფასს იღებს, ბევრი იქნება?

– იყოს, გამოხატოს ბურჯანაძემ იმდენი პროტესტი, რამდენიც უნდა, მანამ სანამ კანონს არ დაარღვევს. თუ კანონს დაარღვევს, მოვთხოვთ პასუხს ისე, როგორც დაარღვევს. ნებისმიერ კრიმინალს, ნებისმიერ არეულობას ადეკვატური რეაქცია მოჰყვება სამართალდამცავების მხრიდან. სამართალდამცავები ჩაერევიან მშვიდად, წყნარად, არავინ არ დაძაბავს სიტუაციას. ერთი რამე მინდა ვუთხრა ბურჯანაძეს, თუ ის აპირებს, რომ მომავალში იყოს ერთ-ერთი სერიოზული ძალა, პირველ რიგში, თავად უნდა იყოს დაინტერესებული სამართლიანი არჩევნების ჩატარების აღიარებით. არჩევნები ერთი დღე არ არის, ეს არის პროცესი. მე არ მახსოვს, ბურჯანაძეს პრეტენზია გამოეხატოს წინასაარჩევნო პერიოდში...

– გამუდმებით გდებდათ ბრალს არჩევნების გაყალბებაში წინასწარვე...

– ეს სიტყვებია, თქვას როგორ ხდებოდა, ერთი ფაქტი დაასახელოს, მის რომელიმე წევრზე ზეწოლა რომ იყო, ასეთს ვერ იტყვის, რადგან არ ყოფილა...

– იყო ასეთი ფაქტებიც მისი მხრიდან...

– არ მახსოვს, არ ვიცი. ერთი სიტყვით, ბურჯანაძემ სჯობია, პოლიტიკურ ბრძოლაში გამოიჩინოს თავი და არჩევნების უსამართლოდ შეფასება ისევ და ისევ მას დაარტყამს, პირველ რიგში. სამართლიანი დამარცხებაც უნდა აღიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ მას ექნება პრობლემები. დაახლოებით ათ საარჩევნო პერიოდს დავსწრებივარ. როდესაც სიტუაცია მშვიდია და ყველაფერი სამართლიანად მიდის, ვერავინ ბედავს სიტუაციის არევას, თუ ვიღაცებს მითითება არ აქვთ მიცემული. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ეს ადამიანები, ვისაც არეულობის შექმნა დავალებული აქვთ, ხვდებიან, რომ პასუხისმგებლობა მათზეა. თუ არეულობაზე მიდიხარ, პასუხისმგებლობის აღებაც უნდა შეგეძლოს. თუ ბურჯანაძე მზად არის, საკუთარი წევრები გაწიროს ქულების მოსაპოვებლად, რომელიც შედეგზე არ იქნება ორიენტირებული, მაშინ ისიც უნდა იცოდეს, რომ ეს ყველაფერი ისევ და ისევ ბუმერანგივით დაუბრუნდება უკან.

– ანუ თუ სიტუაცია დაიძაბება, შეიძლება ბურჯანაძე დააპატიმრონ?

– სამართლიან ჩარჩოებს ვერ გასცდება სიტუაცია და თუ ბურჯანაძე უკანონობას ჩაიდენს, მაშინ სახელსა და გვარს მნიშვნელობა არ ექნება. ბურჯანაძემ კი არა, მარგველაშვილმა რომ ჩაიდინოს უკანონობა, მასაც მოუწევს პასუხისგება. მოქალაქე დააშავებს და პასუხსაც აგებს. ეს მარტივია.

– ალასანიას თემას მინდა შევეხო. შეიძლება ითქვას, რომ მას ბოლო პერიოდში საკმაოდ მძიმე პერიოდი ჰქონდა, საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა პრემიერმაც. მიგაჩნიათ, რომ ალასანიას მიმართ მიზანმიმართული კამპანია იყო?

– შეწუხებული ვარ იმით, რომ ალასანიაზე ბოლო პერიოდში თავდასხმები ხორციელდება, თუმცა პირადად მე ამას უფრო მედიასა და სოციალურ ქსელებში აგორებულ კრიტიკას ვაბრალებ.

– მედია რა შუაშია, ფაქტია, რომ ჯარში პრობლემები იყო...

– არანაირ მოწამვლასთან საქმე არ გვქონია, ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა, რაც ემართება ხებისმიერ ადამიანს არა თუ ჯარში, არამედ სახლშიც. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ საველე პირობებში საჭმლის გადატანისთვის საჭიროა სპეციალური კონტეინერები, ეს კონტეინერები კი ჯარს არ ჰქონდა. არ ჰქონდა იმიტომ, რომ წინა ხელისუფლება ჯარზე არ ზრუნავდა.

– თუმცა წინა ხელისუფლების დროს მსგავსი ფაქტები, მით უფრო ასეთი სიხშირით, არ დაფიქსირებულა...

– არ გამჟღავნებულა, თორემ, რა თქმა უნდა, მაშინაც ხდებოდა. საჭმლით კი არა, წყლითაც კი იწამლებოდნენ, ისეთი სიტუაცია იყო. თავდაცვის უწყებაში 50 ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს. ეს არაფრისმთქმელი ფაქტი, რომელიც ბოლოს დაფიქსირდა უბრალოდ გაიბერა, გაიბერა და სპილოდ გადაიქცა. ამაში დიდი როლი ითამაშა მედიამ და ალასანია ძალიან უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა. რა მოხდა, არაფერი არ მომხდარა, უბრალოდ რამდენიმე ადამიანს ფაღარათი დაემართა... ვფიქრობ, ვიღაცამ ეს ააგორა, შემდეგ ვიღაცამ ეს თემა ზედმეტად გააქტიურა და საბოლოოდ მიიღო არაორდინარული პოლიტიკური ხასიათი. ალბათ, ამის უკან ვიღაც დგას. რაც შეეხება პრემიერს, ის პრემიერია და ბევრ მინისტრს ძალიან კრიტიკულად უდგება, ვფიქრობ, ასეც უნდა იქცეოდეს.

– ბევრ მინისტრში ვის გულისხმობთ?

– პრემიერი ძალიან ბევრ მინისტრს აკრიტიკებს ხოლმე.

– მაგალითად?

– ძალიან ბევრს, ზოგადად, იძახის ხოლმე, ზოგი მინისტრი კარგად მუშაობს, ზოგი შედარებით ნაკლებადო. ვერ ვგრძნობ, რომ ალასანიას გამორჩეულად აკრიტიკებს. ალასანია ძალიან კარგი მინისტრია და თავდაცვის უწყებაში ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. შეცდომები ყველას მოსდის, შეიძლება რაღაც საკითხებში არ ვეთანხმებოდეთ ერთმანეთს, თუმცა, რასაც ალასანია აკეთებს, მე ყველაფერი მომწონს.

– ფიქრობთ, რომ მინისტრთა კაბინეტში დარჩება?

– ვფიქრობ, რომ კი. ჩვენი მტრების ოცნებაა, რომ ირაკლი ალასანია წავიდეს, თუმცა ვფიქრობ, ის ისევე წარმატებით გააგრძელებს მინისტრობას ჩვენს გუნდში, როგორც აქამდე მუშაობდა.

„ვფიქრობ, ვიღაცამ ეს ააგორა, შემდეგ ვიღაცამ ეს თემა ზედმეტად გააქტიურა და საბოლოოდ მიიღო არაორდინარული პოლიტიკური ხასიათი. ალბათ, ამის უკან ვიღაც დგას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმის“ პრო

ახალაიას ბრალი გირგვლიანის საქმეზეც წარედგინა

მარიამ ნადირაძე

„პრაიმტაიმში“ ზუსტად ერთი თვის წინ გამოქვეყნდა სტატია, სათაურით: „რა ახალ ბრალდებას უმზადებს პროკურატურა ბაჩანა ახალაიას“. გასულ კვირას კი გაირკვა, რომ ეს ბრალდება უკვე სახეზეა და გამოძიების ცნობით, მან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობის დროს, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, განსაკუთრებით პრივილეგირებულ პირობებში ჩააყენა იმ დროისთვის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე მსჯავრდადებულები. თუმცა, ბრალდების ეს ფორმულირება ახალი არ უნდა ყოფილიყო ჩვენი მკითხველისთვის. გთავაზობთ ნაწყვეტს ერთი თვის წინ გამოქვეყნებული ინტერვიუდან გია ალავიძესთან. შეგახსენებთ, ეს ის ადამიანია, რომელმაც ვიდეოფირებით ამცნო საზოგადოებას, რა პირობებში იხდიდნენ სასჯელს გირგვლიანის მკვლელები:

– გირგვლიანის საქმეზე დაკავებულები, მატროსოვზე აგრძელებდნენ მუშაობას. მათთან შედიოდნენ თანამშრომლები, იქ იგეგმებოდა რაღაც ოპერაციები – ქონებრივი საკითხები, აგენტებთან მუშაობის თემა, ვინ რა მეთოდებით „დაევერბოვკებინათ“ და ა.შ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა კი ის არის, რომ 2008 წელს ისინი გაიყვანეს და დასასვენებლად ჰყავდათ წაყვანილი ანტალიაში... მე ვიცი, რომ ეს უკვე დადგენილი ფაქტია და ბაჩანა ახალაიას ამის გამოც წაუყენებენ ბრალს. ეს უკვე გამზადებული აქვთ, მე როგორც ვიცი.

– ვინ და ვინ იყვნენ წასულები დასასვენებლად?

– ალანია, ბუცხრიკიძე, ტაბაღუა (მატროსოვის დანესებულების დირექტორი) და ბაჩანა ახალაია. ალანიას გარდა, სამივეს გვარი ფიქსირდება საზღვრიდან ამოღებულ დოკუმენტებში. რაც შეეხება ალანიას, მის მიერ იმ დროს თურქეთიდან განხორციელებული ზარები ფიქსირდება...

– ვისთან არის დაფიქსირებული ზარები?

– უამრავ მაღალჩინოსანთან.

მიუხედავად ამისა, ბაჩანა ახალაიას დამცველი, გიორგი ონიანი ირწმუნება, რომ ბრალდების ერთადერთი მოწმე თემურ ტაბაღუაა და ერთადერთი მტკიცებულება – მისი ჩვენება, რომლის რეალურობასაც, ბუნებრივია, ის ეჭვქვეშ აყენებს.

სასჯელაღსრულების მე-10 დანესებულების ყოფილი დირექტორის, თემურ ტაბაღუას, ამჟამად მამა ნიკოლოზის ისტორია კი უკვე ყველასთვის ცნობილია და ვინც არ იცის, შევახსენებთ, რომ მან პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ მასზე ზეწოლაზე გააკეთა განცხადება და ეს განცხადება მისმა ადვოკატებმა გაავრცელეს. მომდევნო განცხადებით პროკურატურა დანინაურდა „ანგარიშში“ და ხელი ადვოკატებისკენ გაიშვირა, ზეწოლა მათ მოახდინესო. გოგა ონიანმა კი არც აცია, არც აცხელა და რამდენიმე დღის წინ საზოგადოებას ახალი ვიდეოჩანაწერი მიაწოდა, სადაც თემურ ტაბაღუა მამამისის თანდასწრებით საუბრობს პროკურატურის ზეწოლაზე. არსებობს მამის გამოკითხვის ოქმიც იმის შესახებ, რომ ეს ჩანაწერი ხორციელდებოდა თავისუფალ რეჟიმში, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე. თავად თემურ ტაბაღუას, იგივე მამა ნიკოლოზს, საპატრიარქომ ჯვარი ახსნა და ამჟამად ის ერთ-ერთ მონასტერში იმყოფება.

ცხადია, გაზრდილია ცნობისმოყვარეობა იმასთან დაკავშირებით, რა ჩვენება მისცა გამოძიებას თემურ ტაბაღუამ. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ „პრაიმტაიმმა“ ამ ჩვენების სრული ვერსია რამდენიმე კვირის წინ გამოაქვეყნა, ამ შემთხვევაში საჭიროდ ვთვლით, რომ ზოგიერთი დეტალი კვლავაც შევახსენოთ მკითხველს:

„მათ გადმოყვანამდე (საუბარია გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდადებულებზე. – მ.ნ.) დაახლოებით ერთი კვირით ადრე ჩემთვის უკვე ცნობილი იყო ზემოაღნიშნული პირების ჩვენს დაწესებულებაში შესაძლო მოთავსების თაობაზე, რის შესახებაც მე მითხრა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კახა ბუცხრიკიძემ. მისივე მითითებით, სად-ის სამეურნეო ნაწილის თანამშრომლების მიერ მოხდა პატიმართა საცხოვრებელი კორპუსის ერთი ნაწილის, კერძოდ, მედპუნქტისთვის დათმობილი ოთახების გარემონტება...

ბუცხრიკიძის განმარტებით, მის მიერ ჩვენთვის გადმოცემული მითითება მომდინარეობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორისგან (ბაჩანა ახალაიასგან) და შესაბამისად, ჩვენ მისი შესრულება გვევალებოდა...

...ხსენებული პატიმრები ციხეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა მიაცილეს, რომელთა მხრიდან გაიცა მითითება, რომ ესენი არიან განსაკუთრებული პატიმრები და მათზე ციხის შიდა განანესით დადგენილი არც ერთი წესი და ვალდებულება არ უნდა გავრცელებულიყო. მათ უნდა მისცემოდათ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, მობილური ტელეფონით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება, ხოლო მათთან მისული მნახველები არ უნდა შეზღუდულიყვნენ დროში, არ უნდა შემოწმებულიყვნენ არც მნახველები და არც მათ მიერ მიტანილი ამანათები. მამა ნიკოლოზი ჩვენებაში ასევე მიუთითებს, რომ პატიმრების მოყვანის დღესვე საბადრაგო ავტომანქანით ციხეში მოიტანეს ავეჯი და სხვა ნივთები, რომელიც განთავსდა „განსაკუთრებული პატიმრებისთვის“ განკუთვნილ ოთახებში. სხვებისგან განსხვავებით, პრივილეგირებულ პა-

> „მე მაშინვე დავუკავშირდი ბაჩანა ახალაიას, რომელმაც მითხრა, რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო და იცოდა, რომ ხსენებული პირები მოდულის შენობაში იმყოფებოდნენ...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბნოზი გამართლდა

ტიმრებს ჰქონდათ ხის საწოლები, ტელევიზორები, მაცივრები, სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკა, ჰაერის გამაგრილებლები და სხვა ნივთები. მათ კომფორტულად მოწყობილ ოთახებში შეუყვანეს საკაბელო არხები და ინტერნეტი, საჭმელს კი მიირთმევდნენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ სამზარეულოში...

...მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ ციხის ადმინისტრაციულ შენობაში და მათ შორის, ჩემს კაბინეტში შემოსვლა. არ მოწმდებოდნენ მნახველები და იყო შემთხვევები, როდესაც ისინი გვიან ღამემდე რჩებოდნენ, იმართებოდა სუფრები და ქეიფები. მეც მომიწია რამდენიმე ასეთ სუფრაზე ყოფნა, რა დროსაც ალკოჰოლური სასმელებიც მიულიათ სუფრის წევრებს... ზემოდასახელებულ პირებთან ხშირად მომსვლელთაგან შემიძლია დავასახელო იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი დავით ჩხიტუნიძე, ასევე, გენინსპექციის თანამშრომელი ია პაიჭაძე, მეგის ქარდავა და სხვები...“

2008 წლის ომის დროს დაწესებულებიდან პატიმრების გაყვანას ტაბაღუაც ადასტურებს, თუმცა ანტალიაში დასასვენებლად წასულებს შორის ალანიას არ ასახელებს:

„2008 წლის აგვისტოში, ბაჩანა ახალაია, მისი მოადგილე კახა ბუცხრიკიძე, დავით ჩხიტუნიძე და კიდევ რამდენიმე პირი ვიმყოფებოდით თურქეთში დასასვენებლად. აგვისტოს დასაწყისში რუსეთთან გართულებული სიტუაციისა და დაწყებული საომარი მოქმედებების გამო, მე, ბაჩანა ახალაია, კახა ბუცხრიკიძე და კიდევ რამდენიმე პირი საქართველოში დავბრუნდით 8 აგვისტოს და მაშინვე გავემართეთ საომარი მოქმედებების ეპიცენტრში...

...#10 დაწესებულებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიიტანეს სამხედრო ფორმები, მაგრამ საბოლოოდ ისინი არ გამოუყენებიათ, რადგან პატიმრები საომარ მოქმედებებში არ ჩართულან. თუმცა იმავე დღეს მობილურით დამიკავშირდა ჩემი მოადგილე და შემატყობინა, რომ #10 დაწესებულებიდან დავით ჩხიტუნიძემ გაიყვანა გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე. მე მაშინვე დავუკავშირდი ბაჩანა ახალაიას და მოვახსენე ზემოხსენებული პირების ციხიდან გაყვანის შესახებ, თავიდან მან გაიკვირვა და მითხრა, რომ ყველაფერს გაარკვევდა და დამიკავშირდებოდა, თუმცა მე იმავე დღეს პირადად შევხვდი ბაჩანა ახალაიას, რომელმაც მითხრა, რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო და იცოდა, რომ ხსენებული პირები მოდულის შენობაში იმყოფებოდნენ...

...ზემოხსენებული პირებისთვის თითქმის შეუზღუდავი უფლებების მინიჭება, მიუხედავად მათი ციხეში ყოფნისა, არ უნდა ყოფილიყო კახა ბუცხრიკიძის გადასაწყვეტი საკითხი, ყოველ შემთხვევაში მის მიერ თქმულმა სიტყვებმა ასეთი შთაბეჭდილება დატოვა. ამასთანავე, ყველასთვის ცნობილი იყო გერონტი ალანიას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორ დათა ახალაიასთან ახლო მეგობრული დამოკიდებულების შესახებ. ვფიქრობ, რომ სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა მისი და დანარჩენი პატიმრების პრივილეგირებული ყოფნა ჩვენს დაწესებულებაში“, – წერს საკუთარ ჩვენებაში თემურ ტაბაღუა.

თუმცა, ამ ეჭვს, დაგვეთანხმებით, რომ მარტო ტაბაღუა არ გამოთქვამდა. მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ ვიდეოკადრებით იხილა გირგვლიანის მკვლელობაში გასამართლებული პირების პატიმრობისდროინდელი პრივილეგიები, ალბათ, ყველას გაუჩნდებოდა ეჭვი, რომ ეს ყველაფერი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის დაშვებით ხდებოდა. ამდენად, გასაკვირია ეჭვის გამოთქმის მიღწევისთვის რატომ დასჭირდა პროკურატურას ზეწოლა სასულიერო პირზე?

ალბათ, საინტერესოა, თავად ბაჩანა ახალაიას ადვოკატის, გოგა ონიანის პოზიცია იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ასეთი სკანდალური პატიმრებისთვის პრივილეგიების მინიჭება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის საქმის კურსში ყოფნის გარეშე.

გოგა ონიანი, ადვოკატი:

– გაგახსენებთ ციხეში ცოტა ხნის წინ მომხდარ ფაქტს. პატიმარი კორტავა მთელმა ციხემ ერთად სცემა, მთელმა ციხის ადმინისტრაციამ, მაგრამ სოზარისთვის დღემდე ბრალი არავის წაუყენებია. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტის დირექტორი იყო ეს ადამიანი...

ადვოკატი: „თემურ ტაბაღუა ჩვენთან ჩვენებაში ამბობს, რომ აღნიშნული მას არ უთქვამს, დაწერა პროკურორმა და უთხრა, თუ ხელს არ მოაწერდა, მის შვილ თანამშრომელსა და მათ ოჯახებს გაამწარებდა“

ციხის ყოფილი უფროსი: „ბუცხრიკიძის განმარტებით, მის მიერ ჩვენთვის გადმოცემული მითითება მომდინარეობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორისგან და შესაბამისად, ჩვენ მისი შესრულება გვევალებოდა...“

– მინისტრი...

– დიახ... და უნდა ვივარაუდოთ, რომ, როდესაც ციხის უფროსი, მისი მოადგილე, რეჟიმის უფროსი, ოპერატიული სამსახურის უფროსი ყველა ერთად ცემით კლავს პატიმარს, ეს არ იცოდეს მინისტრმა. ეს ასეთივე კითხვის ნიშნებს ბადებს საზოგადოებაში.

– ფიქრობთ რომ ამ შემთხვევაში სუბარის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?

– არ ვფიქრობ, ნამდვილად არ უნდა დადგეს. რადგან თუ ადამიანს არ დაუმტკიცე, რომ მან აღნიშნული იცოდა, ცხადია, პასუხი არ მოეთხოვება სამართლებრივად. იმის გამო, რომ 3000 თანამშრომელში სამი თანამშრომელი მყავდა ისეთი, რომელსაც შეეძლო უფლებამოსილებისთვის გადაემეტებინა, ამის გამო ჩემი დასჯა სამართლებრივად არის სასაცილო, პოლიტიკურად საზოგადოება ამაში შეიძლება მოატყუო, მაგრამ სამართლებრივად ეს ასე არ არის.

– ანუ, თქვენ ადასტურებთ, რომ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ ეს ადამიანები, მაგრამ ამის გამო ახალაიას პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს...

– მე არ ვადასტურებ, ეს უნდა დაადასტუროს გამოძიებამ. ეს საქმეში არის ერთადერთი ჩვენება, რომელიც საუბრობს იმაზე, რომ ბაჩო ახალაია საქმის კურსში იყო მათ პრივილეგიასთან დაკავშირებით. ეს ჩვენება არის ოთხჯერ შეცვლილი.

– ხო, მაგრამ თემურ ტაბაღუა ამ ჩვენებაში არ ამბობს, რომ საქმის კურსში იყო, ის ამბობს, რომ ახალაიას საქმის კურსში ყოფნის გარეშე ეს ამბავი არ მოხდებოდა...

– ასევე ამბობს ჩვენთან ჩვენებაში, რომ აღნიშნული მას არ უთქვამს, დაწერა პროკურორმა და უთხრა, თუ ხელს არ მოაწერდა, მის შვილ თანამშრომელსა და მათ ოჯახებს გაამწარებდა.

გოგა ონიანი მიიჩნევს, რომ ამ ახალი ბრალდების წაყენებით პროკურატურა ცდილობს, სხვა დაუსაბუთებელ ბრალდებებს კიდევ ერთი მიამატოს.

კიდევ ერთი დეტალი, რომელიც შეესაძლოა, პირდაპირ კავშირში არ არის ამ კონკრეტულ მოვლენასთან, მაგრამ, ალბათ, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს მოვლენების განვითარებაზე.

რამდენიმე დღის წინ უფლებადამცველმა ნიკოლოზ მჟავანაძემ ონიანის წინააღმდეგ პროკურატურაში განცხადება შეიტანა. მისი თქმით, „პროკურატურამ უნდა გამოკვეთოს დამნაშავე მკვლელობის საქმეში, რომლის გამოც ბრალს უდანაშაულო მამუკა ტოლიაშვილი იხდის, ვინაიდან ტოლიაშვილს ონიანმა მკვლელობა პირადი ანგარიშსწორების მიზნით მიაწერა. მათი დაპირისპირება ქუჩის შელაპარაკებით დაიწყო. ინციდენტმა ონიანი იმდენად აღაშფოთა, რომ მანქანით გამოვარდა სპორტის სასახლესთან, გადმოიღო იარაღი და ტოლიაშვილს მოკვლით ემუქრებოდა... ონიანს უთქვამს, დაგალპობთ ციხეში მაგ „ბლატაობისთვისო“. მაშინ ის ვაკე-საბურთალოს განყოფილების უფროსი იყო“.

მჟავანაძის თქმით, მას აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მეორე ინციდენტი, რომლის გამოც მკვლელობის ბრალდებით ტოლიაშვილი დააკავეს, შემთხვევით არ მომხდარა. მისი განცხადებით, რამდენიმე დღის შემდეგ სუფრაზე მოხდა შელაპარაკება ადრე ნასამართლევ ვინმე ხერგიანთან.

„ხერგიანმა დანით დაჭრა მოუნდომა ტოლიაშვილს. მეზობლები ჩაერივნენ საქმეში, მეზობელმა მოიტანა იარაღი და კონდახი ურტყეს ტოლიაშვილს. დარტყმის დროს იარაღმა გაისროლა, დაიჭრა ტოლიაშვილი და მოხვდა ხერგიანის ბიძაშვილს, რომელიც 18 წლის იყო. ხერგიანი გარდაიცვალა და დაჰბრალდა ტოლიაშვილს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ტოლიაშვილი დააკავეს. ონიანი ამ დროს ქალაქის სამმართველოს კრიმინალურის უფროსად მუშაობდა. ტოლიაშვილის საქმე რომ ჩავარდა ონიანის ხელში, გადაწყვიტა, ეს საქმე „შეეტენა“ ტოლიაშვილისთვის“, – აცხადებს ნიკა მჟავანაძე. მამუკა ტოლიაშვილს მკვლელობის გამო 35 წელი მიესაჯა. ის უკვე 7 წელია, ციხეში ზის.

ბაჩო ახალაიას ადვოკატ გოგა ონიანს ჩვენ ამ საქმესთან დაკავშირებითაც ვთხოვეთ კომენტარი.

– მჟავანაძის განცხადებასთან დაკავშირებით გააკეთებთ რამე კომენტარს?

– გიჟია, მაგ ლოგიკას რომ გავყვეთ, საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც გამოძიების დაწყების შემდგომ თავიდან ბოლომდე ემორჩილება პროკურორს, პროკურორი, პირველი ინსტანციის სასამართლო, მეორე ინსტანციის სასამართლო და უზენაესი სასამართლო – ამ ყველა ინსტიტუტთან მე უნდა მქონოდა ხვდომა, გავლენა, უნდა მქონოდა სურვილი ამ გავლენის განხორციელების. რეალურად ეს ადამიანი შეიძლება ერთხელ ან ორჯერ მყავდეს ნანახი. ისიც მაშინ, როდესაც მან ჩაიდინა დანაშაული და პოლიციელს წაართვა იარაღი, თურმე ამ ადამიანის მიმართ შეიძლება მე ისეთი აგრესია გამჩენოდა, რომ ეს ინსტიტუტები უნდა ყოფილიყო ჩემს დაქვემდებარებაში, ან ჩემს სიტყვას უნდა ჰქონოდა იმდენად დიდი ფასი, რომ მიესაჯათ უსამართლოდ 34 წელი, რომელიც ძალაში დატოვეს, მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებმა. ეს ყველაფერი უნდა ყოფილიყო ჩემი გავლენის ქვეშ, როცა პოლიციის განყოფილების უფროსი ვიყავი. მართალია, დღესა და ღამეს ვასნორებდი, მკვლელობები რომ გახსნილიყო. ძალიან კარგია, რომ მკვლელი ციხეში ზის და არამარტო ეს მკვლელი ზის ციხეში. ჩემი და ჩემი თანამშრომლების ძალისხმევით 96 მკვლელობიდან 90 მკვლელობა გავხსენით წლის განმავლობაში... მეამაყება და ყოველთვის ვიამაყებ, რა მთავრობაც უნდა მოვიდეს და რაც უნდა ჩირქის მოცხება დააპირონ. 18 წლის ბიჭს რომ მოკლავ, ცოტა მეტი სინდისი უნდა გქონდეს, რომ ასეთი ნაძირალა არ იყო და სასჯელი მოიხადო მაინც. რადგან დედამისს ის ბიჭი არასოდეს დაუბრუნდება, ამ ადამიანს კი შანსი აქვს, რომ სასჯელი მოიხადოს და ოჯახს დაუბრუნდეს.

– მჟავანაძის ამ განცხადებას თქვენ ბაჩანა ახალაიას საქმის კონტექსტში განიხილავთ, თუ ფიქრობთ, რომ საქმეს მსვლელობა მიეცემა?

– გენერალურ პროკურატურაში კი არა, ბუტროს ბუტროს გალთან რომ მიიტანონ საჩივარი, იმდენად სასაცილოა ეს, რომ აქ სამართლებრივი შედეგის დადგომის შანსი არ არის. მაგაზე არ არის გათვლილი. ეს გათვლილია იმაზე, რომ გოგა ონიანი საზოგადოებას ესაუბრება ბაჩო ახალაიასთან მიმართებაში. ეს საუბარი არის საფუძვლიანი და გამყარებულია მტკიცებულებებით. მათ ჩემი ანტიპიარი უნდათ და ამით ფიქრობენ გააბათილონ ის რეალური მომენტები, რაც დღეს არსებობს ბაჩო ახალაიას საქმეში.

ახალი ხელისუფლების პირობებში სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალი უკვე წარდგენილი აქვთ ყოფილ მაღალჩინოსნებს – ვანო მერაბიშვილს, დათა ახალაიას, ოლეგ მელნიკოვს, დავით ქოქიაშვილსა და დავით ჩხიტუნიძეს. ერთადერთი, ვისი პასუხისმგებლობის საკითხიც აქამდე არ იდგა, მხოლოდ ბაჩანა ახალაია იყო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საბავშვო ბრენდებ

Level 1 (მეორე სართული): Marks & Spencer

Level 1 (მეორე სართული): Sergent Major

„თბილისი მოლი“ რომ ყველა ასაკის მომხმარებელზეა გათვლილი, ამაში ახალი არაფერია, არც ის დაგავიწყდეთ, რომ აქ ყველაფერი მხოლოდ ბრენდია. თქვენი პატარებისთვის – „GAP“-ის, „Angel's Face“-ის, „Bambini“-ს, „F&F“-ის, „FG4 Combo“-ს, „Giordano“-ს, „LC Waikiki“-ს, „Marks & Spencer“-ის, „Sergent Major“-ისა და „Zara“-ს ფირმის ტანსაცმლის მაღაზიები, სავაჭრო ცენტრის პირველ და მეორე სართულზეა განთავსებული. აქ ყველაფერია იმისთვის, რომ თქვენთან ერთად, თქვენი პატარებიც ხარისხიანი, გემოვნებიანი და რა თქმა უნდა, მოდის უახლესი ტენდენციებით გათვალისწინებული ბრენდებით შემოსოთ. როგორც „თბილისი მოლის“ ადმინისტრაციაში აცხადებენ, ამ მაღაზიებს მომავალი წლიდან კიდევ რამდენიმე ბრენდი შეემატება.

Ⓐ



Level 1 (მეორე სართული): FG4 Combo



Ground Level (პირველი სართული): GAP

Level 1 (მეორე სართული): Giordano

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი „თბილისი მოლი“

Level 1 (მეორე სართული): F&F

ZARA

Level 1 (მეორე სართული): Zara

Level 1 (მეორე სართული): Angel„s Face

Level 1 (მეორე სართული): LC Waikiki

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გოგა ძველაიას საქმეზე ფსიქოლო

გარდაცვლილი გოგა ძველაია

16 წლის პატიმრის გარდაცვალების საქმეში პოლიტიკური დეტალები იკვეთება

გარდაცვლილის მამა: „თენგიზ გუნავა ადგა და ჩამალაპარაკა, თუ საჭირო იქნა, საზღვარგარეთის ექსპერტსაც ჩავრთავო. აგერ არის ბატონი გუნავა, აგერ ვარ მეც“

ადვოკატი ლედი ტუკვაძე

მარიამ ნადირაძე

პოლიტიკური თამაშის წესები, როგორც ჩანს, არც ნამდვილი ტრაგედიის გულწრფელ გაზიარებას ცნობს.

7 ოქტომბერს ქუთაისის საპყრობილეში გარდაცვლილი 16 წლის გოგა ძველაიას ოჯახი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში პატიმრის გარდაცვალების დღეს ციხის კამერებიდან ამოღებული ფირების ჩვენებისთვის ემზადება, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა კი – ამ ფირების საზღვარგარეთ ექსპერტიზაზე გასაშვებად...

სახელისუფლებო გუნდში არაერთხელ გამოითქვა ეჭვი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც ხელისუფლებაში 9-წლიანი მოღვაწეობა ციხის სკანდალის გამო დაასრულა, ამავე თემით აპირებს სპეკულირებას. რამდენად შეესაბამება ეს ეჭვი სინამდვილეს, ამაზე დასკვნებს მკითხველი, ალბათ, ამ სტატიიდანაც გამოიტანს, თუმცა მანამდე სხვა თემების შესახებ, რომელიც სტატიაზე მუშაობის დროს გამოიკვეთა.

სად და რატომ გაიარა ფსიქიატრიული მკურნალობა გოგა ძველაიამ?

დღის წესრიგში ისევ დგას კითხვა, მოიკლავდა თუ არა თავს 16 წლის პატიმარი განცალკევებულ კამერაში. ამიტომაც, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაცნობა.

„პრაიმტაიმი“ ექსკლუზიურად გთავაზობთ ამონაწერს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობიდან, რომელიც გასული წლის 28 დეკემბერს არის ხელმოწერილი თბილისის მეხუთე კლინიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიის დეპარტამენტში.

„სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა 4-100ა. ცნობა #744ა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
#5 კლინიკური საავადმყოფო. ფსიქიატრიის დეპარტამენტი.
ცნობა იგზავნება სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქოლოგიურ დისპანსერში...
პაციენტის სახელი და გვარი: გოგა ძველაია
დაბადების თარიღი: 15.03. 1997 წელი
პირადი ნომერი: 39001040548
სტაციონარში მოთავსება: 14.12.2012
სტაციონარიდან გაწერა: 28.12.2012.

დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ძირითადი დაავადება, თანმხლები დაავადება და გართულებები: არასოციალიზებული ქცევის აშლილობა.

გადატანილი დაავადებები, მოკლე ანამნეზი: მემკვიდრეობაში ფსიქოპატიური დატვირთვა არ აღინიშნება. დედის ორსულობა მიმდინარეობდა ნერვული დაძაბულობით. ბავშვი დაიბადა დროული ფიზიოლოგიური მშობიარობით, ნორმალური წონისა და ზომის. ადრეული ზრდა-განვითარება მიმდინარეობდა ასაკის შესაბამისად. იყო ნერვიული, ჭირვეული, დარღვეული ძილის ბიოლოგიური რიტმით. სამი წლიდან მიიყვანეს საბავშვო ბაღში. უჭირდა კონტაქტი თანატოლებთან. პასიური. ძნელად ერთვებოდა კოლექტიურ ღონისძიებებში. სკოლაში სწავლობდა საშუალო აკადემიური მოსწრებით. არ აქტიურობდა გაკვეთილის მსვლელობის პროცესში. მეოთხე კლასში ყოფნის პერიოდში მოყვა ავარიაში. დაკარგული ჰქონდა გონება გარკვეული მცირე დროით. ამავე დროიდან დაიწყო სიგარეტის მოწევა. ინტერესები და სურვილები შეეცვალა. ერთ საქმეს დიდხანს გულს ვერ უდებდა. გართულდა სასწავლო პროგრამა და სწავლაზე გული აიცრუა. ერთადერთი, რის მიმართაც ინტერესი გამოთქვა, ქუთაისის კადეტთა სკოლაში სწავლა იყო. იქ კომისიამ უარი უთხრა ავარიის შემდგომ თვალში აღმოჩენილი ცვლილებების გამო. ქცევის დარღვევები განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში. გაკვეთილებიდან იპარებოდა, ხტებოდა ფანჯრიდან, ხმაურიანი და მოძრავი ხელს უშლიდა პედაგოგებს გაკვეთილების მსვლელობაში, ველარ იმორჩილებდნენ, ბოლო წელი სკოლაში აღარ დადიოდა. გადაინაცვლა ქუჩაში. ღამით გვიანობამდე არ ბრუნდებოდა. ეწეოდა პლანს, სვამდა ლუდს, დიდ დროს ატარებდა სათამაშო ავტომატებთან. მოექცა ქუჩის ბიჭების გავლენის ქვეშ, იტყუებოდა ყოველი ფეხის ნაბიჯზე. სახლიდან გაჰქონდა ფული დაუკითხავად, აგინებდა ყველას, ყოველგვარი მიზეზის გამო ეცვლებოდა გუნება-განწყობა, იწყებდა ყვირილს, ლანძღვა-გინებას, ამტვრევდა საოჯახო ნივთებს, ვერ იტანდა შენიშვნებს, დარიგებას, ავლენდა ფიზიკურ აგრესიას მშობლების მიმართ ყელში წახრჩობის მცდელობით. გადაისერა ხელები ბასრი საგნით, იმახსოვრებდა წყენას სამაგიეროს გადახდის სურვილით. ცეცხლი წაუკიდა ბიძის სახლს, შემდეგ ნანობდა, რატომ ვაკეთებ, არ ვიციო. გადავიდა ქუჩის ცხოვრებაზე. ერთი წლის წინათ, ამხანაგთან ერთად, მოიპარა მანქანიდან მაგნიტოფონები, მიუსაჯეს სამწლიანი პირობითი სასჯელი. ბოლო დროს უჩიოდა თავის ტკივილს, უძილობას. ყოველივე აღნიშნულის გამო მოიყვანეს ჩვენს კლინიკაში სამკურნალოდ.

ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები და კონსულტაციები: ...ფსიქონევროლოგიური პათოლოგიები არ აღენიშნება (დაენიშნა დამამშვიდებელი პრეპარატები)...

მდგომარეობა სტაციონარში გაგზავნისას: იყო მშვიდად, გარეგნულად მოწესრიგებული. რეჟიმს ემორჩილებოდა, კონტაქტში ერთვებოდა თავისუფლად, შეკითხვებზე იძლეოდა ადეკვატურ პასუხებს. მეტყველება შეზღუდული მარაგით... ანამნეზში მოწოდებულ ცნობებს ადასტურებს (დაუჯერებელი, ჯიუტი, უხეში, მოძალადე, ულმობელი აუტო და ჰეტერო აგრესორი). სკოლაში სიარული შეწყვიტა. ლუდს სვამდა თითქმის ყოველდღე 3-4 ბოთლს, ასევე ეწეოდა მარიხუანას. თამაშობდა ტოტალიზატორში ხან დედის მიცემული, ხანაც დაუკითხავად აღებული ფულით. ირკვევა, რომ ავარიის შემდეგ აღენიშნება გუნება-განწყობის ცვალებადობა. აცხადებდა, როცა ვბრაზდები, თავს ვერ ვიკავებ, შეიძლება, ადამიანი შემომაკვდეს ცემაში, მიყვარს თავისუფლება, ვერ ვიტან შენიშვნას, ჭკუის დარიგებას. აღნიშნულის გამო ცეცხლი წავუკიდე ბიძის სახლს. ამის მერე აღარ მელაპარაკება... ჩივის თავის ტკივილს, გათიშვებს. თუ განერვიულდება, ატკივდება თავი, აუჩქარდება სუნთქვა, გულისცემა და გონებას კარგავს, – მერე აღარ მახსოვს, რა მემართება. მეუბნებიან, რომ ვერ მაჩერებენ, მიკეთებენ ნემსს და მერე ვმშვიდდები... აღარ მინდა, მაგრამ მაინც ვაკეთებ...

მდგომარეობა სტაციონარიდან გაწერისას: მკურნალობის ფონზე გუნება-განწყობა გაუმჯობესდა, ქცევა მონესრიგდა, გაუჩნდა კრიტიკა საკუთარი ქცევის მიმართ.

სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები: გაგრძელდეს მკურნალობა დისპანსერის მეთვალყურეობის ქვეშ.

ცნობის გაცემის თარიღი: 28.12.2012წ.

ქალბატონი მთვარისა, გოგა ძველაიას დედა:

– სანამ დააპატიმრებდნენ, მანამდე წავიყვანე თბილისში სამკურნალოდ.

– რატომ ჩათვალეთ, რომ მკურნალობა სჭირდებოდა?

– მეოთხე კლასში ავარიაში მოყვა. თავის ტკივილები ჰქონდა. მედიკამენტებს არ ვაძლევედი, ბავშვი იყო და გარდატეხის პერიოდში არ შეიძლებოდა მისთვის ძლიერი მედიკამენტები. ვმკურნალობდი საშუალოდ. საავადმყოფოში 22 დღე იყო. წამლებს ასმევდნენ, მაგრამ დიდი დოზით არა.

– ექიმის ჩანაწერებში წერია, რომ გადაისერა ხელები, გადაწვა ბიძის სახლი... ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი?

– იმ პერიოდში არეული იყო ბავშვი, მაგრამ მთლად ამ დონეზე არა. ცოტა ტყუილებიც იცოდა მაშინ.

– ე.ი. ასეთ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია?

– არა. თქვენც შეგიძლიათ შეამოწმოთ, სახლი ადგილზეა.

– თქვენთანაც ჰქონდა საუბარი, რომ, როცა რამეს აშავებს, მერე უკვირს, რატომ აკეთებს ამას?..

– უბრალოდ, ნერვები ეწეწებოდა, მაგრამ ის, რომ არ ახსოვდა, რას აკეთებდა, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა.

რისთვის სძალავდა პროკურორი ძველაიებს ფულს?

ქალბატონ მთვარისასთან დიალოგი გარდაცვლილის მამამ, დავით ძველაიამ შეგვაწყვეტინა და ასეთი კითხვით მოგვმართა:

– ამ სახლის გადაწვაზე რომ სვამთ კითხვებს, რატომ არ კითხულობთ იმას, რომ გამოძიებამ არაფრად ჩააგდო იმ ბავშვის ჩვენება, რომელიც გოგასთან ერთად დაიჭირეს. ეს არის გიორგი ნაჭყებია, რომელიც ამბობს, რომ პოლიციაში გაყინული ბოთლებით სცემეს. იცით, როგორ მოგვატყუა მაშინ პროკურორმა? როცა ბავშვები დაიჭირეს, გაუქმებული ბარიდან ძველი, პლასტინკებიანი მაგნიტოფონის მოპარვის გამო, გოგამ დაწერა, რომ მისი მეგობარი არაფერ შუაში იყო და ყველაფერი თავის თავზე აიღო. ნაჭყებიაც წერდა, რომ ის არაფერ შუაში იყო. პროკურორმა, ვინმე კოტემ, მე და გიორგის მამას გვითხრა, რომ, თუ ეს ბავშვი აღიარებას მისცემდა, სამწლიან პირობითს მოითხოვდა და 500-500-ლარიან ჯარიმებში გამოვიდოდით. გამოძიებამ ეს აღიარება მიიღო და სასამართლოზე ამ კაცმა 7-7 წელი და 5000 ლარი გირაო მოითხოვა.

– რას ამბობთ? რამდენადაც ვიცი, ამ საქმის არსებითი განხილვა არ ყოფილა და სასჯელს როგორ მოითხოვდა? გოგას ხომ იმ სასამართლოზე 5000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდეს?

– რასაც გეუბნებით, ასე იყო, ცოცხალი ადამიანი ვდგავარ და გიყვებით. როდესაც პროკურორმა ეს მოითხოვა, მოსამართლემ უთხრა, თქვენ იცით, რომ ეს ბავშვი პრეზიდენტმა შეიწყალა და მას სუფთა ფურცლიდან უწევს ცხოვრების დაწყებაო? ის მაინც იგივეს ითხოვდა – 7-წლიან პატიმრობას და 5000 ლარს, გირაოს სახით...

– წარმოუდგენელ რამეს ყვებით... სასჯელს არსებითი განხილვის ბოლოს მოითხოვს ხოლმე პროკურატურა. გოგა კი, რამდენადაც ვიცი, 4 ოქტომბერს დაიჭირეს და 6 ოქტომბერს სასამართლომ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბებმა სკანდალური დასკვნა დადეს

EXCLUSIVE

ამონანერი გარდაცვლილი პატიმრის ფსიქონევროლოგიური დასკვნიდან:

„როცა ვბრაზდები, თავს ვერ ვიკავებ, შეიძლება ადამიანი შემომაკვდეს ცემაში, მიყვარს თავისუფლება, ვერ ვიტანო შენიშვნას, ჭკუის დარიგებას. აღნიშნულის გამო ცეცხლი წავუკიდე ბიძის სახლს. ამის მერე აღარ მელაპარაკება“...

სამედიცინო დოკუმენტაცია
ფორმა 4-100ა. ცნობა #744ა
ჯანმრთელობის მდგომარეობის
შესახებ.
#5 კლინიკური საავადმყოფო.
ფსიქიატრიის დეპარტამენტი.
ცნობა იგზავნება სენაკის
სარაიონთაშორისო ფსიქოლოგიურ
დისპანსერში...
პაციენტის სახელი და გვარი:
გოგა ძველაია
დაბადების თარიღი:
15.03. 1997 წელი
პირადი ნომერი: 39001040548
სტაციონარში მოთავსება:
14.12.2012
სტაციონარიდან გაწერა:
28.12.2012.

მას აღმკვეთი სახით გირაო შეუფარდა...

– მაშინ რატომ გაუშვეს ციხეში?

– ალბათ, იმიტომ, რომ გირაოს თანხის შეტანამდე უნდა ყოფილიყო იქ...

– მე რასაც გიყვებით, ზუსტად ასე იყო. რატომ არ კითხულობთ, რა რეაქცია მისცა გამოძიებამ გიორგი ნაჭყებიას განცხადებას მათზე ფიზიკური ზეწოლის შესახებ? ეს ბავშვი მე აღმოვაჩინე და გამოვიყვანე. არავინ არაფრად ჩააგდო ეს განცხადება. თითქოს ეს ბავშვი საერთოდ არც კი არსებობს. მე, მართალია, ვერ ვამტკიცებ ამას, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ არსებობს დასაჭერი ბავშვების სია იმისთვის, რომ ბიუჯეტში ფული შევიდეს. პროკურორი პირდაპირ გეუბნება, სახლსაც მე ჩაგადებინებ და საბუთებსაც გაგაკეთებინებ იმისთვის, რომ მოთხოვნილი თანხა კონკრეტულ ანგარიშზე ჩარიცხოო.

– რომელი პროკურორი აკეთებს ამას?

– სენაკშია, ბრალმდებელი, კოტე ჰქვია.

– პირადად თქვენ შემოგთავაზათ, სახლს ჩაგადებინებთო, თუ გიორგის მშობლებს?

– მეც მითხრა, ჩემო დაიკო.

მკითხველს შევახსენებთ, რომ გიორგი ნაჭყებიამ მისი დაკავების მომენტის გახსენებისას აღნიშნა, რომ განყოფილებაში მას დანაშაულის აღიარებას სთხოვდნენ. ის ზეწოლის ფაქტზეც მიუთითებს. ამ დეტალების შესწავლას შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს. რაც შეეხება სასამართლოს ინციდენტს, რომლის შესახებაც ზემოშემოთავაზებულ ინტერვიუში იყო საუბარი, ამის თაობაზე გთავაზობთ სენაკის რაიონული სასამართლოს ოფიციალურ განცხადებას:

„2013 წლის 5 ოქტომბერს სენაკის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მომართა სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორმა და ბრალდებულების გოგა ძველაიასა და გიორგი ნაჭყებიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება მოითხოვა. გოგა ძველაიასა და გიორგი ნაჭყებიას ბრალი დაედოთ 2013 წლის 3 ოქტომბერს მომხდარი ქურდობის ფაქტზე, სასამართლო პროცესზე პროკურორმა გიორგი ნაჭყებიას მიმართ შეცვალა მოთხოვნა და მოითხოვა 5000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება პატიმრობის უზრუნველყოფით, რადგან მისი განმარტებით, ბრალდებული მომავალში აპირებდა გამოძიებასთან თანამშრომლობას. პროკურორმა გოგა ძველაიას მიმართ კატეგორიულად მოითხოვა დაპატიმრების გამოყენება იმ მოტივით, რომ ბრალდებული ორჯერ იყო ნასამართლები განზრახ მძიმე დანაშაულისთვის და არსებობდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის კვლავ ჩადენის საფრთხე. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ პროკურორს განუმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის განკარგულების საფუძველზე გოგა ძველაიას მოეხსნა ნასამართლობა. შესაბამისად, დანაშაულებრივი ფაქტის მოხდენისა და შუამდგომლობის განხილვის ეტაპისთვის გოგა ძველაია არ ითვლებოდა ნასამართლევად. მიუხედავად ამისა, პროკურორმა კვლავ კატეგორიულად მოითხოვა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ დაპატიმრების გამოყენება. სასამართლომ პროკურორის მოთხოვნა ჩათვალა ზედმეტად მკაცრად და იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული გოგა ძველაია იყო არასრულწლოვანი და ნასამართლობის არმქონე პირი, მას შეუფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით.

ვინაიდან ბრალდებული სასამართლოში წარმოდგენისას იყო დაკავებული, საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, გირაოს თანხის გადახდამდე გამოიყენა დაპატიმრება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის დაკავებიდან განთავისუფლებას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს“.

რა დაუჯდება „ნაციონალურ მოძრაობას“ ფირების ფონედოსკოპური ექსპერტიზა?

როგორც უკვე მოგახსენეთ, ხვალ ფირების ჩვენება გაიმართება.

ლედი ტუკვაძე, ძველაიების ადვოკატი:

– ჩვენ მივმართეთ სახალხო დამცველს, ახალგაზრდა იურისტებს და თავისუფალ მედიას, რომ ისინიც დაესწრონ ამ ფირების ჩვენებას. ჯერჯერობით მხოლოდ ახალგაზრდა იურისტები გამოგვეხმაურნენ.

– შევიტყვეთ, რომ ჩანაწერის ხანგრძლივობა 124 საათია, ვინაიდან პატიმრის ციხეში ყოფნის პერიოდი 5 კამერის ჩანაწერშია. მათი ჩვენება სრულად როგორ მოხერხდება?

– გვაჩვენებენ, ალბათ, იმ ფირებს, რასაც ოჯახი მოითხოვს. ჩემი რეკომენდაცია კი იქნება, რომ ვნახოთ ჩანაწერები, რომელიც გოგას საკნის კარს უყურებს, ვინაიდან გავიგოთ, ვინ შევიდა მასთან...

დავით ძველაია:

– შევიტყვეთ, რომ ფირების ექსპერტიზას საზღვარგარეთ გეგმავთ...

– ჯერ აქ უნდა შეისწავლოს გამოძიებამ ეს ფირები, აქაურმა ექსპერტმა უნდა გამოიტანოს დასკვნა. თუ მე რამე ეჭვი გამიჩნდება, რომ ფირი დამონტაჟებულია, მაშინ ესენი მომცემენ ფირის შემოწმების უფლებას. უკვე შეთანხმებული ვარ, რომ ამ ფირებს საზღვარგარეთ გავაგზავნით.

– საკმაოდ ძვირი ღირს ამ ფირების ექსპერტიზა. კოლოსალური თანხები დაგიჯდებათ...

– კი ბატონო, ვიცი... ჩემთან მიხეილ სააკაშვილი რომ იყო, ბატონ თენგიზს დაავალა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი რომ არის...

– გუნავას?

– დიახ. დაავალა, რომ, რასაც ოჯახი მოითხოვს, ყველაფერი გააკეთეთო. გუნავა ადგა და პირში ჩამალაპარაკა (სტილი დაცულია. – მ.ნ.), ვიჯექით, აი, აქეთ, უკანა ოთახში და მითხრა, თუ საჭირო იქნა, საზღვარგარეთის ექსპერტსაც ჩავრთავო. აგერ არის ბატონი გუნავა, აგერ ვარ მეც.

– ანუ, „ნაციონალური მოძრაობა“ გადაიხდის ამ ხარჯებს?

– სააკაშვილის დავალება იყო და გუნავა ასრულებს და ნაციონალები გამოდიან, აბა, ვინ გამოდიან?

– ბატონო დავით, არ გიფიქრიათ, რომ თქვენი შვილის ტრაგედია პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღი ხდება?

– ამაზე არ მიფიქრია, ჩემო დაიკო. მე ჩემი პრობლემა მაქვს. ვინც გვერდში ამომიდგება, მინდა, რომ მეც ამოვუდგე გვერდში. ოღონდ ხმის მიცემით – არა. არჩევნებზე საერთოდ არ მივდივართ ჩვენი ოჯახის წევრები. გასაგებია, რომ მეხმარებიან, მაგრამ პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არის. მადლობას ვუხდი ბატონ პრეზიდენტს, მადლობა გადავუხადე თენგიზ გუნავას მხარდაჭერისთვის, ჩვენი მერია გვეხმარება ძალიან... მადლობის მეტი ამ ხალხზე არაფერი მეთქმის. მე პოლიტიკა არ მაინტერესებს, ჩემო დაიკო. მე შიმშილობას ვაპირებდი და გავიგე, რომ ვიღაცას ამის გამოყენება უნდოდა. მაშინვე შევცვალე გადაწყვეტილება. უკვე გამზადებული მქონდა ბალიშიც და სხვა აუცილებელი რამ.

– ვის უნდოდა ამის გამოყენება?

– მირეკავდნენ ვიღაცები, ჩვენ ეს და ეს ვართო... ერთი მეუბნება, „მარშრუტკით“ მოვალთო, მეორე მეუბნება ტრაფარეტებს მოვიტანო და ა.შ.

– ვინ იყო ეს ხალხი?

– არ მინდა, ამ პოლიტიკოსების სახელები და გვარები დავასახელო. სათამაშო საგანი რომ არ გამხდარიყო ჩემი გულისტკივილი, ეს გადაწყვეტილება მივიღე. მერე მეუბნებოდნენ, დაგვირეკე, თუ დაგჭირდებითო. მე ბატონო, სიმართლე მინდა გავიგო, ჩემი შვილის თავს რა მოხდა, თორემ პოლიტიკა რა ჩემი საქმეა?

ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ტარიფების მიხედვით ირკვევა, რომ ვიდეოჩანაწერებზე (ფონოგრამით) მონტაჟის ნიშნის დადგენა 10 წუთის ჩათვლით 150 ლარი ღირს, ხოლო შემდეგ ყოველი დამატებითი წუთი – 15 ლარი. ასეთი გაანგარიშებით, 124 საათი, ანუ 7440 წუთი ამ საექსპერტო დაწესებულებაში 111 600 ლარი ღირს. ფონოგრამის გარეშე კი ასეთი ტარიფია: ათი წუთი – 50 ლარი, მომდევნო ყოველი წუთი – 5 ლარი. 124 საათის შემთხვევაში თანხა 37 200 ლარს შეადგენს.

ასეთი ექსპერტიზა ალტერნატიული ექსპერტიზის სახით საქართველოში ექსპერტ ალეკო გეჯაძესთან ტარდება. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ მასთან ტარიფები გაცილებით მაღალია, ვიდრე სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროში:

– რამდენად მაღალი?

– ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული – მასალის ხანგრძლივობაზე, ვარგისიანობაზე და ა.შ. უხეშად რომ გითხრათ, ალბათ, სამჯერ მეტია ტარიფი. თუმცა, თუ მასალას ჩვენთან მოიტანენ, გვესმის რა თემის რეზონანსულობა, ოჯახს მაქსიმალურად გავუწევთ შეღავათს.

– საზღვარგარეთ რა ღირს ანალოგიური ექსპერტიზის ჩატარება?

– დაახლოებით ათჯერ ძვირი, ვიდრე ეს ეროვნულ ბიუროშია.

ალბათ, ყველას თავისი „მათემატიკა“ აქვს. თუმცა დავით ძველაია დარწმუნებულია, რომ მისთვის და მისი შვილისთვის მილიონს არავინ გადაიხდის. მომავალი გვიჩვენებს, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, რამდენად გულწრფელი და ფასიანია კონკრეტული პოლიტიკური ძალისთვის სხვისი ოჯახის ტრაგედიის გაზიარება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხურჩის ტერაქტზე ბრალს როლანდ ახალაიასაც წაუყენებენ?!

„სააკაშვილი სამეგრელოში რომ ჩამოდიოდა, ახალაიების სახლში ჩერდებოდა და ყველაფერ სიბინძურეს როლანდ ახალაიასთან ერთად გეგმავდა“

მარიამ ნადირაძე

2008 წლის 21 მაისი – ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მომხდარ ინციდენტში საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება დაადანაშაულა და განაცხადა, რომ გალიდან არჩევნებში ხმის მისაცემად მომავალ დევნილებს ტყვიები აფხაზებმა დაუშინეს...

2013 წლის 22 ოქტომბერი – ისევ საქართველოს მთავრობის პოზიცია: „გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის 21 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, რომან შამათავამ (შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს მაშინდელი უფროსი. – მ.ნ.), შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა და განახორციელა ტერორისტული აქტი, რამაც შექმნა ადამიანის სიცოცხლის მოსპობისა და მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის განხორციელების საშიშროება, ასევე, ხელყო საზოგადოებრივი უსაფრთხოება. კერძოდ, 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში მობილიზებული იქნა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით აპირებდა ზუგდიდში გამგზავრებას.

დასახელებულ დროს, სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ჩასაფრებულმა რომან შამათავამ, მალხაზ მურღულიამ (შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი. – მ.ნ.) და მათმა თანამზრახველებმა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ურთიერთშორის ნაწარმოები მრავალჯერადი გასროლით მშვიდობიან მოსახლეობაში გამოიწვიეს პანიკა, აგრეთვე, მალხაზ მურღულიამ „ერ-პე-გე“-ს ტიპის ყუმბართმტყორცნიდან განხორციელებული ორი გასროლით ააფეთქა ხალხის გადასაყვანად მობილიზებული ავტობუსები... აფეთქების შედეგად სრულად განადგურდა ორივე სატრანსპორტო საშუალება, ხოლო სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო მოქალაქე ნანი ქარდავამ. გიორგობიანის მტკიცებით, ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ, ორგანიზატორებმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლებსა და დაჭრილ მოქალაქეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული ასიგნებებიდან აუნაზღაურეს მიყენებული ზიანი“.

საქართველოს მთავრობის ეს ორი აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადება, ცხადია, დაბნეულობას იწვევს საზოგადოებაში და დამაჯერებლობის თამასა კვლავ ელექტორატის აზრთა სხვადასხვაობაზე ჰკიდია არა ამ კონკრეტული დანაშაულის შეფასების კრიტერიუმებით, არამედ კვლავაც პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით.

თუმცა, ამ ინციდენტის შესახებ, რომელიც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ უკვე ტერაქტად შეაფასა, საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ 4 თვის წინ გახდა ცნობილი, როდესაც ამის შესახებ განცხადება რუსეთში პოლიტიკურმა დევნილმა, ზაზა გაბედავამ გააკეთა, რომელიც სრულებით ემთხვევა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებას. თუმცა, მაშინ გაბედავა კრემლის აგენტად მონათლეს და მისი ნათქვამი ამიტომაც სერიოზულად არავის მიუღია.

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, ის სხვა ინფორმაციებსაც ფლობს და ამის შესახებ დოკუმენტური მასალების მიწოდებას პროკურატურისთვის უახლოეს პერიოდში გეგმავს. ასე რომ, თუ უკვე არსებულ ლოგიკას დავესესხებით, სულ მალე საზოგადოებამ შესაძლოა, შეიტყოს უამრავი სკანდალის შესახებ, მათ შორის იმის თაობაზეც, როგორ „ავერბოვკებდა“ „ნაციონალური მოძრაობა“ არასრულწლოვნებს პატრიოტთა ბანაკებში.

ზაზა გაბედავა:

– რაც ხურჩაში მოხდა რეალურად, ამის შესახებ დიდი ხანია ვიცი, მქონდა ინფორმაციები.

– საიდან?

– მეგის ქარდავას ერთ-ერთი მძღოლისგან. სახელსა და გვარს არ დავასახელებ. როლანდ ახალაიას გარემოცვაშიც მყავს ძალიან ბევრი აგენტი, რომ იცოდეთ...

– აგენტი? თქვენ რა სპეცსამსახურს წარმოადგენთ?

– ინფორმაციებს მაძლევენ და ამას ვახმაურებ, რას ვაკეთებ ცუდს? ხურჩაში რაც მოხდა, ამის თაობაზე ყველა მასალას არჩევნების შემდეგ გადავცემ პროკურატურას. ვინც ახლა დააპატიმრეს, ისინი უბრალო შემსრულებლები არიან. ეს დაკვეთა სააკაშვილისგან მოდიოდა... სააკაშვილი სამეგრელოში რომ ჩამოდიოდა, ახალაიების სახლში ჩერდებოდა და ყველაფერ სიბინძურეს როლანდ ახალაიასთან ერთად გეგმავდა.

– ხურჩის ტერაქტიც ერთ-ერთი სტუმრობის დროს დაიგეგმა?

– მე ამ საუბარს არ ვესწრებოდი, მაგრამ, ვიცი, რომ ყველა უბედურება სამეგრელოში როლანდ ახალაიას თაოსნობით ხდებოდა. არჩევნების შემდეგ ბევრ რამეს აეხდება ფარდა, იცოდეთ, იმდენი რამე ვიცი, რა სიბინძურესაც „ნაციონალური მოძრაობა“ სჩადიოდა.

– თქვენ აცხადებდით, რომ მეგის ქარდავას დაუკვეთეს ეს ყველაფერი...

– მას უნდა მოეყვანა სისრულეში ეს აფეთქება. ის მოლაპარაკებული იყო ავტობუსების მძღოლებთან და ამისთვის გასამრჯელოსაც ჰპირდებოდა. დღემდე ელოდებიან ის საცოდავები 20-20 ათას ლარს.

– გინდათ თქვათ, რომ მძღოლებმა, რომლებსაც მშვიდობიანი მოსახლეობა გადაჰყავდათ, იცოდნენ, რომ მათ ავტობუსებს ააფეთქებდნენ?

– რა თქმა უნდა. იქ ტელევიზიებიც დაბარებული იყო, იმისთვის, რომ ეს ყველაფერი მერე ფართოდ გაშუქებულიყო.

– ამბობთ, რომ არჩევნების შემდეგ სხვა სკანდალურ მასალებს მიაწვდით სამართალდამცველებს. არჩევნები რაში გიშლით ხელს?

– არჩევნებამდე რომ გამეკეთებინა ეს, არ მინდა, დესტაბილიზაცია მომხდარიყო... დესტაბილიზაცია კი აწყობს მარტო სააკაშვილს.

– გინდათ თქვათ, თქვენს ხელთ არსებული მასალები იმდენად სკანდალურია, რომ დესტაბილიზაცია მოყვება?

– ძალიან სერიოზული მასალებია. არჩევნების შემდეგ კი გვეუბნებიან, კოაბიტაცია მთავრდებაო... ჩვენ ნაპოვნი გვყავს ყველა, ვინც განმუხურისა და ანაკლიას პატრიოტთა ბანაკებში მუშაობდნენ. ირკვევა, რომ იქ ბავშვების „დავერბოვკება“ მიდიოდა. ამაზე უნდა აღიძრას პირველ რიგში საქმე.

– რა სახით ხდებოდა „დავერბოვკება“?

– დაშინებით... ძალიან ბევრ რამეს ავხდი ფარდას. ძალიან მალე კონკრეტულ ფაქტებს ნახავთ.

სანამ ზაზა გაბედავას დაპირებული სკანდალები აგორდება, ერთი რამ ცალსახად იკვეთება: თუ უკანასკნელ მოვლენებს დაკვირვებით გადავხედავთ, აშკარად შეიმჩნევა, რომ დღევანდელმა სამართალდამცველებმა ერთგვარი შეტევა წამოიწყეს დავით ახალაიას კადრებზე. ამ ეჭვს თუნდაც რამდენიმე დღის წინანდელი ფაქტიც ადასტურებს, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ კუდ-ის აჭარის სამმართველოს ყოფილი უფროსი თეიმურაზ პატარიძე დააკავა, რომელიც თურმე 2008-2012 წლებში ორგანიზებას უწევდა ყალბი პირადობის მოწმობების დამზადებას და უკანონო გამოყენებას, რათა არჩევნების დროს მომხდარიყო ყველა დონის, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ფალსიფიცირება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ. თუმცა, ეჭვობენ, რომ ეს ბრალდება ე.წ. „მუშა ბრალდებაა“, ვინაიდან პატარიძის მისამართით სხვა უამრავი ეჭვი არსებობს გაცილებით მძიმე დანაშაულებზე, რომელსაც, ალბათ, სამართალდამცველები გზადაგზა გამოავლენენ.

ეს საერთო სურათი, ბუნებრივია, ცვლის მოსაზრებებს, რომელიც ვანო მერაბიშვილის დაკავების წინ ვრცელდებოდა იმის შესახებ, რომ დათა ახალაია ამ ხელისუფლებას ძმის თავისუფლების სანაცვლოდ მერაბიშვილის წინააღმდეგ კომპრომატებზე გაურიგდა.

თუმცა, კულუარებში იმასაც ვარაუდობენ, რომ დათა ახალაიამ უფრო შორს აღარ „შეტოპა“ გარიგებაში და მისი პერსპექტივის შესახებ სიგნალები მას უკვე გაეგზავნა მისი ძმის მიმართ დაგვიანებული ბრალდების წაყენებისა და კუდ-ის მაღალჩინოსნების დაკავების სახით. მით უმეტეს, რომ მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა ხურჩის ინციდენტზე „გათვლა“ უკვე გააკეთა. „ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობისას შესაძლოა მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს“, – აცხადებს არჩილ კბილაშვილი.

ერთი სიტყვით, ახალაიების გარშემო წრე ვიწროვდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბაჩანა ახალაია პატიმრობაშია, დათა – მიმალვაში, გამოდის, რომ სამართალდამცველების „ყბაში“ როლანდ ახალაია რჩება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა მეთოდებით ებრძოდნენ ერთმანეთს კონკურენტები?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

როგორ აფასებენ წინასაარჩევნო პერიოდს პიარტექნოლოგები? ებრძოდნენ თუ არა კონკურენტები ერთმანეთს შავი პიარის მეთოდებით და რამდენად მოქმედებს პოლიტიკოსის რეიტინგზე აგრესიული წინასაარჩევნო კამპანია. ამ თემების შეჯამება ჩვენ პიარტექნოლოგიების სპეციალისტს, „რეფორმატორთა კლუბის“ ხელმძღვანელს, დიმიტრი შაშკინს ვთხოვეთ:

წინასაარჩევნო შავი პიარი თუ პოლიტიკური ხულიგნობა?

დიმიტრი შაშკინი:

„ის, რაც ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში, ვერ ვიტყოდი, რომ იყო შავი პიარი. მე ამას უფრო პოლიტიკურ ხულიგნობასა და კომპრომატებით ჟონგლიორობას დავარქმევდი“

– საზოგადოებამ იხილა არაჩვეულებრივი საარჩევნო კამპანია, რომელიც, შეიძლება ითქვას, იმდენად წყნარი იყო, რომ მსგავსი ჯერ არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, გამოყენებული იყო რამდენიმე ახალი პიარილეთი. დავიწყებ შალვა ნათელაშვილით. თუ აკვირდებოდით, მან პირველად ჩაატარა ნამდვილი კარდაკარ კამპანია. ის დადიოდა სოფელ-სოფელ და ხვდებოდა მოსახლეობას ბირჟებზე. აქამდე ამას აკეთებდა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც წელს საკმაოდ მოზომილი კამპანიით გამოირჩეოდა. ეს იყო საკმაოდ მშვიდი კამპანია, ორიენტირებული იმ ელექტორატის შენარჩუნებაზე, რომელიც დღეის მდგომარეობით არსებობს. ეს არის ბუნებრივი და სწორად გათვლილი იმაზე, რომ ეს არჩევნები გამოყენებული იყო როგორც პლაცდარმი შემდგომი წარმატებისთვის. „ქართული ოცნების“ კამპანია იყო ძალიან უცნაური, იმ თვალსაზრისით, რომ მთელი კამპანიის მთავარი მესიჯი იყო არა კანდიდატი, არამედ პრემიერ-მინისტრი. მე ვმუშაობდი ძალიან ბევრ ქვეყანაში, დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატებით და დამთავრებული რუსეთით, არც ერთხელ ჩემს 11-წლიან პრაქტიკაში არ შემხვედრია ასეთი მაგალითი. მაგალითი იმის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მთავარი ფიგურანტი იყოს არა კანდიდატი, არამედ პრემიერ-მინისტრი, ან სხვა პოლიტიკოსი, რომელიც თავისი რეიტინგით ქაჩავს კანდიდატს. საბოლოო ჯაშში, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინასაარჩევნო კამპანიები ვითარდება და იხვეწება. თუ ადრე ვხედავდით, რომ მხოლოდ „ნაცმოძრაობა“ ატარებდა კარდაკარ კამპანიას და ხვდებოდა მოსახლეობას, ახლა ეს პრაქტიკა წარმატებით აითვისეს სხვა პოლიტიკურმა ძალებმაც, რაც მხოლოდ მისასალმებელია. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ყველაზე აგრესიული კამპანია აჩვენა ნინო ბურჯანაძემ.

– და ეს აგრესია რამდენად კარგი პიარსტრატეგიაა ბურჯანაძის მხრიდან?

– ვისაც ჰყავს პატარა ბავშვი, ძალიან ადვილად მიხვდება, ახლა რასაც ვიტყვი: როდესაც ბავშვს ეუბნებიან, დახატოს მზე, ის აუცილებლად ფურცლის ზედა მარჯვენაში კუთხეში დახატავს ამას. ეს არის მის აღქმაში ნათელი მომავლის სიმბოლო. ისევე, როგორც ბავშვები, ზრდასრული ადამიანებიც ორიენტირებულნი არიან ნათელ მომავალზე. მათ უნდა ესაუბრო არა წარსულზე, არამედ მომავალზე. ამომრჩევლისთვის არ აქვს არანაირი მნიშვნელობა, რა გააკეთე წარსულში და რა მიღწევები გქონდა, მათ აინტერესებთ, რას სთავაზობ მომავლისთვის. თუ ამომრჩეველს არ აჩვენე პოზიტიური მომავალი და მხოლოდ შურისძიებას სთავაზობ მას, ის შენ მხარს არ დაგიჭერს. რა თქმა უნდა, არსებობს ელექტორატის ნაწილი, რომელსაც შურისძიება სწყურია, მაგრამ ეს ელექტორატი ყოველთვის არის უმცირესობაში. საზოგადოების უმრავლესობა, დაახლოებით 80-85 პროცენტი, ორიენტირებულია მომავალზე.

– რამდენად აქტიურად იყენებდნენ პოლიტიკური ძალები წინასაარჩევნო შავ პიარს კონკურენტების წინააღმდეგ?

– ის, რაც ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში, ვერ ვიტყოდი, რომ იყო შავი პიარი. შავი პიარის ცნება არის უფრო ფართო და დახვეწილი. მე ამას უფრო პოლიტიკურ ხულიგნობასა და კომპრომატებით ჟონგლიორობას დავარქმევდი. შავი პიარის ტექნოლოგიები მოითხოვს ძალიან მაღალ ინტელექტუალურ მუშაობას, საქართველოში ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ არა შავი პიარის ტექნოლოგიებს, არამედ ან წინასაარჩევნო ხულიგნობებს, ან კომპრომატებით ბრძოლას. კომპრომატების ომი, რა თქმა უნდა, არსებობს, სამწუხაროდ, ეს არის რუსული პოლიტიკური სისტემის ანარეკლი, იქაც წინასაარჩევნოდ. მთავარია არა პროგრამები და დაპირებები, არამედ სწორედ კომპრომატები. ბუნებრივია, მოსახლეობის რაღაც ნაწილზე ეს ზეგავლენას ახდენს, რადგან ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა არის ლაბილურ-ფსიქოემოციური ტიპის, რომელიც გადაწყვეტილებებს ხშირად იღებს ემოციურად და არა რაციონალურად. რაც შეეხება შავ პიარს, არსებობს ამის ზუსტი მეცნიერული განმარტება. შავი პიარი არის ტაქტიკური სვლების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს არარსებული, ან თუნდაც არსებული პროდუქტის არაკანონიერი გზებით გაყიდვას. როდესაც მსოფლიო პრაქტიკაში რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი ამ სვლას იყენებს, წინასწარ ადგენენ მთელ რიგ სტრატეგიულ სვლებს. როგორც გითხარით, საქართველოში ის, რასაც შავ პიარს ეძახიან, არის არა შავი პიარი, არამედ პოლიტიკური ხულიგნობა.

– დაბოლოს, მინდა გკითხოთ, ამ საპრეზიდენტო არჩევნებით ცენტრალური ხელისუფლება მთლიანად გადადის „ქართული ოცნების“ ხელში... რა განსხვავებას ხედავთ საკაშვილისა და ივანიშვილის მთავრობებს შორის?

– სააკაშვილისა და ივანიშვილის მთავრობებს შორის ყველაზე დიდი განსხვავება ისაა, რომ სააკაშვილის მთავრობა ორიენტირებული იყო შედეგზე, ივანიშვილის კი – პროცესზე. ახლა ყველაზე ხშირად მთავრობის წევრებისგან გვესმის: შევქმნით კომისიას, ვიმსჯელებთ, დავიწყებთ პროცესს... ხოლო ადრე ყველაზე პოპულარული სიტყვები იყო: ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, მალე და კონკრეტული თარიღი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პირველი არხი“ - „ქართული ჯარი“

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ახალი პროექტი დაიწყო. გადაცემა „ქართული ჯარი“ ყოველ ხუთშაბათს (19:30) გადის. წამყვანი გიორგი ცხვიტავა ნახევარი საათის განმავლობაში ქართველი ჯარისკაცების ისტორიას და საქართველოს არმიის განვითარებაზე მოგვითხრობს.

გიორგი ცხვიტავა: - ამ გადაცემაში ნაჩვენებია ოთხი რეპორტაჟი, უსაფრთხოების მიმართულებით, როგორც ნატოს თემატიკაზე, ასევე, უშუალოდ საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე. იმ პროცესებზე რა პროცესებიც მიმდინარეობს შეიარაღებულ ძალებში. რა ეტაპზეა საქართველოს გზა ნატოსთან, როგორ ვითარდება და ა.შ.

- თქვენთან ერთად ვინ ამზადებს ამ გადაცემას?

- მე ვარ ამ გადაცემის წამყვანი და პროდიუსერი. გვყავს ძალიან კარგი რეჟისორი დავით მეფარიშვილი. გვყავს ჟურნალისტები და ერთ-ერთი არის ქეთევან თევზაძე, რომელიც შეიარაღებული ძალების თადარიგის კაპიტანია. პირველად ვგეგმავთ ასეთ რამეს სატელევიზიო სივრცეში, რომ თადარიგში გასული ოფიცერი აკეთებს სატელევიზიო მასალას. ასეთი ადამიანები, სატელევიზიო სივრცეში მხოლოდ ინტერვიუერების სახით ჩანან. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც უშუალოდ აკეთებს რეპორტაჟებს შეიარაღებული ძალების შესახებ. რაც გაცილებით მაღალი კომპეტენციის არის, ვიდრე ჩვეულებრივი რეპორტიორის მიერ მომზადებული.

- კონკრეტულად ეხებით ჯარისკაცის ისტორიას, თუ უფრო ზოგადი მიმოხილვით შემოიფარგლებით?

- ჩვენმა ჟურნალისტმა ძალიან საინტერესო სიუჟეტი მოამზადა ავღანეთში მებრძოლ დაჩი ხურციძეზე, რომელიც მხოლოდ ერთხელ კი არ იყო მისიით სადმე წასული, ან ბრძოლაში ნამყოფი, თავისი ცხოვრების მანძილზე, ორჯერ იყო ერაყში, მესამედ არის ავღანეთში. ანუ პორტრეტული ტიპის სიუჟეტებიც აუცილებლად გვექნება. წარმოვაჩენთ ქართველ ჯარისკაცებს, თავიანთი საინტერესო ისტორიებით.

- სამომავლოდ კიდევ რა გეგმები გაქვთ გადაცემასთან დაკავშირებით?

- ბევრი საინტერესო იდეა გვაქვს, უბრალოდ, გვინდა, რომ რაღაც პერიოდი გავიდეს. საინტერესო იდეები გვაქვს თადარიგში გასულ ოფიცრებთან, ვეტერანებთან და იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებსაც გული შესტკივათ ქართულ არმიაზე, რომლებიც წერენ ქართული არმიის შესახებ, არამარტო პრესაში, არამედ ინტერნეტ სივრცეში. ამ საკითხებთან დაკავშირებით, იდეები გვაქვს, უბრალოდ, ველოდებით გარკვეული საკითხების დაძვრას და აუცილებლად განვახორციელებთ.

ქართული არმიის ისტორია ძალიან მძიმეა. არმია ახალი ორგანიზმია, ისევე როგორც ქვეყანა. ძალიან ბევრი გარდაცვლილი და დასახიჩრებული ჯარისკაცი გვყავს. დღეს, სამწუხაროდ, ისე ხდება, რომ ცოცხლებზე უფრო ნაკლებად საუბრობენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამის დაბალანსება მოხდება, რომ არ დავივიწყოთ გარდაცვლილი ჯარისკაცების საგმირო საქმეები. ამ ფაქტით შევეცდებით გავამხნევოთ ის ჯარისკაცები, რომლებიც შეიარაღებულ ჯარებში არიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მაესტროდან“ ჟურნალისტები გაუშვეს

ბაია გადაბაძე: „მასობრივ გაშვებებზე არ არის საუბარი, ადგილი აქვს კონკრეტულ შემცირებებს, რაც არ აისახება არხის რეიტინგზე“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

დგას თუ არა ტელეკომპანია ფინანსური კრიზისის პირას? EXCLUSIVE

ნანა ლეჟავა

პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, როგორც წესი, სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს მედიაბაზარზეც. ჟურნალისტების განთავისუფლება-გადანაწილების პროცესი ჯერაც არ დასრულებულა წამყვან ტელეკომპანიებში. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ცოტა ხნის წინ ტელეკომპანია „მაესტროში“ ერთდროულად 8 თანამშრომელი გაათავისუფლეს, მათგან 4 ჟურნალისტი და 4 ტელეოპერატორი. ამბობენ, რომ არხის ახალმა მენეჯმენტმა ეს გადაწყვეტილება ფინანსური პრობლემების გამო მიიღო. აქამდეც არაერთხელ გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ „მაესტროს“ ჟურნალისტების სახელფასო დავალიანება დაუგროვდათ და საინფორმაციო გამოშვების კორესპონდენტები ანაზღაურებას ვერ იღებდნენ. არხის ფინანსური კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, მფლობელებმა შეცვალეს მენეჯმენტი. ცოტა ხნის წინ გენერალურ დირექტორად დაინიშნა ბაია გადაბაძე, საინფორმაციო სამსახურის კურატორი კი ნინო ჟიჟილაშვილი გახდა. გადაუხდიან თუ არა „მაესტროდან“ განთავისუფლებულ ჟურნალისტებს კომპენსაციებს? ეს საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ტელეკომპანიას ჟურნალისტებთან თავის დროზე არანაირი შრომითი ხელშეკრულება არ გაუფორმებია და ისინი ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მუშაობდნენ. სავარაუდოდ, იანვრიდან, „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვება ფორმატს შეიცვლის, კერძოდ, დღის გამოშვებების ქრონომეტრაჟი – 15-წუთიანი, მთავარი გამოშვების კი 30-წუთიანი გახდება.

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, „პრაიმტაიმი“ ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალურ დირექტორს ბაია გადაბაძეს დაუკავშირდა. მისი თქმით, საინფორმაციო გამოშვების რამდენიმე ჟურნალისტი უხელფასო შვებულებაში გაუშვეს, ვინაიდან ისინი რამდენიმე კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებდნენ.

– ბაია, რამდენად მართალია, რომ საინფორმაციო სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი გაათავისუფლეთ?

– დიახ, ისინი ამ წუთას უხელფასო შვებულებაში არიან. ჩვენ ვგეგმავთ იანვარში ტრენინგებს, რომელსაც უცხოელი ტრენერები ჩაატარებენ. ამ ჟურნალისტებსაც ექნებათ საშუალება, გაიარონ გადამზადება და შემდეგ ხელახლა მოხდება თანამშრომელთა გადარჩევა. ამჟამად საინფორმაციო სამსახურში რჩება, ჯამში, 9 ჟურნალისტი.

– და რა კრიტერიუმით მოხდა უხელფასო შვებულებაში გაშვება?

– ჩვენ გავიარეთ კონსულტაციები მათ უშუალო ხელმძღვანელთან. შეფასებული იქნა ყველა კრიტერიუმი, რომელიც სტანდარტულ ნიუსრუმს უნდა შეესაბამებოდეს.

– კომპენსაციას თუ მიიღებენ ეს ჟურნალისტები?

– ამ თემაზეც ვმუშაობთ იურისტებთან. ყველაფერი ისე გაკეთდება, რასაც კანონი ითვალისწინებს.

– თუმცა, როგორც ვიცი, მათ შრომითი ხელშეკრულებები არც ჰქონდათ გაფორმებული...

– დიახ, მათ ამ ეტაპზე არ ჰქონდათ შრომითი ხელშეკრულებები.

სამომავლოდ ვაპირებთ, რომ ყველა თანამშრომელს გაუფორმდეს სრულყოფილი ხელშეკრულება. მიუხედავად ამისა, კანონით მათ მაინც ეკუთვნით გარკვეული კომპენსაცია და მას შემდეგ, რაც ჩამოვყალიბდებით იურისტებთან, ისინი მიიღებენ იმას, რაც ეკუთვნით. აქ მასობრივ გაშვებებზე არ არის საუბარი, ადგილი აქვს კონკრეტულ შემცირებებს, რაც არ აისახება არხის რეიტინგსა და საბოლოო პროდუქტზე.

– ეს შემცირება ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება?

– არა, ფინანსურ პრობლემებს არ უკავშირდება, უფრო მათ მიერ დადებულ შედეგთანაა კავშირში. სამომავლოდ არხის ბადეში მოხდება ცვლილებები, თუმცა ეს ადრე გაზაფხულზე იქნება.

„მაესტროსთან“ თავის დროზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა ჟურნალისტი ნანა ლეჟავა, თუმცა საბოლოოდ ხსენებულ არხთან მისი თანამშრომლობა არ შედგა, ისევე, როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელთან, სადაც ლეჟავა საინფორმაციო გადაცემის წამყვანად განიხილებოდა. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ჟურნალისტი საქმიანობას „TV3“-ზე გააგრძელებს და მთავარ საინფორმაციო გამოშვებას გაუძღვება. ჩვენ ვცდილობდით, ინფორმაცია პირადად ნანა ლეჟავასთან გადაგვემოწმებინა, თუმცა ის არც სატელეფონო ზარებს პასუხობს და არც „ესემეს“ შეტყობინებებს. ნანა ლეჟავას „TV3“-ზე გადასვლა არხის გენერალურმა დირექტორმა კახა ბაინდურაშვილმა პირადად დაადასტურა. მისი თქმით, ჟურნალისტთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ, მაგრამ სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია. ლეჟავა საინფორმაციო გამოშვებას 1-ლი ნოემბრიდან წაიყვანს. რაც შეეხება ეკა სოსელიასა და ვახო მამალაძეს, რომელთაც „TV3“-ზე მთავარი საინფორმაციო გამოშვება მიჰყავდათ, ცნობილია, რომ სოსელია ნიუსის ჯგუფში იმუშავებს და სინიორ-რეპორტიორი იქნება, მამალაძე კი, სავარაუდოდ, სხვა პროექტში ჩაერთვება.

მიმდინარე თვის დასაწყისში „TV3“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსად ჟურნალისტი იმედა დარსალია დაინიშნა, რომელსაც აღნიშნული პოსტი „მეცხრე არხში“ მის დახურვამდე ეკავა; იქამდე კი, „TV3“-ზე საინფორმაციო სამსახურს მაია ჭუჭულაშვილი ხელმძღვანელობდა. ეს უკანასკნელი არხზე ბიზნესის ახალ ამბებს გაუძღვება. გარდა ამისა, სექტემბერში „TV3“-ში მუშაობა ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გადაცემა „ანატომიის“ წამყვანმა ნათია მიქიაშვილმაც დაიწყო. მას „TV3“-ზე კვლავ გადაცემა „ანატომია“ მიჰყავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საჯარო სამსახურებში შტატები ხელოვნურად იზრდება?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

პარტიული ნიშნით თანამდებობებზე დანიშვნები აღარ იქნება – ასეთ დაპირებას „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების წინ იძლეოდა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი ივანიშვილის მთავრობამ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების ფიქციური დასაქმების სქემები გამოააშკარავა. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი ბრალდება, რომელიც ვანო მერაბიშვილს წაუყენეს.

დუშეთის შპს	85	116
დუშეთის ააიპ	339	339
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	173	183
ბაღდათის ააიპ	426	447
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	111	116
დედოფლისწყაროს ააიპ	369	365
დედოფლისწყაროს შპს	96	88
ფინასთა სამინისტრო	265	269
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	146	184
ლენტეხის შპს	15	15
ლენტეხის ააიპ	339	344
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	165	191
ზესტაფონის შპს	26	31
ზესტაფონის ააიპ	705	732
თიანეთის მუნიციპალიტეტი	133	140
თიანეთის შპს	24	24
თიანეთის ააიპ	237	262
სასჯელასრულების სამინისტრო	568	660
სასჯელასრულების შპს	4	76
სასჯელასრულების ააიპ	272	275
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	317	382
ზუგდიდის შპს	161	164
ზუგდიდის ააიპ	991	1087
	17331	19128
1256.2	4521.8	5778.0
525	12825	13350

„10 მილიონ ლარზე მეტია უკვე ე.წ. გაბერილ შტატებზე გახარჯული. მაგალითად, რომელიმე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს თუ აქამდე 3 მოადგილე ჰყავდა, კიდევ ორს იმატებს, სადაც ინიშნება ადამიანი პარტიული ნიშნით“

სანამ ყოფილ პრემიერს საბოლოო ვერდიქტს გამოუტანენ, ცნობილი ხდება, რომ პარტიული ნიშნით დასაქმება არც ახალი ხელისუფლებისთვისაა უცხო. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მთელ რიგ საჯარო უწყებებში შტატები ხელოვნურად გაიზარდა „ქართული ოცნების“ აქტივისტების დასაქმების მიზნით. კვლევის შედეგები „პრაიმტაიმს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა – დემოკრატიული არჩევნებიდან“ მოაწოდეს, მანამდე კი საკუთარი ანგარიში გამოაქვეყნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, რომელიც 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 1-ელ მარტამდე პერიოდს მოიცავს და რომლის თანახმადაც, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საჯარო უწყებებში გაცილებით მეტი ადამიანი მიიღეს, ვიდრე გაათავისუფლეს. ამავე ანგარიშის თანახმად, კონკურსის წესით საჯარო უწყებებში მხოლოდ 4 პროცენტი დაინიშნა.

გაბერილი შტატების უმეტესობა მუნიციპალიტეტებზე მოდის, თუმცა, როგორც „ახალი თაობა – დემოკრატიული არჩევნების“ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, შტატები საგრძნობლად გაზარდა რამდენიმე სამინისტრომაც. არასამთავრობო ორგანიზაციაში ვარაუდობენ, რომ სამინისტროებში დამატებულ ადგილებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გადანაწილდნენ.

ლევან გაბრიჩიძე, „ახალი თაობა – დემოკრატიული არჩევნები“:

– ჩვენი მიზანი იყო, გაგვერკვია, რა შეიცვალა ბოლო ერთ წელიწადში საჯარო მოხელეების დანიშვნასთან დაკავშირებით. ჩვენი კვლევა ჯერჯერობით ეხება მხოლოდ უწყებათა 50 პროცენტს, ვინაიდან მთელი რიგი უწყებებიდან ინფორმაციის მოწოდება ვერ მოხერხდა, თუმცა არსებული შედეგიც ვფიქრობ, საინტერესოა საზოგადოებისთვის, რადგან ეს იძლევა საშუალებას, შევაფასოთ, როგორია ზოგადი დინამიკა.

– და როგორია ეს დინამიკა?

– გეტყვით, რომ ბოლო ერთ წელიწადში საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 1800 ერთეულითაა გაზრდილი საჯარო მოხელეების რაოდენობა, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს მაჩვენებელი არ მოიცავს ყველა უწყებას და შესაბამისად, ზუსტი ციფრის დასახელება ამ ეტაპზე რთულია. ჩვენ კვლევას ვაგრძელებთ და, სავარაუდოდ, ეს ციფრი საგრძნობლად გაიზრდება კვლევის მეორე ეტაპზე.

– ძირითადად რა პოზიციებზე იქმნება შტატები?

– დამატებით იქმნება მრჩევლების, თანაშემწეებისა და მოადგილეების შტატები. ჩვენი ინფორმაციით, 10 მილიონ ლარზე მეტია უკვე ე.წ. გაბერილ შტატებზე გახარჯული. მაგალითად, რომელიმე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს აქამდე თუ 3 მოადგილე ჰყავდა, კიდევ ორს იმატებს, სადაც ინიშნება ადამიანი პარტიული ნიშნით. რეალურად დამატებითი მოადგილეებისა და მრჩევლების არანაირი საჭიროება არ არსებობს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს მხოლოდ მხარდამჭერების დასაქმების მიზნით კეთდება. ხელოვნურად შექმნილ თანამდებობებზე დანიშნული ადამიანები ხშირად კომიკურ სიტუაციაშიც ვარდებიან, ვინაიდან ზოგს არანაირი ფუნქცია არ გააჩნია, უბრალოდ, ქაღალდზე იწოდება მრჩევლად და იღებს ანაზღაურებას.

– რომელი უწყებები გამოირჩევა ხელოვნური დასაქმებით?

– მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს: არსებობს ასეთი სიპი – სურსათის ეროვნული სააგენტო, სადაც მუშაობდა 550 ადამიანი, ამჟამად კი მუშაობს 660. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მუშაობდა 88 და გაიზარდა 20 ერთეულით. ხელოვნური ზრდის ტენდენციაა სასჯელაღსრულების სამინისტროშიც. განსაკუთრებული ტენდენციით გამოირჩევიან მუნიციპალიტეტები. მაგალითად, ბაღდათის მუნიციპალიტეტში ხელოვნურად შეიქმნა 10 შტატი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კი საშტატო ერთეული 317-დან 382-მდე გაიზარდა, კასპში – 144-დან 169-მდე და ა.შ. გარდა ამისა, გარემო დაცვის სამინისტროში 110-დან 133-მდე გაიზარდა შტატი, გარემოს ეროვნულ სააგენტოში მუშაობდა 294 და გახდა – 332, დაცულ ტერიტორიებში იყო 391 და გახდა 416.

– პრინციპში, თუ არსებობს რესურსი, რას ხედავთ ცუდს დასაქმებაში?

– დასაქმებაში ცუდი არაფერია, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს არა სახელმწიფოს ხარჯზე, არამედ კერძო სექტორში, მით უმეტეს, რომ ეს არის ხელოვნურად შექმნილი თანამდებობები, სადაც ყოველგვარი კონკურსის გარეშე ნიშნავენ კონკრეტულ ადამიანებს. ეს ხდება მაშინ, როცა სტრუქტურული ცვლილებები არ განხორციელებულა, რომელიმე უწყების გაფართოებასთანაც არ გვქონია საქმე, რომ გვეფიქრა, დავუშვათ, ამ შტატების საჭიროებაზე. პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად, მოხდა ერთი მხრივ მთელი რიგი კადრების გაშვება, მათ ადგილზე ახალი კადრების მიღება და დამატებით იქმნება ხელოვნური შტატები, რომლის არანაირი საჭიროება არ არსებობს და ეს ხდება ბიუჯეტის ხარჯზე.

ლევან გაბრიჩიძე

EXCLUSIVE

„საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საჯარო უწყებებში გაცილებით მეტი ადამიანი მიიღეს, ვიდრე გაათავისუფლეს. ანგარიშის თანახმად, კონკურსის წესით საჯარო უწყებებში მხოლოდ 4 პროცენტი დაინიშნა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაია ასათიანის „პროფილი“ რეიტინგებში „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ უსწრებს

მაია ასათიანი: გასულ ხუთშაბათს „პროფილმა“ უპრეცედენტოდ დიდი სხვაობით მოიგო“

პროფილის რეიტინგი რეგიონში



პროფილის რეიტინგი თბილისში

„მაყურებელი „იმედის“ ზოლზე მაშინ გადადის, როცა „პროფილი“ მთავრდება“

გიორგი ხაბურზანია: „აი, როგორ მოუგო მაია ასათიანმა „იმედის“ ძალიან ბევრფულდახარჯულ პროექტს“

ნათია ქანთარია

ქართულ ტელესივრცეში დიდ ტელეპროექტებს შორის აშკარა კონკურენცია დუელის სახეს იღებს. ისევ ყველაზე რეიტინგულ პროექტებს - „ცეკვავენ ვარსკვლავებსა“ და „პროფილს“ ვგულისხმობთ. ყოველ პარასკევს ორივე გადაცემის პროდიუსერები თავიანთი პროდუქციის რეიტინგებს აქვეყნებენ. ამჯერად „პროფილის“ „ფეისბუქის“ გვერდზე რეიტინგების შკალები აიტვირთა. გიორგი ხაბურზანიამ კი შკალა თავისი „ფეისბუქის“ გვერდზე გაიზიარა და ასე დაასათაურა - „აი, როგორ მოუგო მაია ასათიანმა „იმედის“ ძალიან ბევრფულდახარჯულ პროექტს“. გადაცემებმა ქართველ მაყურებელსაც ხუთშაბათ დღეს საკმაოდ დიდი საფიქრალი გაუჩინა. პრობლემა კი ასეთია, რომელს ვუყუროთ -„პროფილს“ თუ „ცეკვავენ ვარსკვლავებს“? სწორედ მაყურებლის გადაწყვეტილება ისახება რეიტინგებზე და რიცხვებზე. გასულ ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს სასწორის პინა „პროფილის“ საკეთილდღეოდ გადაიწია. რას უნდა დავაბრალოთ ეს - „პროფილის“ კონკრეტულ რესპონდენტებს თუ გადაცემის ექვსწლიან გამოცდილებას? ლოიალური მაყურებლების არსებობას თუ უბრალოდ სწორად დაგეგმილ მარკეტინგს?

მაია ასათიანი: „პრინციპში, გასული ხუთშაბათის რეიტინგული უპირატესობა ჩვენთვის სიახლე არ ყოფილა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობთ, რომ „პროფილს“ ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს. ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან აზარტული და საინტერესოა „ცეკვავენ ვარსკვლავებთან“ ასპარეზობა. თუმცა საათ-ნახევრის მანძილზე, რა დროსაც „პროფილი“ გადის ეთერში, მაყურებლის ძირითადი ნაწილი უპირატესობას „რუსთავი 2“-ს ანიჭებს. გასული ხუთშაბათი განსაკუთრებული დღე იმ მიზეზის გამო იყო, რომ „პროფილმა“ უპრეცედენტოდ დიდი სხვაობით მოიგო და აქედან გამომდინარე ყველა ჩვენს მაყურებელს მადლობა მინდა ვუთხრა, ვისაც სჯეროდა და სჯერა ჩვენი წარმატების. კონკრეტულად რიცხვებზე საუბარი ცოტა უხერხული იქნება ჩემთვის. თუმცა მოულოდნელი ამაში არაფერი ყოფილა, რადგან ექვსი წელია ყოველ ხუთშაბათს „პროფილის“ დღეა.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ ამჯერად თქვენი რეიტინგი რესპონდენტების შერჩევამ განაპირობა?

- ეს არ არის ერთჯერადი მოვლენა. ჩვენ უკვე 6 წელია სატელევიზიო ბაზარზე ლიდერები ვართ. ჩვენ არ გვაქვს ზედმეტი ამბიცია. ყოველთვის ვცდილობთ გავითვალისწინოთ მაყურებლის შეხედულებები და სურვილები. რაღაც ფორმულის მოყვანა ძალიან ძნელია, უბრალოდ, ჩვენთვის მთავარია მაყურებელი.

- მაინც „ცეკვავენ ვარსკვლავებმა“ მაყურებელი წაგართვათ?

- ძალიან მძაფრი კონკურენცია გვაქვს, მესმის ეს კითხვა რატომაც ისმება. თუმცა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ქრონომეტრაჟი სამი საათია. „პროფილი“ თორმეტის ნახევარზე მთავრდება და „ცეკვავენ ვარსკვლავები“ კიდევ საათ-ნახევარს გრძელდება, მაყურებელი „იმედის“ ზოლზე მაშინ გადადის, როცა მთავრდება „პროფილი“. ამას ყველა რეიტინგი მოწმობს.

- ანუ თქვენ შეგიძლიათ ხმამაღლა განაცხადოთ, რომ მაყურებელი ჯერ „პროფილს“ უყურებს და მისი დამთავრების შემდეგ გადადის „ცეკვავენ ვარსკვლავებზე“?

- მე არაფერს ვაცხადებ, უბრალოდ, ვეყრდნობი რეიტინგს, რითაც ჩვენ ექვსი წელია ვხელმძღვანელობთ და შეცდომა არ მოგვსვლია.

ალმოაჩინე ერთი თეფში ფანტაზია

EXCLUSIVE

„ხელოვნებაში ყველაფერს იდეა, ამოძრავებს“

თამარ შარმიაშვილი

ხილით, ბოსტნეულითა და ყვავილებით შექმნილი საოცარი კომპოზიციები და ამ ნამუშევრებით აღფრთოვანებული დამთვალიერებელი. კაფე „დისქავერში“ ლანა ლობილაძის და ანა თვალავაძის ფოტოგამოფენა მოეწყო, სახელწოდებით - „ერთი თეფში ფანტაზია“ . ფოტოგრაფებმა სულ 35 კომპოზიცია წარმოადგინეს. ამ ნამუშევრების გამოსაფენად ისინი ნახევარი წელი ემზადებოდნენ.

ლანა ლობილაძე (ფოტოგრაფი): ნატურმორტებს ვიღებდით და შემდეგ რაღაცები დავაწყვე თეფშზე და თუ არ ვცდები, პირველად ერთად ბროწეული და წითელი ყვავილი დავდე. ეს იყო პირველი კომპოზიცია. ეს იმდენად ლამაზი გამოვიდა, რომ შემდეგ გადავწყვიტეთ ინგრედიენტების შეგროვება და ნელ-ნელა ის კომპოზიციები შევქმენით, რაც აქ არის გამოფენილი. ძიების პერიოდში კრიტიკული თვალით ვუყურებდი უკვე ბოსტნეულს და ხილს, რათა შემდეგ გამოგვეყენებინა.

- რა დრო დაგჭირდათ?

- ნახევარი წელიწადი, პაუზებით. ყველა კომპოზიცია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათი გამოყოფა ძალიან მიჭირს, მაინც პირველი ნამუშევარია ყველაზე მნიშვნელოვანი. ალბათ, როგორც სტარტი. იდეა ხომ ძალიან მნიშვნელოვანია. იდეა, ამოძრავებს ყველაფერს ხელოვნებაში, ტექნიკურ პროგრესში.

- რა დრო გჭირდებოდათ ერთი ნამუშევრის შესაქმნელად?

- დავაწყობდით თეფშზე, ფოტოს ვიღებდით და მაშინვე ვშლიდით და მეორე კომპოზიციის შექმნას ვიწყებდით. როგორც ნახატი, თუ ფერებით უხდებოდა ერთმანეთს რჩებოდა თეფშზე, თუ არ უხდებოდა კომპოზიციურად ერთმანეთს რაღაცებს ან ვაკლებდით, ან ვუმატებდით. მუშაობის პროცესში მივხვდით, რომ ეს შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ინტერიერისთვის, რომელიც ძალიან დაამშვენებდა ოთახებს.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- მინდა გავაკეთო პორტრეტების სერია. რომელსაც „გამვლელი“ ერქმევა. ძალიან ბევრი პორტრეტი მაქვს გადაღებული უცხო ხალხის, რომელიც ქუჩაში მხვდება, ძალიან ბევრი საინტერესო პერსონაჟებია აქ, ჩვენს სივრცეში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსტრემალობის სკანდალ

my View
დეა თავგერიძე

შოკირებული მაყურებელი, დარბაზი მფრინავი ადამიანებითა და ექსტრემალური ნომრით, - ეს იყო შოუ, რომელმაც ჟიურის წევრებთან ერთად დარბაზში მყოფი პროდიუსერებიც კი განაცვიფრა... თუმცა, მათივე თქმით, კიდევ ბევრი მოულოდნელობაა წინ. მაყურებელი სამომავლოდაც უამრავი საოცრების მომსწრე გახდება. „რუსთავი 2“ ჩვეულ რიტმს არ ღალატობს, დიდი პაუზის შემდეგ დაბრუნებული ნიჭიერი აქტუალობას არ კარგავს, უფრო მეტიც, წლევანდელი სეზონი, მაყურებლის შეფასებით, გაცილებით ყურებადია ვიდრე გასული სამი.

„ჩემს სხეულზე „შრამები“ რომ დავთვალოთ, მიხვდებით, რომ ძალიან ბევრი საახიფათო მომენტი მქონია ცხოვრებაში...“

გიორგი ხაბურზანია: „ამ სეზონმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. რეალურად ორი წელი არ იყო „ნიჭიერი“, ამ ხნის განმავლობაში კონკურსანტების რაოდენობა დაგროვდა. კონკურსანტების დონემ და მომზადების ხარისხმა იმატა... ჩვენც ბევრი ცვლილება შევიტანეთ. ვიცოდით, რომ ამ მრავალფეროვნებით განსაკუთრებულ რაღაცას ვგეგმავდით, მაგრამ როდესაც ეს ყველაფერი გადავიღეთ, დავამონტაჟეთ და ვნახეთ, მივხვდით, რომ ეს იმაზე ბევრად მეტი იყო, რისი მოლოდინიც გვქონდა. ჟიურის წევრთა ამ წყობით სულ სხვა ქიმია მივიღეთ. ჟიურიში ახლა ოთხი რადიკალურად განსხვავებული ტიპაჟი გვყავს. ნიკა გვარამია კრიტიკულია და მისთვის რაღაცები, ძნელად მოსაწონია ხოლმე, ბევრად უფრო მომთხოვნია. ია ფარულავამ შოუს ახალი დრაივი შემატა და ძალიან კარგად ჩაჯდა ამ განლაგებაში.

- ხატია ბუნიათიშვილმაც საოცრად კარგად მოირგო ჟიურის წევრობა.

- ბუნიათიშვილი არის ნათელი მაგალითი, რეალიზებული, შემდგარი, წარმატებული მუსიკოსისა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს დიდ სცენებზე უკრავს, ცხვირი არ აუწევია და არ უთქვამს, რომ ეს თვითშემოქმედება და სახალხო ნიჭიერება მისთვის მიუღებელი იყო. არა აქვს ამის კომპლექსი, პირიქით. თავიდან ბოლომდე ჩაერთო და სრული სერიოზულობით მიუდგა. ბუნიათიშვილი ჩვენთვის, ამ მხრივ, დიდი აღმოჩენაა, რადგან ჩვენც არ ველოდით, რომ ასე ბოლომდე ჩაერთვებოდა, გვეგონა, რომ ცოტათი გაუჭირდებოდა გადმორთვა, მაგრამ არ გაუჭირდა. ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერია და ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამას.

- რაც შეეხება კონკურსანტებს. მაყურებელი ბევრმა მათგანმა გააოცა, დარბაზზე ბოლოს განსაკუთრებული ეფექტი K2-მა მოახდინა...

- პროფესიონალები არიან და განსაკუთრებული სპეცნომერიც იქნებოდა, უბრალოდ ვიცოდით სად რა მოხდებოდა, მაგრამ აღწერილობის დონეზე, თეორიულად, ერთიანი, შეკრული ნომერი, მუსიკით, არავის გვქონდა ნანახი, პირველად დარბაზში ვნახეთ ყველამ. მართლა შოკში ვიყავით, თურმე მუსიკაშიც ჯდებოდა, ქორეოგრაფიაშიც და დრამაშიც. ნამდვილად გადააჭარბა მოლოდინს. მე ვიტყოდი, რომ ამ სახის შოუ რაც K2 -მა გვაჩვენა, არც ბრიტანულ და არც ამერიკულ ნიჭიერში არ ყოფილა. არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენი ეთერის მერე სხვა ქვეყნის ტელევიზიებმა წაიყვანონ ეს ნომრად, რადგან მართლა ძალიან მაღალი დონეა.

- რამდენად მოულოდნელი იყო პრეზიდენტობის კანდიდატი „ნიჭიერში“?

- ალბათ, მარტო საქართველოში შეიძლება ასეთი რამ მოხდეს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ნიჭიერში იხილო და ამგვარ შოუში მოვიდეს. მართლა აბსოლუტურად მოულოდნელი იყო, მაგრამ რადგან მოვიდა, ჩვენც, რასაკვირველია, დავუთმეთ სცენა.

- როგორც ვიცი, სამომავლოდაც აპირებთ მაყურებლის გაოცებას უცნაური ნომრებით.

- ჩვენ ახლა დავასრულეთ გარე ნომრების ჩაწერა. პირველად მოხდა, რომ „ნიჭიერის“ კეთების სისტემაში გარეთ გავედით. ავტოდრომზე ჩავწერეთ ის დიდი მასშტაბური ნომრები, რომლებიც ფილარმონიაში არ ეტევა. სხვა ბევრი საინტერესო და ასევე ძალიან სასაცილო ნომრებიც გვაქვს. კარგი მომღერლები, მძლეოსნები, აკრობატები, იტალიიდან სპეციალურად ჩამოვიდა ნიჭიერისთვის ლაზერ შოუ. მოკლედ, მაყურებელი არ მოიწყენს...

- წელს, მეგა შოუების კუთხით საკმაოდ დიდი კონკურენციაა. ამ კონკურენციის ფონზე, როგორც ვიცი, რეიტინგული მონაცემებით პირველ ადგილზეა.

- „ნიჭიერი“ მეოთხე სეზონია უკვე ლიდერია შოუებში. ისედაც, ყველა მონაცემის მიხედვით, „ნიჭიერს“ აქვს ყველაზე მაღალი რეიტინგი. მე ვერ ვიტყოდი, რომ მეგა-შოუების სეზონია, რადგან „ნიჭიერის“ გარდა, როგორც ასეთი, მეგაშოუ ჩვენს ტელესივრცეში არ არის. ფულის დახარჯვას თუ გულისხმობთ, კი, წელს ძალიან ბევრი ფული დაიხარჯა „იმედზე“. მაგრამ ვერ იტყვი, რომ მეგაშოუები დაიდო... მე რეიტინგის მონაცემებით გესაუბრებით, ეს მაყურებლის მონაცემებია...

„როდესაც ადამიანი ასეთი ცხოვრებით ცხოვრობ, იქ ხიფათი უფრო მეტია, ვიდრე მშვიდი ცხოვრება“

მაყურებლისვე შეფასებით ყველაზე დასამახსოვრებელი და რეიტინგული საჰაერო შოუს მთავარი ტექნიკოსი დღეს „პრაიმტაიმის“ სტუმარია. K2-ის დამაარსებელი გიორგი კომახიძე უკვე ათი წელია რაც მოძრაობის თეატრის მსახიობებთან ერთად ამგვარ სანახაობებს აწყობს. პროფესიით ალპინისტმა თავისივე ნიჭის წყალობით თოკებზე ცოცვა ხელოვნებად და შოუდ აქცია.

გიორგი კომახიძე: „K2 არ ნიშნავს მხოლოდ საჰაერო შოუს, ეს ერთ-ერთი განხრაა. მასში სულ 20 ექსტრემალური სახეობაა გაერთიანებული. თოკების, ალპინიზმისა და ცოცვის გარდა ვაწყობთ სხვადასხვა ტურებს დაივინგი, ნავებით დაშვება, წყლის თხილამურები, ჯიპ-ტურები, ველოსპორტი. მთლიანად ყველაფერი გართობაზეა აწყობილი და დამწყებებიდან პროფესიონალამდე ყველა დონის ადამიანს შეუძლია ჩაერთოს. მალე ახალი შოუ კეთდება „ბოიარდისა“ და „შიშის ფაქტორის“ მსგავსი, იქაც ანალოგიურად არის ვარდნები, ხტომები, წყალქვეშა დავალებების შესრულება. მონაწილეების უსაფრთხოებაზე ჩვენი ინსტრუქტორები იზრუნებენ. სხვა ბევრ სფეროზეც ვმუშაობთ. იქ, სადაც ამწე ვერ სწვდება, ჩვენ გვიწევს მუშაობა. საქართველოში სასიმაღლო სამუშაოების 80 % -ს K2 ასრულებს. განათების მონტაჟი, ბილბორდები, სარეკლამო რგოლები და თუნდაც იგივე ანძის განათება.

- „ნიჭიერში“ გამოსვლა ვისი იდეა იყო?

- სიმართლე გითხრათ დიდხანს ვფიქრობდით, გავსულიყავით თუ არა. ჩვენი მიზანი მოგება არ არის. არც სხვებთან გაჯიბრება. უბრალოდ, გვინდოდა შოუ გვეჩვენებინა და ეს ერთგვარი პრეზენტაცია ყოფილიყო.

- ეფექტური პრეზენტაციის მიუხედავად, ამ სახის შოუს მოწყობა ფილარმონიაში რამდენად რთული იყო?

- პირობებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საჰაერო შოუ საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ადამიანის სიცოცხლეზეა აქ საუბარი, ამიტომ აღჭურვილობაში ვერ დაზოგავ თანხას. როცა ასე დაკიდებული არის ადამიანი, უნდა აკონტროლო ყველაფერი, პლუს იცეკვო და სინქრონში ითვალო მუსიკის რიტმი და იმ დროს გააკეთო მოძრაობა. ფილარმონიის ჭერს თუ ავხედავთ, ალბათ, ბევრისთვის წარმოუდგენელიც არის, რომ იქ სადღაც დაეკიდო,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ური ШОУ ფილარმონიაში

„ვერ ვიტყოდი, რომ მეგაშოუების სეზონია, რადგან „ნიჭიერის“ გარდა, როგორც ასეთი, მეგა-შოუ ჩვენს ტელესივრცეში არ არის“

EXCLUSIVE

„რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო ტკბილია სიცოცხლე... ამ სპორტის ავადმყოფობაც ეს არის, უფრო რთულს ეძებ, უფრო რთული გინდა“...

ჩვენთვისაც რთული იყო. ბევრად მეტი მონანილის გამოყვანას ვაპირებდით, მაგრამ იმდენი განათებაა და მონიტორი, რომ ტრაექტორიის გათვლა ძალიან გართულდა. ფილარმონიაში ამ შოუსთვის ძალიან ბევრი ბარიერია. დარბაზში მაყურებელს ვთხოვეთ ფეხზე არ ამდგარიყვნენ, მაგრამ ბევრმა რატომღაც ვერ გაიგო ეს თხოვნა და ფეხზე ადგა. ასეთი მომენტი რისკია. ამ დროს დაძაბულები ვართ. ემოციურადაც დიდი დატვირთვაა, უყურებ, რომ არაფერი გამოგეპაროს. პატარა დეტალი და შეიძლება ყველაფერი ცუდად დამთავრდეს. ეს რომ იყოს ჩვენი რომელიმე კონკრეტული შენობა შოუსთვის ბევრად საინტერესო რაღაცების გაკეთებას შევძლებდით.

- სახიფათო მომენტები გქონიათ?

- ჩემს სხეულზე „შრამები“ რომ დავთვალოთ, მიხვდებით, რომ ძალიან ბევრი მქონია. როდესაც ადამიანი ასეთი ცხოვრებით ცხოვრობ, იქ ხიფათი უფრო მეტია, ვიდრე მშვიდი ცხოვრება. მაგრამ ის, რასაც თქვენ ხიფათს ეძახით, ჩემთვის უკვე ჩვეულებრივი ამბავია. ის, რაც თქვენთვის წარმოუდგენელია, მე შეიძლება ძალიან ხშირად დამემართოს... საჰაერო შოუ არ მაქვს მხედველობაში. აქ თითოეულ მსახიობს აქვს მინიმუმ ორი ტონა დაზღვევა. მაქსიმალურად არიან დაცულები. სამწუხაროდ, არ ჩანს ის ხალხი ვინც დაცვებზე მუშაობს. მათ ბევრად რთული დავალება აქვთ. რაციებზე არიან და ვერ ხედავენ ვისაც ამოძრავებენ. ყურში მხოლოდ ის მიმართულებები ესმით სად უნდა დაუშვან ან რა დონეზე უნდა ასწიონ. რთული დავალებებიც გვქონია, მაგრამ გაგვიკეთებია.

- არ გიფიქრიათ, რომ ეს შოუ უცხოეთში წაგეღოთ? „ნიჭიერი“, ალბათ, ამის საშუალებას მოგცემთ.

- რამდენჯერმე ვიმუშავეთ უცხოელებთან ერთად. საერთოდ კი საჰაერო შოუ ძალიან ძვირი სიამოვნებაა და წასვლაზე კიდევ დამატებითი ხარჯებია საჭირო. აქამდე მზადებაში ვიყავით, ახლა ძალიან ბევრი საშუალება გვეძლევა. ვფიქრობთ, რომ საზღვარგარეთ ბევრგან მოგვიწევს მსგავსი შოუების მოწყობა.

- შემდეგ ტურზე რით გააკვირვებთ მაყურებელს?

- განსხვავებულ შოუს გავაკეთებთ, რა თქმა უნდა, ეს შოუც თოკებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ უფრო ეფექტური და ბევრად ექსტრემალური. საკმაოდ დიდ სიმაღლეზე მოუწევთ ჩვენს მსახიობებს ცეკვა.

- ის, ვინც ამ საქმის პროფესიონალი არ არის და უბრალოდ ინტერესი აქვს, რომ ეზიაროს ამ ყველაფერს, შეუძლია თუ არა სურვილის განხორციელება?

- მათ ერთ რჩევას მივცემთ, უჩვენოდ თოკებზე არ დაეკიდონ, ძალიან საშიშია. დაგვიკავშირდნენ, მოვიდნენ. ჩვენ გვაქვს კლდეზე ცოცვის დარბაზი, ხელოვნური კედელი, სადაც სამი წლიდან შეუძლია ნებისმიერი ასაკის მსურველს იცოცოს. შესაბამისად, არც სქესს აქვს მნიშვნელობა, არც წონას და არც ასაკს. გვესტუმრონ, თუნდაც გასართობად მოვიდნენ და ვისაც უნდა იფრინოს კიდეც... ასევე გვაქვს ტურები, რომელშიც გართობის მიზნით შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა. პარაპლანით ფრენა, თოკებით დაშვება, გარდა ამისა მღვიმეები, წყალქვეშა ტურები, ცხენები, ბანაკი კარვებით და გვიან კარაოკე. მთელ საქართველოში გიწევს მოძრაობა და სულ თავგადასავლებში ხარ.

- თავგადასავლებში რისკთან ერთად.

- რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო ტკბილია სიცოცხლე... ამ სპორტის ავადმყოფობაც ეს არის, უფრო რთულს ეძებ, უფრო რთული გინდა... პირველად, როდესაც ცდი და სიმაღლიდან ეშვები, მართლა სიამოვნებაა. საერთოდ კი ვისაც ეშინია ის უფრო დიდ სიამოვნებას იღებს ვიდრე ჩვენ...

თბილისის ჯაზფესტივალს ნატალი კოლი დახურავს

მარკუს მილერი, ეს ცნობილი მუსიკოსი, ეტყობა იმდენად კმაყოფილი დარჩა ქართული პუბლიკით, რომ საქართველოში უკვე მესამედ ჩამოდის. ნატალი კოლთან კი Eastern promotion-ი სამი წელი აწარმოებდა მოლაპარაკებას. საბოლოოდ ცხრა „გრემის“ მფლობელი მუსიკოსი საქართველოშია. თბილისის რიგით მეთექვსმეტე ჯაზფესტივალს, პირველ ნოემბერს, კლასიკური პოპმუსიკის უდიდესი წარმომადგენელი, ნატალი კოლი დახურავს. თბილისის ფესტივალზე, თავის ცნობილ ჰიტებთან ერთად, რამდენიმე სიმღერას, 2013 წლის ალბომიდანაც შეასრულებს, მან ეს ალბომი 5-წლიანი პაუზის შემდეგ, ესპანურ ენაზე ჩაწერა - Natalie Cole en Espanol. 28 ოქტომბერს მარკუს მილერი გახსნის. ხოლო 29 ოქტომბერს მსმენელის წინაშე ერთ-ერთი წამყვანი კონტრაბასისტი, ვოკალისტი და პროდიუსერი, ისრაელის Red Sea Jazz Festival-ის მუსიკალური პროდიუსერი, ავიშაი კოენი წარსდგება.

კახი კანდელაკი, Eastern promotion-ს მარკეტინგის დირექტორი: „როგორც ყოველთვის, წელსაც ფესტივალის სტუმრებთან მოლაპარაკებები, წლის დასაწყისში დაიწყო. მოხარული ვართ, რომ ფესტივალის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია და ჩვენც, ჩვენს ერთგულ პარტნიორებთან ერთად, ვცდილობთ იმედი არ გავუცრუოთ ქართველ მსმენელს. სასიხარულო ფაქტია ის, რომ TBC status-ი კიდევ სამი წლის მანძილზე იქნება ჩვენი უცვლელი პარტნიორი. ჩვენ ძალიან ვაფასებთ ამ თანამშრომლობას. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კულტურის სამინისტროს, ერთლწლიანი პაუზის შემდეგ ისინი კვლავ თბილისის ჯაზფესატივალის გვერდით არიან. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალში ბათუმის ჯაზფესტივალზეც აისახება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ნაკაშიძის ტრანსფორმაცია - „ოცნებების სასაფლაო

my View

თამარ გონგაძე

31 ოქტომბერს ქალაქ ტალინში ფილმ „მანდარინების“ პრემიერა უნდა შედგეს. ქართულ-ესტონურ კოპროდუქციას საქართველოში საოცრად დიდი მოწონება მოჰყვა. ვიმედოვნებ, რომ აღიარებაც არ დაიგვიანებს. ფილმი ნამდვილად სანაქებოა. „მანდარინებმა“, ათი დღის წინ, ვარშავის კინოფესტივალზე ორი პრიზი აიღო - „საუკეთესო რეჟისურისთვის“ და „მაყურებლის სიმპათია“. გიორგი ნაკაშიძეს - ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირის შემსრულებელმა, „ფეისბუქის“ კედელზე დაწერა, რომ გული სწყდება ასეთი სასიხარულო ფაქტი ტელევიზიებმა რომ დააიგნორეს და პრიზიორ რეჟისორს პატარა კომენტარის ჩამოსართმევად აეროპორტში არ დახვდნენ. „პრიზი მე ხომ არ ამიღია. რეჟისორმა დამსახურებულად აიღო. ეს ქართული კინოსთვის სერიოზული მოვლენაა და ყურადღების მიქცევა კარგი იქნებოდა-მეთქი, დავწერე. გული დამწყდა. შინაურ მღვდელს შენდობა უნდა ჰქონდეს, თორემ ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ - ასე დავიწყეთ საინტერესო ინტერვიუს ჩაწერა მე და გიორგიმ.

პრიზები, პოლონური სოლიდარობა და ერთნაირი რეაქციები

„მანდარინებში“ გიორგი ნაკაშიძემ ჩეჩენი ბოევიკის როლი შეასრულა. ძალიან საინტერესო სახე აქვს შექმნილი. საერთოდ, მისი გმირები კარგად გამახსოვრდება. დათო ჯანელიძის მიერ გადაღებული „ჯაყოს ხიზნები“ რომ ვნახე, ვთქვი, ეს ეკრანიზაცია ნაკაშიძის ჯაყოზე დგას-მეთქი. ბოლო დროს კი სუპერპოპულარულ „ჩემი ცოლის დაქალებში“ ადვოკატ პეტრეს საინტერესო პერსონაჟს თამაშობს. როგორც ხდება ხოლმე, ტელევიზიამ, რამდენიმე წლის წინ, პოპულარული „ქაღალდის ტყვიით“ გახადა. მერე იყო თეატრალური როლები და ფილმები - „ჯაყოს ხიზნები“, „მედიატორი“, „ჩემი საბნის ნაკეცი“, „მესაათე“... პირველი მთავარი როლი კი გოგა ხაინდრავას „ოცნებების სასაფლაოში“ მისცეს.

გიორგი ნაკაშიძე: „ხშირად მიფიქრია, „მანდარინების“ ისტორია, თანამედროვე ვაჟა-ფშაველა რომ დაწერდა - ისეთი ისტორიაა-მეთქი. მტრები როგორ დამეგობრდებიან და როგორ ასრულებენ დადებულ სიტყვას. ვაჟა-ფშაველას თემები ამ ფილმში მოდერნიზებულია. ვარშავაში კინოფესტივალზე ზუსტად დაინახეს, რა ფასეულობებზეა ეს ფილმი. ამ არეულ და კაპიტალისტურ სივრცეში დაკარგულია ეს ფასეულობებიო, იქ თქვეს. პოლონეთი დიდი კულტურის ქვეყანაა. იქ მაყურებლის მოტყუება რთულია. ბევრი ფილმი აქვთ ნანახი. ჩვენს ფილმზე ბილეთები სულ გაიყიდა. ჩვენების შემდეგ კითხვა-პასუხის რეჟიმი იყო. სიცხიანი ვიყავი, ფეხზე ველარ ვიდექი. ამიტომ სცენაზე სკამი მოვითხოვე და დავჯექი. როცა ჯერი ჩემზე მიდგა, ასეთი სიტყვა წარმოვთქვი: ამ ფილმს ჩემთვის სიმბოლური დატვირთვა აქვს. ვითამაშე ფილმში „ოცნებების სასაფლაო“, სადაც ქართველ მებრძოლს ვასახიერებ, რომელიც იღუპება. ამდენი წელი გავიდა და ახლა ჩეჩენს ვთამაშობ, რომელიც იმავე ომში გარკვეული პერიპეტიების გავლით მიდის კონკრეტულ მდგომარეობამდე. ჩვენი ქვეყნისთვის 1992 წელს დაწყებული პრობლემა დღემდე პრობლემად რჩება. ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ისევ ოკუპირებულია და რუსები, როგორც ტარაკანები, მავთულხლართებით ყოველდღიურად მოიწევენ-მეთქი... და დარბაზში მქუხარე ტაში ატყდა. დიდი ემოცია გამოინვია. პოლონელებს ამ იმპერიალისტურ სისტემასთან ურთიერთობის თავიანთი გამოცდილება აქვთ. ამიტომაც მიიღეს ასე ემოცურად ჩემი სიტყვა, შინაგანად სოლიდარობა ვიგრძენი და სიცხემაც დამიკლო... ფილმის ყურების დროს მაინტერესებს მაყურებელი როგორ რეაგირებს, ირგვლივ რა ხდება ენერგეტიკულად. ერთსა და იმავე მომენტებზე აქაც და პოლონეთშიც ერთნაირი რეაქციები იყო“.

აჰმედი

გიორგი ზაზა ურუშაძესთან მეგობრობს. რეჟისორიც შანსს ელოდა, რომ შესაფერისი როლი მიეცა მსახიობისთვის. „მანდარინებში“ ჩეჩენი მეომრის, აჰმედის როლი მისცა. გმირი მთელი ფილმის მანძილზე დიდ ტრანსფორმაციას განიცდის, მტრისგან მეგობრად იქცევა... ეს ჩვენ თვალწინ საოცარი გარდასახვით და თან სადად ხდება.

„ამ ფილმის სცენარის სტრუქტურა ისეთია, მოქმედება ისეა დალაგებული, რომ საათ-ნახევარში ტრანსფორმაციას გატარებს. ეს დრამატურგის დამსახურებაა. გრძნობები ყოველთვის გისხლტება ხელიდან, ამიტომ ზუსტი ფიზიკური მოქმედება უნდა მონახო იმისა, რისი გამოხატვაც გინდა. ყველაფერი პროცესია და არა მკვდარი წერტილი. ყველა როლში პროცესს ვეძებ და არა მის განსახიერებას. გზებს ვეძებ, როგორ უნდა მივიდეს გმირი ერთი წერტილიდან მეორემდე, მესამემდე, მეოთხემდე. რაც მეტს კითხულობ სცენარს, მით მეტი და ახალი ფერი ჩნდება შენში, მერე ქვეცნობიერი ახალ გზას და ფერს გთავაზობს. მოგონილი კი ილექება და სადღაც რჩება.

„ჩვენი ქვეყნისთვის 1992 წელს დაწყებული პრობლემა დღემდე პრობლემად რჩება. ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ისევ ოკუპირებულია და რუსები, როგორც ტარაკანები, მავთულხლართებით ყოველდღიურად მოიწევენ-მეთქი, ვთქვი და დარბაზში მქუხარე ტაში ატყდა“

ბევრს გაუკვირდა - ჩეჩენი და მე - ქერათმიანი ტიპაჟი. ტიპაჟური მსგავსება რეჟისორს რომ არ გაეკეთებინა, ხომ არ შემომთავაზებდა ჩეჩენის როლს. წვერიც მუსლიმურად გამპარსეს. ჩეჩნები დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველებს ჰგვანან. როლისთვის ვუსმენდი ჩეჩენი მეომრების საუბრებს. რუსულად კარგად საუბრობენ, მაგრამ რაღაც ინტონაცია დაჰკრავს. არც ქართული ინტონაცია მინდოდა, არც გროტესკული, ვეცადე შუალედური ამეღო, რომ შთაბეჭდილება შემექმნა.

გადაღებები გურიაში იყო. ჩემთვის ეს კუთხე მშობლიურია. ზემო აფხაზეთის ლანდშაფტს ძალიან ჰგავს. ნატანების მცხოვრებლებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს. დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ძლიერი ყოფილიყო წინა მოსამზადებელი პერიოდი. ესტონური სოფლის „გასაკეთებლად“ ჭაობი ამოშრა, გზები დაიგო, სახლები აშენდა. თავისთავად, გურული პატივისცემა მონოდების სიმაღლეზე იყო:) მხატვარმა თეა თელიამ საინტერესო გარემო შექმნა. სადაც მოქმედება ვითარდება, ის სახლი ზუსტად ესტონური სახლის ანალოგია, ნივთები, დეკორაცია ესტონეთიდანაა ჩამოტანილი. ესტონელმა მსახიობებმა საინტერესო პერსონაჟები შექმნეს. ლემბიტ ულფსაკი - ივოს როლის შემსრულებელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საუკუნის მსახიობად არის აღიარებული. ელმო იუგანენი, მარგუსის როლის შემსრულებელი, ცნობილი რეჟისორია. მაგრად ითამაშა, საინტერესო როლი შექმნა. ლემბიტი თავისი ასაკისთვის საკმაოდ პროგრესულად მოაზროვნე ტიპია. თანამედროვე კინოსა და ხელოვნების შესახებ ყველაფერი იცის. სცენარი იმდენად მომეწონა, რომ გადასაღებად ჩამოვედი, თორემ უკვე მიჭირს სახლთან განშორება ამ ასაკშიო. ყველაფერზე ვსაუბრობდით. სასტუმროს ნომრებში ვამზადებდით როლებს. ამ სიტუაციებს ალკოჰოლის გარეშეც არ ჩაუვლია. ზამთარი იყო და ციოდა. ორივე ახალ წელს იქ შევხვდით. სასტუმროს სასადილო ოთახში ვიქეიფეთ, მერე კი ორი-სამი დღე დავისვეთ.

ყველაზე რთული გადასაღები იყო სროლის და აფეთქების სცენები. ბევრი პიროტექნიკა დაგვჭირდა. ამ დროს ბუნებრიობის მიღწევა რთულია. ვახშმობის სცენას ღია ცის ქვეშ და მარგუსის სახლის აფეთქებას ღამით ვიღებდით, ციოდა. გათოშილები ვიყავით. ეს სცენა მხოლოდ ტექნიკურად კარგი კი არ გამოსულა, გმირებს შორის ურთიერთობები ირკვევა“.

- მაგ სცენაში გმირი სიკვდილის სადღეგრძელოს სვამს, ეს სადღეგრძელო დაგილევიათ?

- არა, არასდროს. პარადოქსული სადღეგრძელოა.

- აჰმედი რითი მოგწონთ?

- ადამიანია, თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. დაქირავებული მეომარია, სხვის ომში იბრძვის. ეს არ მომწონს. წარმოუდგენელია ადამიანი ფულის გამო სხვის კონფლიქტში იყოს ჩართული. კავკასიელი და მთიელია და ნელ-ნელა ირკვევა რამდენი საერთო თვისება აქვს ამ ეროვნების ხალხის ცნობიერებასთან.

- რა ხიბლი აქვს ფილმს, რა ავსებს დარბაზს?

- შექმნილი ატმოსფერო, რომელსაც მსახიობები თამაშის ტონალობითა და მანერით ქმნიან, განსხვავებული გმირები, ნიაზის მუსიკა, ოპერატორული - ფერწერული ნამუშევარი, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. უხილავი სევდა, რომელიც ოთხი დაკარგული ადამიანის თანმდევია. ოთხივეს სიმარტოვე აერთიანებს. მიშა მესხის გმირის დაღუპვა ჩემზე ძალიან მოქმედებს. ძალიან რეალისტურია. სითბო და სევდა ფილმის თემაა. ასევე „მანდარინები“ სიყვარულზეა, სიტყვის გატანაზეა. ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთის ტკივილს გაუგონ. მარგუსს მანდარინის პლანტაცია რომ უფეთქდება, სცენარის წაკითხვისას მო-

აჰმედის როლში

EXCLUSIVE

„პეტრე, თავისი არსით, ინტრავერტია. მეც მაქვს ჩემს სამყაროში ჩაკეტვის პერიოდები, ჩემი გასართობები მოგონილი. ჩემს თავთან მარტო ყოფნა არ მბეზრდება“

„კმაყოფილი ვარ, როცა მირეკავენ და მეუბნებიან - გიო, ვნახეთ ფილმი, ძალიან მოგვეწონა, იმოქმედა და დარბაზიდან სავსეები გამოვედითო. „მანდარინების“ ხიბლია შექმნილი ატმოსფერო, რომელსაც მსახიობები თამაშის ტონალობით და მანერით ქმნიან, ნიაზის მუსიკა, უხილავი სევდა, რომელიც ოთხი დაკარგული ადამიანის თანმდევია“

ირმა და ალექსანდრე

„მე გამიმართლა და ღმერთმა ირმა მაჩუქა. ამ აგრესიულ სამყაროში ყოველდღე ვოცდები მისი ძლიერი და კეთილი თვისებებით“

ლუკა-ლევანი და გიორგი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...დან“ „მანდარინებამდე“

ალექსანდრესთან ერთად

ქმედებდა ემოციურად. მოხუცი ივო მიცვალებულებთან მარტო რჩება, ამაზე მეტი ტკივილი და სევდა რა გინდა. ფილმი გაიძულებს, რომ ჩაგითრიოს.

- კმაყოფილი ხართ?

- კმაყოფილი ვარ, როცა მირეკავენ და მეუბნებიან - გიო, ვნახეთ ფილმი, ძალიან მოგვეწონა, იმოქმედა და დარბაზიდან სავსეები გამოვედითო. ეს ნიშნავს, რომ სათქმელი მაყურებლამდე მივიტანეთ და ფუჭად არ გვიმუშავია. ეს პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ფასეულ პერიოდად დარჩება.

პეტრე

გიორგის უკვე პეტრეს ეძახიან, გმირის სახელს „ჩემი ცოლის დაქალებიდან“. ის გოგო არ დაგვიჩაგროო, ეხუმრებიან. თქვენ მართლა ადვოკატი ხართ? - ზოგს ეს შეკითხვაც უჩნდება. ამ ყველაფერზე ხალისობს, თუმცა სამუშაო პროცესი აქაც დიდ სიამოვნებას გვრის.

„სერიალი რომ არ მომწონდეს, არ ვიმუშავებდი. მე პრინციპული ადამიანი ვარ. რითი მომხიბლა? დრამატურგიით. ორი წელი დრამატურგმა აუდიტორიის აყოლიება და სიუჟეტში ჩართვა შეძლო, ეს ძალიან რთული პროცესია. „იუთუბზე“ ვნახე სერიალიდან მოჭრილი მონაკვეთი - „პეტრეს სიზმარი“ ჰქვია და 6 ათასი ყურება ჰქონდა. მერე რეჟისურაც საინტერესო აქვს. ჩემთვის ჩვეულებრივი კინოგადაღებაა ერთი ერთში. გადაღება არა დეკორატიულ სივრცეში, არამედ ინტერიერში და ექსტერიერში მიმდინარეობს და თან სამი კამერით. კინოსა და თეატრის მსახიობისთვის, სადაც ძალიან ბევრ ფილმს არ იღებენ, საინტერესო სამუშაოა. სულ ფორმაში გამყოფებს. გარდა ამისა, სიუჟეტი ჩახლართული და საინტერესოა. თან სერიალში იმ რეალობის შექმნა, რომელიც ჩვენთან ახლოსაა, რთული და აზარტულია.

- იცნობთ პეტრეს მსგავს ადამიანს?

- რამდენსაც გინდათ იმდენს. ეგ მიმწონს ამ სერიალს, მისი გმირები ნაცნობია, ასეთი ტიპები ჩვენ ირგვლივ არსებობენ, ჩვენშიც არის ის თვისებები, რაც ამ გმირებს ახასიათებთ.

- თქვენ რა გაქვთ პეტრესი?

- მგონია, რომ პეტრე თავისი არსით ინტრავერტია. მე ასე ვგრძნობ, არ არის გახსნილი. რომ დათვრება შეიძლება გახსნილიც იყოს და მერე იქაც წავიდეს, სადაც დადის:). მეც რაღაც ეტაპზე ინტრავერტული ვარ. მაქვს ჩემს სამყაროში ჩაკეტვის პერიოდები. ჩემი გასართობები მაქვს მოგონილი - მუსიკის მოსმენა, კითხვა, ფილმების ყურება. ჩემს თავთან მარტო ყოფნა არ მბეზრდება.

- მოგწონთ ყურადღება?

- იყო ასაკი, ძალიან მომწონდა, მსიამოვნებდა. ახლა აღარ ვამახვილებ ამაზე ყურადღებას. მე ქუჩაში ფეხით სიარული მიყვარს. ორი წელია მართვის მოწმობა წამართვეს :). სიარულის დროს ზოგჯერ საინტერესო ადამიანს გადაეყრები, რომელიც ამა თუ იმ თემაზე საინტერესოდ გესაუბრება.

ოჯახი

11 წელია გიორგი და მხატვარი ირმა ხოფერია ერთად არიან. მათ 9 წლის ალექსანდრე ჰყავთ. გიორგის პირველი ქორწინებიდან (მსახიობ ეკა ანდრონიკაშვილთან) 19 წლის ლევანი-ლუკა ჰყავს. ლუკა ახლა ბერლინში სწავლობს. ელექტრო მუსიკას წერს და დოკუმენტალისტია.

„ალექსანდრეს მსახიობობა უნდა. მე ეს არ მინდა. მირჩევნია არადამოკიდებული პროფესია აირჩიოს. ძალიან გამაღიზიანებელია ის, რომ ობიექტურ თუ სუბიექტურ სინამდვილეზე ხარ მიბმული. დიდი ნერვები გჭირდება, რომ ამას გაუძლო. ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანი კი ამისთვის მენანება. მე თეატრში გავიზარდე (მამა თუმანიშვილის თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო) და სხვანაირად ვერც წარმომედგინა.

ირმას სახელოსნო აქვს. „ლურჯი სახლი“ სამ მეგობართან და დასთან ერთად გააკეთა და ბატიკის სტილში ხატავენ. ვთვლი, ძალიან სერიოზული მხატვრები არიან. გამოფენებით ფანტასტიკურ სამყაროს ქმნიან. მხატვრების მშურს. არ არის დამოკიდებული პროფესია. მე რომ მხატვარი ვიყო, არც ერთ წამს არ გავაცდენდი ფერწერის გარეშე. სულ ხატვაში გავატარებდი.

- როგორია ეს თერთმეტწლიანი ურთიერთობა?

- ძალიან მიყვარს, სუფთა, ნიჭიერი, წარმოუდგენლად ძლიერი, სიკეთის მქონე და დიდბუნებოვანი ადამიანია. ამ აგრესიულ სამყაროში, მე, ყოველდღე ვოცდები მისი ძლიერი და კეთილი თვისებებით. ასეთი ადამიანები სანთლით საძებნები არიან. გამიმართლა და ღმერთმა ირმა მაჩუქა.

- სიყვარული რა არის?

- უმიზეზო ფიქრი იმ ადამიანზე, ვინც გიყვარს, როდესაც გვერდით არის და მაინც გენატრება. იმის შეგრძნებაა - თუ რა ბედნიერებაა ასეთი ადამიანი შენს გვერდით რომ არის. დაპორება იმიტომ მოგწონს, რომ ძალიან მოგენატროს...

ამოუწურავი თემაა. ეს გრძნობაც ყველას თავისებური აქვს.

„ახალი და ძველი“ - ფოტოალბომი საუკუნის წინანდელი და ახალი ფოტოებით

my View
თამარ გონგაძე

ფოტოალბომი სახელწოდებით „ძველი და ახალი“ კომპანია „M.T. – Studio“-მ გამოსცა. საინტერესო წიგნის პრეზენტაცია 25 ოქტომბერს „თიბისი“ გალერეის საგამოფენო სივრცეში მოეწყო. როგორი იყო ჩვენი ქვეყანა, მისი დედაქალაქი და მოსახლეობა XIX-ე და XX-ე საუკენეების მიჯნაზე, როგორ ვცხოვრობთ დღეს - ეს პროექტის მიზანია. ფოტოალბომის ავტორი „M.T. – Studio“-ს დამფუძნებელი მაგდა წულაია გახლავთ. პროექტი საქართველოს ეროვნული არქივის მხარდაჭერით განხორციელდა. ალბომში შესული უძველესი კადრები ალექსანდრე როინაშვილს, დიმიტრი ერმაკოვს, ალექსანდრე მიხაილოვს, ნიკოლოზ საღარაძეს, ალექსანდრე ივანიცკის და სხვებს ეკუთვნით. XIX-ე და XX-ე საუკუნეების ფოტოებთან პარალელების გასავლებად დედაქალაქისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხებიის იდენტური ადგილების ფოტოები „კიკალა სტუდიომ“ და ფოტოხელოვანმა გოგა ჩანადირმა გადაიღო. 304-გვერდიანი ფოტოალბომი ჯერჯერობით სასაჩუქრეა და დიპლომატიურ კორპუსსა და ჟურნალისტებზეა გათვლილი. სამომავლოდ მისი ქართული სათვისტომოებისთვის დაბეჭდვა და გაყიდვაც იგეგმება.

წიგნის გამოცემის იდეა ჟურნალისტ ირაკლი მაისურაძესა და მის მეუღლეს, მაგდა წულაიას გაუჩნდათ.

ირაკლი მაისურაძე: „სახლში მაქვს ძველი გამოცემა ფოტოალბომი - „ძველი თბილისი“, რომელშიც თბილისის ხედების შავთეთრი ფოტოებია. ამ წიგნის დათვალიერებისას მამას ვაწუხებდი და ვეკითხებოდი - ახლა აქ, ამ ადგილას რა არის-მეთქი? ზუსტად იგივე სიტუაციაში აღმოვჩნდი ჩემს შვილთან, როდესაც ამავე წიგნს ვათვალიერებდი. მეც ვცდილობდი ამეხსნა, რა იყო ხონჩა, მეთულუხჩე და ამქარი და დღეს რა ცვლის მას, რა შეიცვალა, რა გარდაიქმნა. მე იდეა წარმოვთქვი და იდეის გავრცობა-დამუშავება მაგდას დამსახურებაა. ნამუშევრით კმაყოფილი ვარ. მადლობა ეროვნულ არქივს მსგავსი სიკეთისთვის. მადლობა „კიკალა სტუდიოს“ და გოგა ჩანადირს, ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც პროექტში ჩაერთვნენ. სასაჩუქრე ლამაზი წიგნია, რომელიც შემეცნებით დატვირთვას იძლევა“.

მაგდა წულაია: „ეროვნულ არქივში რისი ათვისებაც შეიძლებოდა, ის მასალა სრულიად გამოვიყენეთ - ჯანდაცვა, განათლება, სამართალი, დიზაინი, მომსახურება. როგორი იყო ძველი საავადმყოფო და როგორია ახლანდელი. ძველი სკოლა და მოსწავლე და დღევანდელი, დიზაინი, ხედები... პროექტის დასრულება ერთ წელში გვქონდა გათვლილი, თუმცა ზოგ ადგილას ლანდშაფტი იმდენად შეცვლილია, რომ ამოცნობა შეუძლებელი იყო. დრო წაიღო ქართული ბრენდების შედარებამაც. ამიტომ ორი წელიწადი გაგრძელდა. ყველა ფოტოს ქართულ-ინგლისურ ენაზე მოკლე აღწერილობა ერთვის და დათარიღებულია. ვიზუალურ ეფექტთან ერთად ინფორმაციას გვაწვდის ამ ორი ეპოქის მსგავსებასა და განსხვავებაზე“.

მამუკა კიკალიშვილი: „აღმოვაჩინე, რომ მტკვარს გასული საუკუნის დასაწყისში სხვანაიარი კალაპოტი ჰქონდა. საინტერესო პროფესიების ხალხს შევხვდით, მეეზოვედან დაწყებული, ექიმებით დამთავრებული. ვნახე ადრე როგორ იღებდნენ კონიაკ „სარაჯიშვილის“ რეკლამას. ასი წლის წინ არის გადაღებული. საინტერესო ტექნოლოგიით. ჩემთვის საინტერესო სამუშაო იყო“.

გოგა ჩანადირი: „აღმოვაჩინე, რომ საქართველო ამ ასი-ასორმაცდაათი წლის მანძილზე როგორ არის შეცვლილი, როგორც ტექნოლოგიურად, ასევე ხასიათით, არქიტექტურულად, ყოფაცხოვრებით. უნებურად მეც იმ დოკუმენტალისტთაგანი გავხდი, რომელმაც წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის აღწერაში. მომდევნო 100 წელიწადში მკვლევარებს ვაძლევთ საშუალებას, რომ თვითონაც შეადარონ როგორი იყო XXI-ე XXII-ე საუკუნის საქართველო“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View
თამარ გონგაძე

არჩევნების შემდეგ ყველას თავისი მოლოდინები და პროგნოზები აქვს, მათ შორის საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს. ზოგი მათგანი იმედიანად გაჰყურებს მომავალს, ზოგი საფრთხეებს ხედავს, როგორც ახლო, ისე შორს წასულ პერსექტივაში. ერთზე კი ყველა თანხმდება, არეულობა, ქაოსი და დესტაბილიზაცია არავის უნდა. ეს უკვე უამრავჯერ გადატანილი ყველაზე არასასურველი უკან დაბრუნებაა. თავის პროგნოზსა და მოლოდინზე მხატვარი ქეთი მატაბელი, მუსიკოსი აჩიკო გულედანი და პროდიუსერები - ირაკლი საღინაძე და მიშა მშვილდაძე საუბრობენ.

„ხელოვანებს სიმარტოვის შეგრძნება არ უნდა გვქონდეს“

EXCLUSIVE

ქეთი მატაბელი: „გაგვთიშეს და იბატონეს... ჩემი ოცნებაა, რომელიმე მთავრობამ ჩვენი გაერთიანება მოახერხოს“

ქეთი მატაბელი: „ყველა არჩევნებზე დიდია მოლოდინი, თუმცა იმედი მიცრუვდება ხოლმე. ახლა იმედი მაქვს, რომ რაღაც გაკეთდება. ოცნება, ხომ იცით როგორია? შეიძლება 16-17 წლამდე იოცნებო. მერე უკვე საქმე უნდა აკეთო სიყვარულით და პასუხისმგებლობით. ეს „ოცნება“ ოცნებად არ უნდა დარჩეს. ყველა ჩვენგანისთვის, ღარიბია თუ მდიდარი, ხელოვანია თუ არახელოვანი, ეს პერიოდი მძიმე ტვირთია. მთლიანად დედამიწაზე დგას რთული პერიოდი. მაგრამ, ახლა, იმედი მაქვს უკეთესობისკენ ნავა ეს ცვლილება. ხომ იცით, ადამიანი იმედით ცოცხლობს და რომელიღაც იმედი მე მგონი გაამართლებს. მეტის მისაღწევად ცვლილებაა საჭირო. ბევრი რამ ჩვენზე - ხალხზეა დამოკიდებული. ჩვენ თვითონ უნდა ვიშრომოთ ძალიან ბევრი, რომ მივაღწიოთ იმას, რისი მიღწევაც გვინდა. ჩვენი თავის გარდა არავის იმედი არ უნდა გვქონდეს. ყველა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს. გლეხმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, მხატვარმა - თავისი. ყველაფრის პოლიტიზირება არ შეიძლება. „ის იმ პარტიიდან არის“, „ეს ამ პარტიიდან“ - ასეთი მიდგომა არ შეიძლება. პროფესიონალი საქმეში უნდა გამოვიყენოთ და ამაში ხელის შემშლელი მისი პოლიტიკური მრწამსი არ უნდა იყოს. პოლიტიზირება უნდა გაქრეს და ქვეყნისთვის უნდა გაკეთდეს ის, რაც მას სჭირდება. მე პარტიებად არ ვყოფ ადამიანებს. როგორც მარჯვენა და მარცხენა თვალი მიყვარს ერთნაირად, ისეა აქაც. ამდენი აგრესია და უპატივცემულობა ძალიან გვანგრევს ხოლმე ადამიანებს. ერთად უნდა ვიყოთ. სხვა არაფერი გვიშველის. პატიებაც უნდა შეგვეძლოს, დათმობაც და სიყვარულიც. მთელი მსოფლიო, მთელი ქვეყნიერება ერთი დიდი მთლიანობაა. ერთი მზე და ერთი მთვარე დაგვნათის. ერთი ხატი გვაქვს - მზე, ეს საოცარი მნათობი და ჩვენ არც ვაქცევთ ყურადღებას. გვგონია, რომ ის ყოველთვის იყო, არის და სულ იქნება. როცა ადამიანი მთელ სამყაროსთან არის ერთიანობაში, მტრობა, შური და დაუნახაობა არ შეიძლება. ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი შეცდომაც დაიშვა, ეს კანონია. მაგრამ ძალა ხომ ერთობაშია. ზურა ჭავჭავაძე ჩემი ახლობელი იყო, 9 აპრილს ამბობდა, გაგვთიშავენ და იბატონებენო. მართლაც გაგვთიშეს და იბატონეს, მისი ნათქვამი სულ მახსოვს. ჩემი ოცნებაა, რომელიმე მთავრობამ ჩვენი გაერთიანება მოახერხოს. აი, მაშინ ვიტყვი, რომ რაღაც დავთმეთ და ერთმანეთი შეგვიყვარდა-მეთქი.

ხელოვანისთვის რა შეიცვლება? მან სულ უნდა იმუშაოს. და თუ მას შეღავათი და დაფასება ექნება და იგრძნობს, რომ არსებობს, ეს ბევრს ნიშნავს. ხელოვანებს სიმარტოვის შეგრძნება არ უნდა გვქონდეს. ჩვენ ხელოვანების ქვეყანა ვართ. ყველაზე დიდი სიმდიდრე ხელოვანებში გვაქვს. სულიერებას სწორედ ამ მატერიალურ დროში ექნება ყველაზე დიდი ფასი.

როგორც მხატვარი, გეტყვით, რომ ამ პერიოდს ბრძოლის ფერი - წითელი აქვს, ოღონდ ალისფერი. ჩაქმრალი შინდისფერიდან ალისფერში გადადის. ცეცხლს რომ ვუყურებ, ალისფერი მოცისფრო ტონალობაში გადადის. სხვა აურა შემოაქვს. ცისფერი კიდევ სულ სხვა გამარჯვებაა. მოკლედ, ახლა ჩამქრალი წითელი უნდა აალდეს“.

„ოცნება, ხომ იცით როგორია? შეიძლება 16-17 წლამდე იოცნებო. მერე უკვე საქმე უნდა აკეთო სიყვარულით და პასუხისმგებლობით. ეს „ოცნება“ ოცნებად არ უნდა დარჩეს“

EXCLUSIVE

აჩიკო გულედანი: „მთავარია, არეულობა არ იყოს და რუსებმა არ სცადონ, რომ ვიღაცის ხელით შემოგვიტიონ. ამის რისკები და საშიშროება არის“

აჩიკო გულედანი: - პრემიერმა ხომ თქვა შევცურეო, ველოდები მეორე ტური თუ იქნება, მერე რა მოხდება, ცურვას როგორ გააგრძელებს, ბრასით, კროლით, ზურგზე თუ ბათერფლაით. ამის სპორტული ინტერესი მაქვს.

- და მეორე ტურის მერე რა იქნება?

- მე რა ვიცი, რა იქნება. მთავარია, არეულობა არ იყოს და რუსებმა არ სცადონ, რომ ვიღაცის ხელით შემოგვიტიონ. ამის რაღაც რისკები და საშიშროება არის. არ ვიცი, მინიმალური თუ მაქსიმალური, მაგრამ არის. ჩვენ ხომ უკვე გვინახავს მსგავსი. ამას არანაირად არ ვისურვებდი. ამიტომ მათი ცურვის სტილს გააჩნია. ცურვასაც ცოდნა უნდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ირაკლი საღინაძე:

„ანალიზისთვის რა ფაქტებიც გაგვაჩნია, მაინცდამაინც ოპტიმისტური პროგნოზის საშუალებას არ იძლევა. ზამთრის პერიოდში ქვეყანა ეკონომიკაში სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება“

ირაკლი საღინაძე: - ვფიქრობ, რომ ქვეყნისთვის კარგი იქნება მეორე ტური თუ გაიმართება. ეს პოლიტიკური ძალების სიცოცხლისუნარიანობას გაამყარებს. ჯანსაღი პოლიტიკური პროცესისთვის, მგონია, რომ პოლიტიკური სპექტრის მრავალფეროვნება აუცილებელია. თუ ეს ასე მოხდა, ყველასთვის პოზიტიური იქნება. თუმცა განსაკუთრებულ ცვლილებებს არც მეორე ტურის შემთხვევაში ველოდები. ბევრი რამ ეკონომიკურ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული - როგორ მდგომარეობაში იქნება ქვეყნის ეკონომიკა. თუ შეძლო და კრიზისი დასძლია, გადაიტანა და განვითარება განაგრძო, ყველასთვის უკეთესი ვითარება იქნება, ბიზნესში და ნებისმიერ სფეროში, მათ შორის სტაბილური ვითარება იქნება პოლიტიკური თვალსაზრისით. სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა და საშუალო ფენა კი გარანტორია დემოკრატიისაც და ქვეყნის განვითარებისაც. ამას გარემო ფაქტორების გათვალისწინების გარეშე ვამბობ. თუ რუსეთმა განსაკუთრებული აგრესიული ქმედებები განახორციელა, ეს შიდაპოლიტიკაზე აისახება. ამის საფრთხე კი ყოველთვის არის, როდის არ ყოფილა? რაც უფრო თბილები ვართ, გაცილებით უხეშები არიან ისინი. ქართულმა საზოგადოებამ შეიძლება საკუთარ თავს და საერთაშორისო საზოგადოებას ვაჩვენოთ, რომ შეგვიძლია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესი ვანარმოოთ და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა კიდევ ერთხელ წინ წავწიოთ. დავდოთ ერთი აგური, რომ ჩვენი ქვეყანა სამართლიან და დემოკრატიულ პრინციპებზე ავაშენოთ. პოლიტიკური პროცესი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, ამჯერად ეკონომიკურ ფაქტორზე გავლენას ვერ ახდენს, ან უარყოფით გავლენას ახდენს. თუ ეს უარყოფითი გავლენა გაიზარდა, მოსახლეობისთვისაც მდგომარეობა გაუარესდება. თუ ეს პოლიტიკური პროცესი შედარებით ჯანსაღი იქნა და ეკონომიკაზე პოზიტიურად აისახა, ეს თითოეული ჩვენგანის ოჯახებზე პოზიტიურად აისახება. ჩემი აზრით, რა ტენდენციაც ჩანს და ანალიზისთვის რა ფაქტებიც გაგვაჩნია, მაინცდამაინც ოპტიმისტური პროგნოზის საშუალებას არ იძლევა. ქვეყანა ზამთრის პერიოდში ეკონომიკაში სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება. დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ასე არ იყოს. იმედია, ხელისუფლება ოპტიმისტურ ილუზიას არ შეიქმნის და ობიექტურად შეაფასებს ყველაფერს. შესამაბისად, უკეთ მოაგვარებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს, რაც ხალხისთვისაც კარგი იქნება და მისთვისაც. ჩვენი - ტელე და კინოსფერო ეფუძნება იმას, რომ იარსებოს ბევრმა ძლიერმა კომპანიამ, რომელიც მედიაში თუ კინოფროდაქშენში დააბანდებს ფულს. გარკვეული ფინანსური შესაძლებლობების გარეშე პროდუქცია არ იქმნება. ეს ფული მოდის რეკლამიდან, ბიზნესიდან. თუ ბიზნესი ქმედითია, ჩვენი სფეროც ქმედითუნარიანია და შესაბამისად უკეთეს პროდუქტს ქმნის.

„ქვეყნისთვის კარგი იქნება მეორე ტური თუ გაიმართება. ეს პოლიტიკური ძალების სიცოცხლისუნარიანობას გაამყარებს. თუ ეს ასე მოხდა, ყველასთვის პოზიტიური იქნება. თუმცა განსაკუთრებულ ცვლილებებს არც მეორე ტურის შემთხვევაში ველოდები. ბევრი რამ ეკონომიკურ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული - როგორ მდგომარეობაში იქნება ქვეყნის ეკონომიკა“

EXCLUSIVE

მიშა მშვილდაძე:

„ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ძალები ამ არჩევნებზე სარკეში ჩაიხედავენ“

„მთავარია, ძველი მესიანიზმი არ შეიცვალოს ახალი მესიანიზმით. ეს თუ დროთა განმავლობაში მოხერხდა, ყველაფერი კარგად იქნება“

მიშა მშვილდაძე: - ამ არჩევნების შემდეგ ზოგად სიმშვიდეს და უფრო მყარ და სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს ველოდები, ვიდრე ახლაა. ამ არჩევნებზე ბევრი რამ გაირკვევა და დალაგდება. არის იმის შესაძლებლობა, მეტი სტაბილურობა იყოს. ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ძალები ამ არჩევნებზე სარკეში ჩაიხედავენ. რა ინფორმაციასაც მიიღებენ, სასარგებლო ინფორმაცია იქნება თითოეული სუბიექტისთვის. კონკრეტული ციფრები დემაგოგიის დიდ სივრცეს აღარ იძლევა და აჩენს მეტ სივრცეს პრაგმატული, დაბალანსებული ურთიერთობებისთვის. წესით, ამ არჩევნებზე ეს უნდა მოხდეს. თუ სტაბილური გარემო ჩამოყალიბდა, უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის მეტი შესაძლებლობა იქნება. არც ერთი კანდიდატის პროგრამა საერთოდ კავშირში არ არის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. რაც დაბალანსებულია პოლიტიკური გარემო, ჩემ სფეროშიც მით უკეთესი სიტუაციაა. აზრების მეტი ტონუსი იქნება. მთავარია, ძველი მესიანიზმი არ შეიცავალოს ახალი მესიანიზმით. ეს თუ დროთა განმავლობაში მოხერხდა, ყველაფერი კარგად იქნება.

„ამ არჩევნებზე ბევრი რამ გაირკვევა და დალაგდება. არის იმის შესაძლებლობა, მეტი სტაბილურობა იყოს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლანა ღოღობერიძის იუბილე, მოგონებები და „რუსული პოეზია“

my View
დეა თავბერიძე



„კინო არ არის პროფესია, ცხოვრების წესია, და ამ ცხოვრებით ვიცხოვრე“ - ამბობს რეჟისორი, რომლის ფილმებიც არასოდეს დაგავიწყდება... თუმცა, ლანა ღოღობერიძეზე მხოლოდ როგორც კინორეჟისორზე ვერ ისაუბრებ. მისი საოცარი თარგმანები, ლექსები და შემოქმედება უფრო მეტის საშუალებას გაძლევს. ზოგიერთმა კი კულტურის სამინისტროში ხელოვანისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე აღმოაჩინა, რომ ხატავს კიდეც. აკრილითა და პასტელით ნახატი კოლექცია რეჟისორის მიერ 90-იან წლებში საფრანგეთშია შესრულებული; ექსპონატები ორჯერ სტრასბურგშიც გამოიფინა. რაც ყველაზე საოცარია, ეს 85 წლის ქალბატონი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით არის სავსე. შესაქერი და ფიქრობ, რომ კვლავ ბევრის გაკეთება შეუძლია. მოგვიანებით ვიგებ, რომ ახლა დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს... კინოში შეტანილი წვლილისთვის რეჟისორს ვარსკვლავს უხსნიან. რაზეც ღიმილით ამბობს: „რაკი კინოსაზოგადოებამ ასე იფიქრა და ასე გადაწყვიტეს მადლობის გარდა არაფერი მეთქმისო“. კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ სამინისტროს სპეციალური პრიზით „ხელოვნების ქურუმი“ დააჯილდოვა.

გურამ ოდიშარია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: „ჩემთვის ეს მართლაც საოცარი დღეა. მე ვიყავი შეყვარებული ლანას ფილმებზე და არამარტო მისი ფილმები მიყვარდა, ქალბატონი ლანა მიყვარდა ძალიან. ვერც წარმოვიდგენდი, რომ სოხუმში მცხოვრები კაცი, ერთ მშვენიერ დღეს, მივულოცავდი ამ მშვენიერ ქალბატონს დაბადების დღეს. ამიტომ ვარ ძალიან ბედნიერი. ბედნიერი ვარ, რომ დღეს პატივი მხვდა წილად „ხელოვნების ქურუმის“ ჯილდო ლანა ღოღობერიძისთვის გადამეცა“.



კახი კავსაძე: „ასეთი წიგნი არსებობს „კაცი რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“, ალბათ, გურამმა მაშინ არ იცოდა როგორ უყვარდა ლიტერატურა ქალბატონ ლანას, თორემ დაწერდა „ქალი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა და უყვარს, ქალი რომელსაც ხატვა უყვარს, ქალი, რომელსაც კინო უყვარს, ქალი რომელსაც ხალხი უყვარს. ჩემო ძვირფასო ლანაჩკა, გილოცავ დაბადების დღეს, მინდა რომ ძალიან დიდხანს იყო“...

კულტურის სამინისტროში ლანა ღოღობერიძის თარგმანების პრეზენტაცია გაიმართა. „რუსული პოეზია“, ასე ჰქვია წიგნს, რომელსაც მკითხველი გაეცნო. პირველად კი ძალიან ახალგაზრდამ, 25 წლისამ, თაგორი თარგმნა, შემდეგ იყო უოლტ უიტმენის თარგმანები, რასაც მემუარული ტიპის წიგნი მოჰყვა „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, ამის შემდეგ კი გამოვიდა: „პარიზული ჩანაწერები“, „უცხოური პოეზია ქართულად“, და „ფრანგული პოეზია“ ორ ენაზე. რომელიც ლანა ღოღობერიძემ თავისივე ჩანახატებით გააფორმა. „რუსული პოეზიაც“, ფრანგულის მსგავსად, ორენოვანია. წიგნში რუსი პოეტების ლექსებია. ცვეტაევა, პასტერნაკი, ახმატოვა, ახმადულინა, ბროცკი, მათ ლექსებზე მწერალი უკვე წლებია მუშაობს.

ლანა ღოღობერიძე: „ეს პოეტები ძალიან მიყვარს, ამიტომაც ვთარგმნე. ამ წიგნზე დიდი ხანია ვმუშაობ, ძველი თარგმანებიც არის, უმეტესობა კი სულ ახალი. დიდი ხანია ვთარგმნი, ლექსი საერთოდ, ჩემი ცხოვრების თანამგზავრი კი არა, ბევრად მეტია... ცხოვრება ისეთი რთულია, ისეთი ტრაგიზმითა და განსაცდელებით არის სავსე, რომ მე პირადად ერთადერთი რამ მშველის, ეს პოეზიაა. როგორც ბროცკი ამბობს, - „პოეზია ეხმარება ადამიანს იქცეს ადამიანად“. ადამიანად ქცევა ერთი განზომილებაა, ხოლო მეორე -სასოწარკვეთილება გადალახო. არ მეგულება ადამიანი, რომელიც დიდხანს დადის ამქვეყნად და დრო და დრო არ ეუფლებოდეს ისეთი სასოწარკვეთილება, რომ მართლა არაფერი შველოდეს. მე პირადად პოეზია ძალიან მშველის. არ არის აუცილებელი იყო პოეტი, რომ ადამიანად იქცე, ისიც საკმარისია, რომ შეიგრძნო პოეზია“...

მადლობა ყველას, ჩემო ძალიან პატივსაცემო ადამიანებო. მე არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა კულტურის სამინისტროს და გამომცემლობა „ინტელექტს“, მათ გამოსცეს ეს წიგნი. მადლობა მათ ამ ლამაზი საღამოს მოწყობისთვის, რომელიც ნამდვილი სიყვარულით არის გაკეთებული.

ლანა ღოღობერიძე კულტურის სამინისტროში შეკრებილ სტუმრებს ლექსებითა და საინტერესო ისტორიებით გაუმასპინძლდა.

ბორის პასტერნაკი

„პასტერნაკს რამდენჯერმე შევხვედრივარ, მამიდაჩემის სახლში მოსკოვში მოდიოდა ხოლმე. არაერთხელ, ძალიან სასაცილო სცენის მომსწრე ვარ. მამიდაჩემი ცხოვრობდა არბატზე, ძალიან კარგ სახლში, მაგრამ კომუნალურ ბინაში, ბევრი ოთახი იყო და ერთ-ერთში თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. ეს ოთახი სავსე იყო წიგნებით, სხვა სულიერი სამყაროთი ცხოვრობდნენ. პასტერნაკი დარეკავდა და მოვიდოდა თუ არა, კარის გაღებისთანავე ამ სახლის მთელი მოსახლეობა გარეთ გამოეფინებოდა. პასტერნაკს ყველასთვის ჰქონდა რაღაც სათქმელი, ჩერდებოდა და ნახევარი საათი ან 40 წუთი მაინც სჭირდებოდა სანამ ჩვენთან მოაღწევდა. ამასობაში მამიდაჩემი იდგა და უყურებდა. მერე დოინჯს შემოირტყამდა და იტყოდა „ვილიკიი პოეტ აბშაიტსია ს ნაროდამ“. ბოლოს, რომ შემოვიდოდა, იწყებოდა ზეიმი. მე დღემდე მაქვს მისი ხელით გადაწერილი ჰამლეტი. რომელიც მამიდას აჩუქა, წარწერით ელენე ღოღობერიძე, მერე მამიდაჩემმა მე მისახსოვრა, როგორც ნამდვილი რელიკვია. მე და მამიდაჩემი ვიყავით, ალბათ, ერთ-ერთი პირველნი, ვისაც მან „ჰამლეტი“ წაუკითხა. საოცრად კითხულობდა. ერთხელ მამიდაჩემმა პასტერნაკს უთხრა, ლანა თაგორს თარგმნისო. თუ შეიძლება რამე წაიკითხოსო - პასტერნაკმა. ძალიან ვინერვიულე. ისე იცოდა მოსმენა თითქოს მარტო შენი მოსმენა უნდოდა ამქვეყნად. რამდენიმე ლექსი წავუკითხე... დიდხანს გარინდული იჯდა, ბოლოს რა თქვა იცით? კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ ეს ენა პოეზიისთვის არის გაჩენილიო“...

ანა ახმატოვა

ახმატოვა სულ სხვა მოვლენა იყო. დიდ დროს ატარებდა მოსკოვში, ბინა არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი ოთახი ჰქონდა ლენინგრადში და სულ ამბობდა „ია ზდეს ვსიგდა ვ გასტიახ“. მე კი მქონდა განცდა, რომ ის სტუმრად იყო არა მარტო მოსკოვში, არამედ საერთოდ ამ ქვეყანაზე. ახმატოვა სულ იყო უფსკრულის პირას, სულ ეშვებოდა უფსკრულში და მერე მაინც ახერხებდა იქიდან ამოსვლას და შედევრებს ქმნიდა. მას აქვს ერთი ლექსი, რომელსაც მე ხშირად ვეუბნები ჩემს ახლობლებს, კულტურის სამინისტროშიც არაერთხელ მითქვამს, ყველაგან, როცა რამე საქმე გინდა წამოიწყო და როცა ის უსასრულოდ ჭიანურდება და ეს ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი თვისებაა, მაშინ ვამბობ ხოლმე.

„მაგრამ გახსოვდეთ, მე გაგაფრთხილეთ,
ამ ქვეყნად ვცხოვრობ უკანასკნელად,
და აღარასოდეს მოგევლინებით...“

ეს სიტყვები ერთმანეთს უნდა ვუთხრათ ხოლმე ხშირად, რომ ყველა უკანასკნელად ვცხოვრობთ, ხოლო თუ ბევრი იცხოვრე, მაშინ ხომ განსაკუთრებით უკანასკნელად ცხოვრობ...

ლანა ღოღობერიძე ყველა იმ ფილმის სცენარის თანაავტორია, რომლის რეჟისორიცაა: „ერთი ცის ქვეშ“ (1961), „მე ვხედავ მზეს“ (1965), „ფერისცვალება“ (1968), „როცა აყვავდა ნუში“ (1972), „აურზაური სალხინეთში“ (1975), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1978), „დღეს ღამე უთენებია“ (1984), „ორომტრიალი“ (1986), „ვალსი პეჩორაზე“ (1992).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წლის საუკეთესო მსახიობი ქალი და მამაკაცი

ExCLUsiVe

my View
თამარ გონგაძე

გულწრფელად გამახარა „წლის საუკეთესო მსახიობი ქალის და მამაკაცის“ წლევანდელმა გამარჯვებულებმა. თეატრალური პრემია „დურუჯი“, ამ ნომინაციით, ანა ალექსიშვილმა და არჩილ სოლოღაშვილმა აიღეს. პრემია, 2 ათასი ლარი, მსახიობებს გადაეცათ როლებისთვის, რომელიც სპექტაკლ „(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარში“ განასახიერეს. სპექტაკლი ორი თვის წინ ედინბურგის ფესტივალზე ჰქონდათ წაღებული. სხვათა შორის, ამ სპექტაკლმა მესამე პრიზიც აიღო, საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის და ის დავით დოიაშვილს გადაეცა. ნომინანტებმა ივლისში უკვე იცოდნენ, რა ნომინაციებით იყვნენ წარდგენილნი, დაჯილდოება კი 20 ოქტომბერს, ტრადიციულად, ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში შედგა. პრემია ხუთი წლისაა და ის საქველმოქმედო ფონდმა „ცისკარმა“ დააარსა.

5 წევრისგან შემდგარი ჟიური, საქართველოს მასშტაბით, ნომინირებულ სპექტაკლებს 2 თვის განმავლობაში აფასებდა. წელს თითოეულ ნომინაციაში სამი ნომინანტი იყო. „წლის საუკეთესო მსახიობი ქალის“ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ: ანა ალექსიშვილი, ანა ალადაშვილი, მარინა სოლომონია. „წლის საუკეთესო მსახიობი მამაკაცის“ ნომინაციისთვის იბრძოდნენ: აჩიკო სოლოღაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია და ჯანო იზორია. ჟიური კი ასე იყო დაკომპლექტებული: ლაშა ჩხარტიშვილი, ნიკა წულუკიძე, ნესტან-ნენე კვინიძე, თამარ ბოკუჩავა და გია ცქიტიშვილი.

ანა ალექსიშვილი „(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარში“ დემეტრიუსზე ცალმხრივად და უგონოდ შეყვარებული ელენეს როლს თამაშობს.

ანა ალექსიშვილი: „დადგმის პროცესი ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ვხსნი, როგორ იქცევა ჩემი გმირი, როგორ უყვარს, რატომ უყვარს სიგიჟემდე. ამ ძიებისას ვაკეთებ ბევრ სისულელეს. იმისთვის, რომ რაღაც იპოვო ბევრი უნდა ეძებო, ბევრი უნდა თხარო... მგონია, რომ ბევრი ფერი ჩავდე ამ გმირში. ელენე არის ნერვიული, სევდიანი, მოსიყვარულე... ტრანსფორმაციას განიცდის. ეს უმანკო და საწყალი გოგო მაყურებლის თვალწინ გარდაიქმნება ბოხხმიან ქალად, რომელიც კაცების ცემას იწყებს. ეს ტრანსფორმაცია ძალიან საინტერესო და რთულია.

გახარებული ვიყავი ფაქტით, რომ ამ ნომინაციაში მოვხვდი, თუმცა ასე თუ ვინერვიულებდი და განვიცდიდი, ვერ ვიფიქრებდი. ცერემონიალი დაიწყო, კონვერტი გახსნეს და ჩემ გვერდით მყოფ ნატა ბერეჟიანს ხელი მაგრად ჩავკიდე. ახლა მოვკვდები, დროზე გახსნან და წაკითხონ-მეთქი. თან „წლის საუკეთესო მსახიობი ქალის“ ნომინაცია პირველი იყო და ჩემი სახელი და გვარი რომ გამოცხადდა, დაბნეულობისგან წამოვდექი და საკუთარ თავს ტაშს ვუკრავდი. ნიკა წულუკიძემ სცენიდან დამიძახა - ამოდიო.

ამ პრიზმა თვითრწმენა შემმატა. დავინახე, რომ თეატრმცოდნეებს, კრიტიკოსებს თუ ჩვეულებრივ მაყურებელს მოსწონს. დავრწმუნდი, რომ სწორი გზა ავირჩიე და სწორად მივდივარ. ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. როდესაც საქართველოს მასშტაბით „წლის საუკეთესო მსახიობი ქალის“ წოდება მომანიჭეს, უფლება აღარ მაქვს მოვდუნდე და ხარისხი დავაგდო. უფრო მეტი უნდა გავაკეთო, იმიტომ რომ „წლის საუკეთესო მსახიობი ქალი ვარ“.

აჩიკო სოლოღაშვილი: „ეს, ჩვენთვის, მსახიობებისთვის, თეატრალური „ოსკარია“. ეს დღე არ დამავიწყდება. პრიზი დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ჩემთვის“

ანა ალექსიშვილი: „ჩემი სახელი და გვარი რომ გამოცხადდა, დაბნეულობისგან წამოვდექი და საკუთარ თავს ტაშს ვუკრავდი“

„როდესაც საქართველოს მასშტაბით „წლის საუკეთესო მსახიობი ქალის“ წოდება მომანიჭეს, უფლება აღარ მაქვს მოვდუნდე“

აჩიკო სოლოღაშვილი სპექტაკლში ორ როლს ასრულებს - პაკის და ფილოსტრატეს.

აჩიკო სოლოღაშვილი: „სხვა შუადღიდან“ - ჩემი ეთერიდან გავიგე, რომ ნომინირებული ვარ. პირდაპირ ეთერში ამის გაგება ძალიან ცუდი ყოფილა, ლამის შოკში ჩავვარდი. ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ არის რაღაცები, რასაც ვერ აკონტროლებ. ვიხვეწებოდი, რეკლამაზე გავიდეთ-მეთქი. თანაწამყვანებმა ეთერშივე მომილოცეს. ჩემთან ერთად ღირსეული კანდიდატები იყვნენ წარდგენილნი. დაბეჯითებით ვერ ვიფიქრე, რომ მე ვიქნებოდი გამარჯვებული. ანკაზე დარწმუნებული ვიყავი, რომ გაიმარჯვებდა. მან ისეთი როლი შექმნა, ეს არ იყო პლასტიკის დამსახურება, ეს იყო მსახიობის ოსტატობის ხარჯზე შექმნილი როლი. ჟიურომ ეს დაინახა. მიხარია, რომ შრომა ასე დაგვიფასდა. ამ სპექტაკლს გვერდიდან რომ ვუყურებ, ვთვლი, რომ ძალიან კარგი ნამუშევარია. სამი პრიზი აიღო კიდეც. ჩემი სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს, არჩილი ვერ გავიგე და სოლოღაშვილზე დავენიე გამოცხადებულს. გვერდით ჩემი მეუღლე, ნუცა მეჯდა, თვალები აუწყლიანდა. სათვალე არ მომიხსნია, შავი სათვალით ცერემონიალის ბოლომდე ვმალავდი ემოციას. გავგიჟდი სიხარულისგან. მივხვდი, რომ თურმე უცხოური დაჯილდოების ცერემონიალებზე მსახიობების ემოციები დადგმული არ ყოფილა. მეშინოდა, რომ მადლობების ტექსტში ვინმე არ გამომრჩენოდა. მერე დავით დოიაშვილმა რომ აიღო პრიზი, ისევ „(შუა) ზაფხულის ღამის სიზმრისთვის“, მეგონა, რომ მართლა სიზმარი იყო. თურმე ოცნებები ხდება. ეს დღე არ დამავიწყდება. პრიზი დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ჩემთვის. „დურუჯი“ ერთადერთია, სადაც ყველაფერი ფასდება, რაც კი თეატრალურ სამყაროში ხდება. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ლაშა პაპაშვილს, რომელიც თეატრზე ასე ზრუნავს. სხვა არავინ გამოხატავს ყურადღებას. ეს, ჩვენთვის, მსახიობებისთვის, თეატრალური „ოსკარია“. როდესაც მსახიობი ხარ, უფლება არ გაქვს მიღწეული საფეხურიდან ნაბიჯი უკან გადმოდგა. იმდენი უნდა შეძლო, რომ მომავალ ნელს სხვა ჟიურის წევრმაც იგივე შეფასება მოგცეს. „დურუჯი“ გვეხმარება, რომ არ მოვეშვათ. მადლობა დოის იმისთვის, რომ მის სპექტაკლებში ყველა როლი მთავარია და იძლევა იმის საშუალებას, რომ მაქსიმუმი აჩვენო, თუნდაც ორნამიან სცენაში“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უნიკალური პროექტი უცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერლებით

ზაზა შენგელია:
„ჩვენი ვალია, რომ მათი შემოქმედება, ამ ალბომის სახით, საგანძურად დარჩეს მომავალ თაობებს, როგორც ოქროს ფონდი და ქართული მუსიკალური კულტურის რელიკვია“

my View
დეა თავგერიძე

„საქართველოს მარგალიტები“

მსოფლიოში აღიარებული და სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული ქართველი საოპერო მომღერლები უნიკალური პროექტის წყალობით მალე ერთად შეიკრიბებიან. მათ მიერ შესრულებულ საოპერო არიებს მსმენელი ერთ ალბომში იხილავს. პროექტის იდეის ავტორი ლელა მჭედლიძე გახლავთ. იდეის განხორციელება კი „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში ეტაპობრივად მოხდება. ეს „ბრავო რექორდსისა“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტია.

ზაზა შენგელია: „საოპერო ხელოვნება არის ერთ-ერთი ის დარგი, რომლითაც ჭეშმარიტად უნდა იამაყოს ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა კულტურამ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ ალბომით საშვილიშვილო საქმე კეთდება. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი საოპერო ვარსკვლავები უმეტესად საზღვარგარეთ მოღვაწეობენ, ამიტომ მათი შემოქმედება, ამ ალბომის სახით, საგანძურად დარჩება მომავალ თაობებს როგორც ოქროს ფონდი და ქართული მუსიკალური კულტურის რელიკვია, ყველა მსმენელს მიეცემა საშუალება დატკბეს მათი ხელოვნებით“.

ლელა მჭედლიძე, სიმფონიური ორკესტრის მთავარი კონცერტმაისტერი: „ეს, ჩემი ძალიან დიდი ხნის ოცნებაა. მაშინ, როდესაც ქვეყანა ასეთი ხმების, სიმდიდრის პარტრონია, ჩვენ ნამდვილად ღირსნი ვართ ამის. ალბათ, დიდი ხნის წინ უნდა გვეზრუნა, რომ ეს ჩანაწერი გვქონოდა. ძალიან ხშირად გვიწევს გასტროლებზე სიარული და ვხედავ, რომ პრომოუშენისთვის, რეკლამისთვის, შენი ქვეყნის სახის წარმოჩენისთვის ჩანაწერებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს არის სავიზიტო ბარათი. მე ვარ საქართველოს წარმომადგენელი მსოფლიო ორკესტრში, სადაც ორმოცამდე ქვეყანაა წარმოდგენილი და ვერ წარმომიდგენია, რომ ამაზე დიდი საჩუქარი გაუკეთო მუსიკოსს, მქონდა შეხვედრა ნიდერლანდების დედოფალთან, შვედეთის მეფესთან, უამრავ საინტერესო ადამიანთან და ეს ჩანაწერი რომ მქონოდა, ძალიან ამაყი ვიქნებოდი და სხვა არანაირი ტიპის საჩუქარზე არ ვიფიქრებდი, ამიტომ მუდმივად მაწუხებდა ეს ოცნება. დღეს კი ძალიან მიხარია, როდესაც ვხედავ როგორ ისხამს ფრთებს ჩემი იდეა. ჩვენ ისეთი მომღერლები გვყავს, რომლებითაც ძალიან დიდი ქვეყნებიც კი იამაყებდნენ. ჩვენ კი, პროცენტულად რომ გადაიანგარიშო, ამით უმდიდრესები ვართ. ასე რომ, ვფიქრობ, ძალიან წარმატებულ პროექტს მოვეჭიდე და დიდი მადლობა ყველას, ვინც ამაში მონაწილეობს, რადგან ამ ალბომით ჩვენ კიდევ ძალიან დიდხანს და ბევრჯერ ვიამაყებთ“.

ალბომში შესული ცნობილი ქართველი მომღერლების მიერ შესრულებული საოპერო ნაწარმოებები სიმფონიური ორკესტრის თანხლებით შესრულდება. საოპერო მომღერლების სიაში შედიან ისეთი დონის შემსრულებლები, როგორებიც არიან: პაატა ბურჭულაძე, ქეთევან ქემოკლიძე, ანიტა რაჭველიშვილი, ნინო სურგულაძე, გიორგი გაგნიძე, ლადო ათანელი, გია ონიანი, ნინო მაჩაიძე, თამრიკო ჯავახიშვილი (ივერი), იანო ალიბეგაშვილი, ნუგზარ გამგებელი, მზია ნიორაძე, თეა დემურიშვილი, ზურაბ სოტკილავა, ბადრი მაისურაძე და მაყვალა ქასრაშვილი. შესრულდება ჯუზეპე ვერდის, ჯაკომო პუჩინის, რუჯერო ლეონკავალოს, ჯოაკინო როსინის, ზაქარია ფალიაშვილისა და სხვა ცნობილი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებები.

ლადო ათანელი: „ძალიან მნიშვნელოვანია ეს პროექტი. საამაყოა, როდესაც სხვადასხვა ქართული ავიახაზებით მიფრინავ და გხვდება არაჩვეულებრივი ლამაზი ილუსტრირებული წიგნი ჩვენი ისტორიული ძეგლებითა და სხვადასხვა საგანძურებით. კარგი იქნება სამომავლოდ ამ წიგნებს ეს დისკიც დაერთოს. ასევე ვისურვებდი, რადგან ქართული ხმები ვართ, კომპაქტდისკზე გავაკეთოთ ჯერ ქართული მუსიკის პრეზენტაცია და მერე მსმენელს ვათქმევინოთ, ნახეთ რა მაგრები არიან იტალიურ მუსიკაშიც. კარგია, გაკეთდეს ორმაგი დისკი, სადაც შესაძლებლობა იქნება, რომ იყოს ქართულიც და უცხოურიც“.

გურამ ოდიაშარია: „ამას წინათ, მქონდა ბედნიერება ყოფილიყავი ვენის ოპერაში, ჩვენმა ერთ-ერთმა ვარსკვლავმა თამარ ივერმა მიმიწვია. როდესაც კონცერტი დამთავრდა და თამართან მისვლა გადავწყვიტე, უამრავი ხალხი ელოდებოდა. ვუყურებდი როგორ იდგნენ რიგში და მისგან ავტოგრაფს ითხოვდნენ. მერე, გვერდით რესტორანში ჩაი დავლიეთ. იქ შესვლისთანავე ყველა ფეხზე წამოდგა და ტაშს უკრავდნენ ქალბატონ თამარს. მაშინ გავიფიქრე, სად არის ჩვენი ტელევიზია, ნეტავ აქ იყოს, რომ ყველამ ნახოს ეს. ეს პროექტი ზუსტად ის არის, რომლის საშუალებით ჩვენ ვარსკვლავებს კიდევ უფრო გავაცნობთ ხალხს. ბოლოს და ბოლოს, როცა კოსმოსში დაფრინას თანამგზავრი, რომელიც ყველას აუწყებს, რომ ჩვენ იმ პლანეტიდანა ვართ სადაც „ჩაკრულოს“ მღერიან და ჩვენი „ჩაკრულო“ ჟღერს მანდ. დაახლოებით ეს ფუნქცია ექნება ჩვენს პირველ ნაბიჯს. ეს იქნება, როგორც გზავნილი პლანეტას. აღფრთოვანებული ვარ ამ პროექტით. ჩვენ ამას გავაგრძელებთ, გვინდა, რომ არა მარტო ჩვენი ოპერის მარგალიტები, არამედ ფოლკლორი და სხვა ჩანაწერები გავაკეთოთ და სამომავლოდ ისეთ დიდ ნაკრებს შევქმნით, რომლითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. კულტურის სამინისტრო ყველა კარგი პროექტის გვერდით არის. მინისტრები მიდიან და მოდიან, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია, რომ ჩვენ კულტურის მსახურნი ვართ“.

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი ალბომის პრეზენტაცია კონცერტის სახით, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის შენობის გახსნას დაემთხვევა. პრეზენტაცია-კონცერტზე მომღერლები ალბომში შესულ მუსიკალურ ნაწარმოებებს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ცოცხლად შეასრულებენ. მათ დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო უხელმძღვანელებს.

პროექტის ოფიციალური მზღვეველია „არდი ჯგუფი“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალისა ფრეინდლიხი და ქართველებით აღფრთოვანებული შოსტაკოვიჩის მევიოლინე

my View
დეა თავბერიძე

ალისა ფრეინდლიხი: „ძალიან მიხარია, რომ ჩემი უძვირფასესი, საყვარელი, მონატრებული ქართველები ჩვენთან არიან“

EXCLUSIVE

ქართული საღამოთი აღფრთოვანებული ალისა ფრეინდლიხი ემოციებს ვერ მალავდა და შთაბეჭდილებებს მონატრებულ სტუმრებს უზიარებდა... ქართული ხელოვნების ფესტივალი პეტერბურგელებს, ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ. უფროსი თაობის „ქართული ხმების“, „სუხიშვილების“, ქართული კინოს ფესტივალისა და აფხაზეთიდან დევნილი 9 ქართველი მხატვრის გამოფენა-აქციის შემდეგ, შოსტაკოვიჩის სახელობის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა დაუკრა. საღამოს ალისა ფრეინდლიხთან ერთად სხვა ხელოვანებიც ესწრებოდნენ, მათ შორის კონსტანტინე ორბელიანი, მხატვარი ანატოლი ბელკინი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი დანიელ გრანინი.

ალისა ფრეინდლიხი: „არაჩვეულებრივი კონცერტი იყო, ძალიან მიხარია, რომ ჩემი უძვირფასესი, საყვარელი, მონატრებული ქართველები ჩვენთან არიან. ნანისთან შეხვედრა ყოველთვის დიდი დღესასწაულია, ძალიან მიყვარს და ვაფასებ მას და ყოველთვის უმაღლეს დონეზე აფასებს პუბლიკაც. აბსოლუტურად გამაოგნებელი და საოცრად მომხიბლავი იყო ჩელისტის ლიზა რამიშვილის გამოსვლა. მას ისეთი ენერგეტიკული ველი აქვს, როდესაც უსმენ, სურვილი გიჩნდება გაფრინდე. იმედი მაქვს, რომ მის შემოქმედებას ეს ძალა ყოველთვის ექნება.

და ბოლოს, შესანიშნავად ჟღერს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, მთავარი იცით რა არის, ნიკოლოზ რაჭველსაც განსაკუთრებული ემოციური სამყარო აქვს, ის მუსიკასთან ერთად დაფრინავს“!..

მსმენელს ასევე საშუალება ჰქონდა მოესმინა გია ყანჩელის კლასიკური ნაწარმოებები „იავნანა მზეს“, „დიქსი“, „დანელიადა“, ცნობილი მელოდიები და სიმღერები კინოფილმებიდან. ასევე გაიმართა ჯიმი ასკანელი-ჩხაიძის მიერ საგანგებოდ ამ ფესტივალისთვის შექმნილი სიმფონიური ნაწარმოების („ეიფორია“) პრემიერა. ნიკოლოზ რაჭველმა კი საკუთარი ნაწარმოები The Answer 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული ყველა ადამიანის ხსოვნას მიუძღვნა. კონცერტები 16 და 17 ოქტომბერს გაიმართა, ეს საღამოები პეტერბურგელ მსმენელს ღვინის კომპანიამ „ასკანელი ძმები“ და გოჩა ჩხაიძემ წარუდგინეს.

გოჩა ჩხაიძე, კომპანია „ასკანელი ძმების“ პრეზიდენტი: „ფესტივალის მიზანია თანამედროვე ქართული ხელოვნების და აგრეთვე, ჩვენი კლასიკოსების პოპულარიზაცია არა მხოლოდ პეტერბურგში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. ფესტივალის ფარგლებში გამართული საღამოები ძალიან საინტერესო გამოვიდა. თვითონ ამ იდეას 2011-ში ჩაეყარა საფუძველი, როცა ჩემთან მოვიდა ჩემი მეგობარი, ცნობილი პეტერბურგელი მხატვარი, ანატოლი ბელკინი და მთხოვა ჩამომეტანა თანამედროვე ქართული კინო პეტერბურგში. ასე დაიბადა კინოფესტივალის იდეა, რომელსაც აქაური მაყურებელი ძალიან თბილად შეხვდა. დიდი ოვაციები მოჰყვა ნანი ბრეგვაძისა და „ქართული ხმების“ კონცერტს. შემდეგ შემოგვიერთდა ეროვნებით ოსი, ევროპასა და პეტერბურგში მცხოვრები ჩვენი მეგობარი ვიქტორ ჯოჯიევი, რომელიც 15 წელია აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მხატვრების ნამუშევრების კოლექციონერია. მასთან ერთად გავმართეთ გამოფენა-აქცია, რითაც საზოგადოებას საშუალება მიეცა გაცნობოდა თანამედროვე ქართულ მხატვრობას. ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ კონცერტსაც ძალიან დიდი რეზონანსი ჰქონდა. წელს უკვე შევძელით საქართველოს სიმფონიური ორკესტრის ჩამოყვანა ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით, ჩვენი საამაყო ქალბატონები მაყვალა ქასრაშვილი, ნანი ბრეგვაძე თავისი არაჩვეულებრივი ოჯახით, ლიზა ბაგრატიონი და ახალგაზრდა სოლისტები, რომელთაც უკვე საერთაშორისო აღიარება და კარიერა აქვთ - ეს ხალხი დაგვიდგა გვერდით. 17 ოქტომბრის კონცერტის მეორე განყოფილება მთლიანად ლეგენდარული გია ყანჩელის შემოქმედებას დაეთმო. ვფიქრობთ, რომ დავაარსოთ ქართული კულტურის მხარდამჭერი ფონდი, რომელიც დაეხმარება ჩვენი ხელოვნების გატანას საქართველოს ფარგლებს გარეთ“.

გოჩა ჩხაიძე: „ვფიქრობთ, დავაარსოთ ქართული კულტურის მხარდამჭერი ფონდი, რომელიც დაეხმარება ჩვენი ხელოვნების გატანას საქართველოს ფარგლებს გარეთ“

მაყვალა ქასრაშვილი, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ლიზა ბაგრატიონი, ნატალია ქუთათელაძე, ლიზა რამიშვილი, გიორგი ცაგარელი, ირაკლი ევსტაფიშვილი, ზურაბ გვანცელაძე, დათო და გიორგი შამანაურები. სადირიჟორო პულტთან - ნიკოლოზ რაჭველი - ასეთი იყო ქართველთა ვარსკვლავური შემადგენლობა პეტერბურგში...

მაყვალა ქასრაშვილი, მომღერალი: „47 წელია დიდ თეატრში ვმუშაობ და ყველა იმ ფაქტის მიუხედავად, რომელიც ამ წლების მანძილზე ხდებოდა, არასოდეს მიგრძნია შეცვლილი დამოკიდებულება. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთის კულტურა და ხელოვნება, რა განსაკუთრებული დამოკიდებულებაც არსებობს პეტერბურგში ქართული მუსიკისა და მომღერლების მიმართ, დღეს მაყურებელმა თავისი ოვაციითა და ტაშით გამოხატა“.

თეო ჯორბენაძე, „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი: „ორივე საღამო ძალიან საინტერესო იყო, ამიტომაც მაყურებელმა უდიდესი სიყვარულით დააჯილდოვა მონაწილეები, ნახევარი დარბაზი ყვავილებით იყო მოსული, მაგრამ ყველაზე ლამაზი თაიგული ქალბატონ ნანის ალისა ფრეინდლიხმა მიართვა, სცენასთან მის გამოჩენას მქუხარე ტაში მოჰყვა. იქ მყოფ თითოეულ მონაწილესა და სტუმარზე უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო, თუმცა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მრავინსკის ორკესტრის წევრის გაცნობამ მოახდინა, ეს გახლდათ მევიოლინე ლევ ლეიბენკრაფტი. იგი პირადად იცნობდა შოსტაკოვიჩს და დიდი კომპოზიტორის სახელობის ფილარმონიის ამ დარბაზში მისი მრავალი ნაწარმოების პრემიერა დაუკრავს მრავინსკის დირიჟორობით. 40 წელი თანამშრომლობდა მაესტროსთან და 18 წელი იგივე დარბაზში უკრავდა უკვე დიმიტრევის ხელმძღვანელობით. ამ ადამიანთან შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება, მან მიამბო თუ როგორ ღელავდა შოსტაკოვიჩი ყოველი პრემიერის წინ, როდესაც პაკლონზე გადიოდა, თურმე ცდილობდა აკანკალებული ხელის მტევნები პიჯაკის სახელოს ქვეშ დაემალა. ლევ ლეიბენკრაფტი აღფრთოვანებული დარჩა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრითა და ნიკას დირიჟორობით“.

ლევ ლეიბენკრაფტი: „შესანიშნავი ბალანსია, არც ერთი მუსიკოსი არ „ყვირის“, არ აჭარბებს, ხელოვნებაში ზომიერების შეგრძნებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, აღფრთოვანებული ვარ ნიკოლოზ რაჭველის ტალანტით, ის მართლაც პირველი კლასის დირიჟორია, როგორი ხელები აქვს, როგორ გრძნობს თითოეულ ორკესტრანტს და როგორი დამოკიდებულება აქვს მათ მიმართ. დიდი მადლობა ამ არაჩვეულებრივი ქვეყნის მუსიკოსებს, იმისთვის, რომ ორი დღის მანძილზე ასეთი დღესასწაული მოგვიწყვეს“.

გიორგი ცაგარელი, ალტისტი: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავად ამ ისტორიულმა დარბაზმა, როდესაც წარმოიდგენ, რომ აქ თავიანთი ნაწარმოებების პრემიერებს ესწრებოდნენ და სცენაზე გამოდიოდნენ: ლისტი, შუმანი, ვაგნერი, შოსტაკოვიჩი, რიმსკი-კორსაკოვი. ლენინგრადის ბლოკადი დროს კი ამ სცენაზე გაიმართა შოსტაკოვიჩის მე-7 სიმფონიის პრემიერა. წარმოიდგინეთ რა ენერგეტიკის მატარებელია ეს კედლები“!!!

გოჩა ჩხაიძე და დანიელ გრანინი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრჩევნე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲙᲝ 2013

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N43 (241), ორშაბათი 28 ოქტომბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

მაია ასათიანი: გასულ ხუთშაბათს „პროფილმა“ უპრეცედენტოდ დიდი სხვაობით მოიგო“

EXCLUSIVE

მაია ასათიანის „პროფილი“ რეიტინგებში „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ უსწრებს

EXCLUSIVE

გიორგი ნაკაშიძის ტრანსფორმაცია - „ოცნებების სასაფლაოდან“ „მანდარინებამდე“

EXCLUSIVE

ალისა ფრეინდლიხი და ქართველებით აღფრთოვანებული ჟოსტაკოვიჩის მევიოლინე

EXCLUSIVE

წლის საუკეთესო მსახიობი ქალი და მამაკაცი

„როდესაც საქართველოს მასშტაბით „წლის საუკეთესო მსახიობი ქალის“ წოდება მომანიჭეს, უფლება აღარ მაქვს მოვდუნდე“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება